

გვერდი



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

644 :
1998

სამსახური-სალოტორატივი აქტუალი I | 1998

124





დამთუბნელები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ქრწნალ „ცისკარის“ ბრდაცვია

1 | 1998

დარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

- ბალაშვილ არაბული
- ირაკლი ბაზაძე
- ლევან მალაზონია
- ელზა მბრძანაძე
- (მორედაქტორის მოადგილე)
- მისო მოსულიშვილი
- ზურაბ ნარსია
- ჯემალ ჭირია
- (ასუხისმგებელ მღვანე)

საკონსულტაციო საბჭო:

- გივი ნუშაძე
- ნოდარ ბიბიალაშვილი ✓
- დავით თაღლიძე
- ზაზა თვარაძე
- ეზარ ძვინაძე
- რეზა მინაძე
- დავით მგალობლი
- გივი სულაბაძე
- მიხეილ მელიქიძე
- ჯანსუღ ლინჯილი
- შაბუაჯი შაბუაჯი
- ნუზარ შაბუაჯი
- როსტომ ჩხეიძე
- ჯანო ჯანაშია

მხატვარი:
გიორგი წაბთაძე

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექნიკური რედაქტორი:
ვილი სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითქარია

შინაარსი

გამოიღვიტე, ქნარი!

3. უსაღმუნები, გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

ბოუზია და ბროზა

- 6. რენე კალანდია, ლექსები
- 13. თორე ჭელიძე, ვინ როდის კვდება, რომანი, გაგრძელება
- 48. ლია ბელოშვილი, ლექსები
- 51. ჯარჯი უბოუელი, ჟურნალები
- 73. ცოტე აღბუთაშვილი, ლექსები
- 76. კახა ლევდარიანი, მოთხრობები
- 82. ნათელა კაკაბაძე, ლექსები
- 83. კიმოთე აღიაშვილი, შურისძიება

ნაცნობი უცნობი

85. გიორგი ბაქანიძე, გმადგმა, გაგრძელება

მოგონებანი გარდასული დღითა

96. ედიშერ ხომგარი-ბროსე, სტუმრად სტალინთან ნიკო ბერძენიშვილი, შეხვედრა სტალინთან

ფაში ქვათა შუკრებისა...

111. ლერი აღიმონაკი, გრანელის ლანი

წერილები


- 120. შაჰა აბშიანიძე, ილია ჭავჭავაძე
- 131. შარინე ჯაიანი, უღანაშულო დამნაშავე

ოტია ბუკტორი - 70

133. მისო მოსულიშვილი, ხანჯალი ქარბორბალაში, ანუ ქარმონია მოითხოვს დისონანს



21040



ბუღეზი, ბუღეზის ვარკელაუ (ქრისტესობის ადგილი)

ფსალმუნები

ფსალმუნი 87

კორნისის ძეთა საგალობელი. სიმღერა.

1. მიხი ფუძე და
საძირკველი
წმინდა მთებშია.
2. და უფალს ჩვენსას, უფლისგამრიგეს, უფრო ვთნევა
სიონის ბჭენი,
ვიდრე სახლი და
საცხოვრისი იააკობის.
3. ქება-დიდებას იტყვიან შენსას,
უფლის ქალაქო,
4. ვიტყვი რაჰაბს და
ვიტყვი ბაბილონს
და ნაცნობთათვის ფილისტიმსაც მოყისსენიებ;
აჰა ტვიროს და
ეთიოპია -
იქ დაიბადა მავანთაგანი.
5. ხოლო სიონზე ჭეშმარიტად ასე იტყვიან:
„იქ დაიბადა მავანთაგანი
და ძლიერებით შეამტკიცა უზენაესმა“.
6. ხალხთა ნუსხაში უფლისაგან ნაიწერება:
„იქ დაიბადა მავანთაგანი“.
7. მგალობელნი და
მღერებნი -
შენ მოგვეტვიან სასოებით,
რადგან შენშია

საბჭოთავო
ბიბლიოთეკა

წუაროხთვალი და
 სათავე უოკლის.

ფსალმუნი 88

სიმღერა. კორანის ძეთა საგალობელი. ღოტბარისადმი.
 მანალათის საკრავსე სასიმღეროდ.
 მოძღვრება ჰემან ერანხელისა.

2. უფალო ღმერთო, -
 ჩემო მხსნელო,
 მზარეულო ჩემო,
 უოველცინმარე აღვაუღენ ღოცვას
 და უოველლაჲე შეუღაღადებ
 სამკვიდროს შენას;
3. რომ შეისმინო ჩემუელი ღოცვა-უედრება,
 ჩემს საგალობლებს მოაზერო უერი.
4. რადგან წუხილით ამეცხო სული, -
 ჩემი ცხოვრება
 ქვესკნელისკენ მიექანება.
5. დავმსგავსებივარ სასიკვდილოდ განწუხებულებს,
 სასომიხდილი გლახაკივით დავიარები.
6. მიცვალებულთა საუფლოში მიტოვებული
 ვხი სიბნელეში -
 ცხედართა შორის,
 შენ რომ შემუსრე სასტიკი ხელით
 და განაწესე
 საუკუნო დავიწუებისთვის.
7. შენ ჩამიძახე
 ჯოჯოხეთის მღეროე მორეკში,
 ბნელ ჯურღმულებში -
 უფსკრულთა წიად.
8. რისხვად დამატედა აღმური შენი,
 შენმა ტალღებმა
 ღვარცოფებად გადამიარეს.
9. გამომარიდე ხანათუნათს
 და უველახათუის სამუღველად გადამაქციე, -
 დამატევევე
 და დამიხშე კარი.




10. ტანჯვა-ყავებამ თვალისჩინი ამომიღამა,
 შაინც შენ შეგთხოვ,
 უშალო ჩემო,
 ხელაპერობილი შეგლაღადებ უოველცინმარე.
11. ნუთუ მკვდრებისთვის სასწაულებს მოიმოქმედებ
 და აღდგებიან სამარხებიდან
 შენს სადიდებლად,
 დიდებავ ჩვენო?
12. ნუთუ საფლავში გაცხადდებ
 შენი წვალობა
 და ჯოჯოხეთში -
 შენეული ჭეშმარიტება?
13. ნუთუ წუვდიადის სამეუფოში
 გაცნაურდება შენეული საოცრებანი,
 შენი სიძაროლე -
 დაუიწუების უდაბნოებში?
14. მე კი შენ შეგთხოვ, შემწვადეო, -
 დილაცინმარე
 შემოგვერება ჩემეული ღოცვა-ვედრება.
- 15 : რატომ განუდექ, უშალო, ჩემს სულს
 და ზირი შენი
 მუხეულად უკუმარიდე?
16. მწირი ვარ მე და
 სიურმიდანვე სიკვდილნახვაში,
 ვიტვირთე შენი სამინელედა
 და მე შეეპრწუნდი,
 გამჩენო ჩემო!
17. გადაძიარა შენეულმა რისხვის გრიგალმა,
 შიშმა და ელდამ
 გამაცამტვერა:
18. იგრაგნებოდნენ დღენიადაგ მღვრიე წულებივით,
 გარემურტემოდა სიმრავლე მათი.
19. ასე წამგვარე უოველგვარი მძა და
 მოკეთე
 და მხოლოდ ბნელთან დამამეგობრე.

(გაგრძელება იქნება)

ებრაულიდან თარგმნა
 ჯემალ აჯიაშვილმა

რენე კალანდია



ჩემი და სხვისი

სულიერი დეპრესია -
თითქმის პესიმიზმი:
რაც ცუდია, რენესია,
რაც კარგია - სხვისი...
ცას მიაპობს ეკლესია
გუმბათით და ნისლი -
გაფატრული - რენესია,
„უფლის გაბლა“ - სხვისი...
მუშლი მუხას შეესია
და წული ისმის:
მუშლის კებნა - რენესია,
მუხის სკამი - სხვისი...

აღარ არის ის შესია,
თუმცა კათარსისი -
მარადისი - რენესია,
ბულიმია* - სხვისი...
მოკვდება, რომ გაგვიხარდეთ:
დიდი დანაკლისი
არც იქნება... გაღიხადეთ,
ოლონდ პარაკლისი...
ოლონდ პარაკლისი...

1994

გამოთხოვება სოხუმთან

ჩაიშრიალა კურთხეულმა ზაფხულმა ჩემმა...
დედიშობილა დევნილს მამთრის ბუნავში მძინავს:
კომშარის გემის ფოკ-ანძახთან ფარფაგებს გერმა -
პოეტის სულის ნაფლეთი და ქვითინებს ბინა...
განხეთქილების ვაშლის კურკას ფურთხის გემო აქვს,
როგორც სოხუმურ „ასტრას“... ებღავე: არ ჩანს საშველი!..
რუსის სალდაფონს საბარგოთი სადღაც ვადააქვს
სიცოცხლე ჩემი - გადაშლილი, გადასაშლელი...
ებორგავ: მეგობართ წიგნებიდან ამოგლეჯილი

*ჰამისაღმი ჰარბი მიდრეკილება, გაუმაძღრობა /ავტ. შენიშვნა/.

ლექსების ფრთათა არშიებზე ეამი თარეშობს -
უკანალების ავგოგრაფით - სიბილწის შვილი
ნიშნის მოგებით მეუბნება: „საპირფარეშოდ
ხომ იქცა შენი პელიკონი? - უნდა შეიგნო,
ღმერთი ჩაძაღლდა!.. ანგელოზი ხერინაეს - მთვრალია!“
არ არსებობენ - „ლო ტირიას“, „ლო ტინაფ“, „ლო ტიგნოვ“...*
ათივე მცნებამ ჩაილურის წყალი დალია!..

10.04.1996

70-იანი წლების „ვერლიბრისგი“ იხსენებს
60-იანი წლების ცისკრელებთან თავისი რთული
ურთიერთობების ნიუანსებს და 90-იანი წლების
ნეოავანგარდისგების გასაგონად კითხულობს
ლუკას სახარებას: თავი მეთერთმეტე, 11-12

პურის ნაცვლად შავი ქვა და
თევზის ნაცვლად გველი
შემაჩიჩეს, მოგმა სცადა
ჩემთვის მორიელის
მოწოდება - კვერცხის ნაცვლად,
ყოველგვარი სცადეს...
სამდურავი რომ არ დამცდა,
ვფიქრობ, გ ა მ თ მ ც ა დ ე ს...

11.5.1995

ღვენითა გმის პოეზია

„ორმოც დღეს წარღვნა იყო ქვეყანაზე“
/დაბადება; 7-17/.

„ღამე იყო და წვიმდა; წვიმა წვიმდა, მაგრამ
სისხლად იღვრებოდა მიწაზე. და მე ვიდექი იმ
ჭანჭრობში...“

ელგარ პო

მარილიანი წყლით გაქვნილია წიგნი: დაიქცა ბიბლიური ცაპ:
გაღამავეიწყდა კბილის ტკივილიც--
ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გულს მიმანთავს, სამშობლოც, ვფიქვაც, -
ღვენითა გმა და მიწის ყივილი--

ვწუხ: აღარაფერს ველოდები - სანუგეშოს - ეგრისის მთებო,
თუმცა თვალებზე თქვენი ნისლია -
მსუბუქი, როგორც უპოვარი წინაპრის ლანდი: აწ საოცნებო -
მხოლოდ ღირსეულ ჯვარცმის სისხლია...

* - „არა კაც კელა“, „არ იმრუშო“, „არ იქურდო“ /ივრ/.



უფალო ჩემო, ვინ გაუძლებს, ამ გვაშების გზას - ამბოხებულ ხიდს? -
ჩაწიხლულ კოლხეთს დაუდგა ვამი -
მუნჯ სამარეთა: პოეგის გარდა, ვინ გაფატრავს, მამულო, ამ ბინდს -
ორმოცი დღის და ორმოცი ღამის?!

1994

„მეფე ჰენრი VI“-ზე მინაწერი

არ ვარ ანეჟს მთავარი;
ნეაპოლის მეფის
ტიტულს ვინ მომაშავებს?..
ვგაფარ თუჯის სეიფს,
სადაც დებენ ლექსებს
„დიდკაი“ პოეგები...
ესვამ... ვკითხულობ შექსპირს -
ჩემთვის - განმარტოებით...

საკლიგეში, როცა
უფლის სხივი აღწევს,
აღტყეპას, მოწყენას
ბრმა საწუთრო არწევს,
როგორც დედა პატარას
და უმღერის „ნანას“ -
სიკეთის და სიღარიბის
ქრისტეს ანაბანას...

1994

იმედის სხივი: უფალი და მერცხლები

„მაგრამ ერთმა მეომარმა შუბი აძგერა უფრდში,
და მისივე გაღმოსჩქეჟა სისხლმა და წყალმა“

იოანე / 19, 34/.

ხელნაწერს ცეცხლი არ ეკიდება*,
და შაინც, სიგყვის მიმყვება ვალი:
შუბის კერის შემდეგ გაღმოდინდება -
მარადიული სისხლი და წყალი...

XXI-ე დააწყობს გომებს,
გადასაფურცლად შეიღს არ ეცლება:
მხოლოდ უფალი არ მიმაგოვებს,
და, წაიკითხონ იქნებ... მერცხლებმა...

2.5.1995

* მიხეილ ბულგაკოვის ფრაზა /ავტ. შენიშვნა/.

უსათაურო ღღეების ქაგო

სასოწარკვეთა სეველით ამიფსებს
თვალთა უკეებს... ქანცგაწყვეტილი
ისევ ვეცეში დარდის ბალიშზე -
პირქვე - ღუმლის მრავალწერტილი
მქეია: ექვითინებ... საღამო მოდის...
თებერვლის დამღევს უფრო თბილია
სისხლიც, კედელიც... მომავლის ლოდი
მზაფრავს: კაეშირი გაწყვეტილია
აწმყოსთან... ებორგავ: მარგო ვარ, მარგო!
უსათაურო ღღეთა მარულა,
მგვერი: *მღაპარში - იქ იყო ქაგო,*
ახლა აქ - ჩემთან შემოპარულა...

1995

პესიმისგური ღღურიდან

ექესი მარგია ღღეს,
მე კი - სიკვდილი მინდა...
ქარი წუხს, ქარი ჟღერს,
ქარი აწვალებს წმინდანს,
ანუ აღუბლის ხეს
და მის მოციქულს - აგამს...
ექესი მარგია ღღეს,
მშვს ეფიცხება კატა:
უღვას ხუნგრუცის ეამი, -
ვნება ძვალ-რბილში აგანს...

მე კი - შემშალოს ღამის
პეიშაეების ხაგვამ...

ექესი მარგია ღღეს,
მე კი - სიკვდილი მინდა...
ქარის ქვითინში ჟღერს
ანგელოსური - წმინდა -
ეოლიელთა ხმები...
ენადაპრობილ მარის
შეშლილ ღღემილით ეკვდები,
თვალებს მიხუჭავს ქარი...

6 მარტი, 1995

სასჯელის უმაღლესი ზომა: გენიოსების კითხვა

ვწვევარ: ღღმონი - გამოწურული...
ბითურს ცაშიც არ მექნება ბინა...
ბედნიერია ვარლამ ჟურული! -
იყო და წერდა... საფლაეში სძინავს...



თვითგვემის უსკერი... ვგრძნობ: ვერც ავღვები...
 რადგან ადგომას შემლა მოყვება...
 ვულს - მოცახცახე ფრინველს ვასკლები
 და არც იციან ჩემმა მოყვრებმა,
 რა საბრალო ვარ: ასე უძლური,
 რა ფრუანტელს მგერის გიგანთა მშერა,
 რა ფურთხის გემოს გოვებს ძუძგური:
 პურის ლოდნა და სტრიქონის წერა...

1997

ჰამბურგული ანგარიში

/ციკლიდან „იქ და აქ“/

სითბოს ენაგრობდი და არა ოქროს,
 სიგყვასთან მქონდა ჭიდილი, არა
 მორკინალებთან... იქ - ოკრობოკრო
 ქუჩით ნადველმა ჩამოიარა -

აქ მომიყვანა: არ ვიცი, ჩემს სულს
 „იქ“ რა ეწადა ან „აქ“ რა უნდა?! -
 წიგნების ღვთიურ გაძარში შესულს
 ირიბად მიმშერს ათასი ბუდა...

1995

გულს კვდიანი სიმმარ-ცხადის ტექსტი

აღარაფერს არ ჰგავს ჩემი
 უხოვრება და, ლექსიც არ ჰგავს
 რენეაღურს: სიმწრით, თმენით
 ვუციდი, რომ არ დამიკარგავს
 ცხვირს: სხვაგან მეძებს იგი,
 მე კი - აქ ვარ: ნახალია
 ა ავი - კედელს: დადგა რიგი,
 თუმც ესეც არახალია...

09.05.1996

დიდი უფულობის ლექსი

ჩემს ჯიბეში დარბის თაგვი -
რუხი მარათონელი:
დაშლივინებს ეგ აბრაგი,
ვითომც ოქროს მპოვნელი...
მეყინება: რას დაეძებ,
თაგვო, რაც არ მქონია?!

თუ იპოვი, მხოლოდ ლექსებს,
ფანქარს და, აგონიას
შლევთა შლევგის... დარბის თაგვი,
ნახვრეგს აჯენს ნახვრეგზე,
როგორც გყვიას, და აბრაგი
ჯიბეში ფულს დაეძებს...

1994

გემოდან ქვემოთ

გეიდან ფსკერზე! - სიღრმიდან მალღა! -
მესმის... მივობღავე - კარგა ხანია -
ეწვალობ - ვგრძნობ: უკვე ვერ ვიგყვი ახალ
სიგყვას და ძნელი ასაგანია -
ყოფნაც: წამებად მექცა ლექსების
წერა თუ მშერა შემლილ ქარისთვის...
სივრცე: ჩემს ბორცვაკს ეაღერსება
ფრთებით ბალახი და კიპარისი...

მემობლის პანაშვიდზე აკვიატებული ფიქრები

1995

პა, მომენატრა ვაშლი!
მწყინს: ისევ არ მაქვს ფული...
თანატოსი რომ გაშლის
ფრთებს - მოვა აღსასრული...

მკვდარს გამიწყობენ სუფრას
და, რაც მაკლია ახლა -
მექნება - უხეად, მით უფრო,
რაც შორს ვიქნები - მალღა...

1.5.1995

სველიანი კვირა დღე: გზა სასაფლაოსკენ

გოლსტოის ქუჩა... ნელი
ნაბიჯით - იქით მივალ:
მამის მესამე წელი! -
გამოუთქმელად მტკივა...
მარტოკამ უნდა ვაცხორო
მამის ნათელი სული,
თან შევავედრო მაცხოვარს
მამული - წაბიღწული -
გადაარჩინოს იქნება,
თორემ სამშობიე ცივა,
ქვეყნადაც... თავს არ ვიქებ, რა...
ისე, უბრალოდ მტკივა...

1994



უსათაურო

უფალო, ნებაჲ რა გთხოვე,

მგოსნად კურთხევის გარდა?!
რას შერჩი, რომ მამათხოვრებ -
კლასიკოსების კართან? -
რად დამსვი ყრუ, უპოვარი,
უსინათლო და მუნჯი?!
ხომ ვიცი, შენი რომ არის

ბგერაც, ფერიც და უნჯი
სიგყუაც... მწყინს: მაინც არ მწყალობ,
როცა ზღვა - უსასრულო
გაქვს, მე - მწირს - ტბასთან წანწალით
ღამის ამომხდეს სული...

1994

„პროფესიონალიზმის“ საფუძვლები

ღამის კომპარად გადაიქცევა
ღღის საზრუნავე: სტრიქონთჯახიერი...
შორს მიიქცევა და მოიქცევა
უჩემოდ ზღვა და, რადგან საყვირი
არა ვარ, ვიცი: ქვეყნად არავის
ვეკუთვნი - მონად... ცდუნების რტოებს
შუბლს არ ვუშვერდი... თუმც შემზარავი
არის სიცოცხლე და სიმარგოვეუ...

1995

ფენიქსის მონოლოგი

არ მსურს ვიქცე იმ ამებად, -
მილიონი წლით,
რომ ცოცხლობს... გულს ეამება:
სამად სამი დღით
ვიყო - ვენით - დავიფურფლო,
შარავანდით აღვსდგე -
ცისთვის... /ლაფში არ ჩავეფლო
და ყორანს არ ვგავეღე! /

მარცვლით - უფლის ნაბოძებით -
მადლიერი დავრჩე:
არ შემართოს აქ - ბოშების,
იქ - თაღლითთა სარჩელს
არ ვისმენდე... წმინდა ვიყო -
აისსა და მწუხრში...
/არ გავლორდე - არ გავიყო, -
ნათელსა თუ კუპრში! /

არ მსურს, ვიქცე პარამიგად, -
ნაქურდალ მშით გავთბე:
მიჯობს, ჩემი ჯვარი ვშიღო,
როგორც უფლის მართვემ!

5-6.07.1996

ოთარ ჭელიძე

ვინ როდის კვდება

(რომანი)

თავი XXIV მაგილის ქვეშეთი

ჩვენს ოჯახში იმ დღეს სტუმრად მოწვეულ მაიას შეგობართაგან ყველას ვიწმინდი, ისინი უმეტესად ახალდაწინაურებულთა შვილები იყვნენ, დახვრევილთა თუ ციმბირში გადასახლებულთა ადგილებზე დანიშნული მათი მშობლები წინასწარ გრძნობდნენ, რაც დაემართებოდათ და, ალბათ, ამიგომ ჩქარობდნენ, შვილების საუკეთესოდ ჩაცმადახურვის, მათი მამრისად დაზრდისა და პრესტიჟულ სკოლებში სწავლისათვის არაფერს იშურებდნენ. თბილისის პრესტიჟულ გერმანულ სკოლაში აღზრდილი მაია და მისი თანაკლასელები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ, მაგრამ შეგობრობას ძველებურად განაგრძობდნენ. იმ დღეს ბებია მართას სანახაყად ჩამოსული სერგო ბერიაც გვეწვია.

ღმილით პირსახეგაბადრულ ახალგაზრდა სტუმართაგან ქერათმიანი, ლურჯთვალება ექუენა ეორეოლაძე ძალზე ნალვლიანი გამოხედვითა და მდიდრული, მაგრამ უკუმოვნო ჩაცმულობით გამოვარჩიე. ეგაჟობდი, ვადიმუბას ისეე ლამობდა, ოღონდ ღმილის მაგიერ თხელ ტუჩებთან სიმწრის გრემასა აჩნდებოდა, რაც ისედაც არასწორნაკეთებთან, ოღონდ ეშხიან ხსეს უუმნოვბდა. ჩვენმა იუბილარმაე სწორედ მის გვერდით ისურვა დაჯლომა, - მოწყენილობა



რას მიქვია! ჩემი დაბადების დღეს მხიარულად გაგატარებინებთო! - უთხრა გვერდზე მიჯლომისთანავე და ექუენასთან ხმადაბალი საუბარი გააბა. მე მათ პირისპირ ვიჯექი. თორმეგოჯა ნაწლავის წყლულის გამო წლობით ხაჟოსა და ვაწურული მაწვნის დიეტაზე მყოფი ჩემი სიმამრი ზვანტკარამ ძალზე მალე ააჟიკიკია. მისგან დაძალეზულმა ღვინომ ექუენაც გააზხიარულა, და წელანდელი მოწყენილობის მიზეზი გიორგი ვასილევინს დახმარების იმედით ისე ხმა-მაღლა ჩამოუეჟქა, რომ მათ ახლო მსხდომთ მამამისის დაჭერის ამბავი წერილ-წერილად მოგვასმენინა. თბილისის საჟიაციო ქარხნის გვერდზე, სახადლოში მეზუეეგედ მოწყობილ ექუენას მამას ღმიონათისა და ბორჯომის წყლის გარდა, ყოველგვარი მაგარი ხასმელის გაყიდვა ჰქონია აკრძალული, მაგრამ ხაშის საჭმელად შემოსული ხალხი რადაცნაირად მაინც ახერხებდა ღათრობას. მრავალგზის დასეემა რეეეზია და მილიცია, საწყობი და ბუეეეე ათასგზის გაუჩხრეკით, ერთიანად გადაუტრიალებით, მაგრამ ჭაჭის ან რაიმე მისი მსგაჟესის ნასახიე ვერსად აღმოუენინათ. პირში ჩალაგამოვლებული რეეეზორები და მილიციის მუშაკები ღიღხანს უდარაჟებდნენ, რა გზით არა ედილობდნენ ამ იღუმალებით მოეული საქმის გახსნას, ოღონდ ვერაფერს ხეებოდნენ. სარდაღიდან ამოსული, შექეიფიანებულე ხალხის დაკითხვით მათ არა გამო-სდიოდათ რა, რადგან ის ორასიოდე კაცი,



ვისთვისაც იმ სასაბილოში ხაში იხარშებოდა, ყველა ერთხმად გაიძახოდა სასმელი ჩვენ თვითონ შევიგანეთ, აბა, უარყოფ ხაში სად გაგონილარ.

- კი მაგრამ, „ბორჯომისა“ და ლიმონათის ცარიელ ბოთლებს არყის სუნი რომ არ ასდის, რითი შეიგანეთო, როცა კეთიხადენენ, შემთვრალი „ხაშისგები“ ხელს მუცლებზე იბარგყუნებდნენ, ამითი შემოვიგანეთ, არაყი სასაბილოში შემოსვლამდე დავლიეთო. რაღა თქმა უნდა, მილიციას შათი ნათქვამის არა სჯეროდა, ოღონდ ბეჯან ჟორღოლანის ვალე „გამოჭერას“ მაინც იმედოვნებდნენ. არაყგადაკრული ხალხისაგან მილიციას სამ წელს უშეღვრო ძიებით ვერაფერი რომ ვერ შეუგყვია, ბოლოს მუშურ განსაცემელში გადაცემული მთელი ათეული შესულა სასაბილოში, რომლის პირსაბანთანაც ერთ-ერთ მილიციელს მაშინ ამოუცნია ბნელით მოცული საიდუმლო, როცა ჭიქით ხელში წყლის ონკანთან მიმდგარი თეთრხალათიანი ბიჭი მუჯღუგუნით გვერდზე მიუგდია და პირზე წყლის შესხმისას სახე და თვალები ისე ასწვია - სიმწრისაგან დაუკლავლია. თვალებიდან ღვარღვარით ცრემლებმოთქრიალე მილიციელი გადაცემულ მეთაურთან მიჭრილა და დაწინაურების მოლოდინით, სულმოუთქმელად მოუხსენებია, წყლის მილიდან ცხარე ჭაჭა მოჩქეფსო. წყლის მილიდან არყის ჩამოღინებას აბა, რომელი ჭკკათამყოფელი იფიქრებდა?

ეუენას მაშას ყოველ წელს არყით საესე რუმბები აპქონდა თურმე იმ სახლის სხვენზე, რომლის ხუთი სართულის ქვემოთ სარდაფში მუშათა სასაბილოს ბუფეტს თვითონ განაგებდა. ყოველი თვის ბოლოს ოცუთიან რუმბს წყლის მილს უერთებდა და ის თეთრხალათიანი ბიჭი, მილიციელმა მუჯღუგუნის კერით განზე რომ მიაგდო, ნაცნობ მუშტრებს წყლის ონკანიდან არაყს უსხამდა და იქვე ასმევდა.

გამომგონებლობით თავმოქმონე გიორგი ვასილევინმა ეუენას მაშის მოხერხებულობა გაიოცა და ღვინისგან დაწვინაწითლებულ ქალიშვილს რაღაც ჩასჩურჩულა. გამხნეველმა ეუენამ მაიას მაშას თვალებში როდესაც შესინა, სწორედ ამ დროს ბუბიას კალთას გამოპარული ჩემი წლინახურის

ბიჭი თავისი ოთახიდან გამობაჯბაჯდა და მაგდის ქვეშ შექერა. იმწამსვე მისკენ დავიხარე, სუფრის ქვეშ ბოჩოლასავით დაოთხებული ბაღლი გარეთ როცა გამოწყავდა, სწორედ მაშინ შევნიშნე, გიორგი ვასილევინის მსხვილბეჭდიანი ხელი ეუენას ბარძაყებს შუა როგორ აფათურდა. ჩემ ბიჭს სანამ ჩოჩიალაში ჩავაყენებდი, ეუენას შეეხედე. სახელეწვია ქალიშვილი ჩუმად იცრემლებოდა. ახლა მისთვის აღარავის ეცალა. მაიას ყოფილი თანაკლასელი, სანდომიანი სახის ენამხვილი სერგო ბერია თანამესუფრეებს ცინცხალი ანეგლოგებით ახარხარებდა. მან აცრემლებულ ეუენას თვალი როცა შეავლო, გიორგი ვასილევინმა ის ხელი, წელან ეუენას ბარძაყებში რომ ელო, ახლა ოქროსფერ თმაზე მამაშვილურად მოუთათუნა გოგონას. ომში დაღუპული ძმა გაახსენდაო, - ეუენასადმი ხმამაღალი თანაგრძნობით განუცხადა თავისი მეგობრის შეილს მიწყიე წყნარად და ხმადაბლა მოსაუბრე კინონინერმა. რასაკვირველია, ჩემსა და ეუენას გარდა, მისი ნათქვამი ყველამ ირწმუნა. სერგომ ჩემს სიმაშრს ეჭვიანად გამოხედა. მეგობართა დაეინებულ თხოვნას ყური აღარ ათხოვა... ერთხანს იჯდა გარინდებული, ბოლოს დიდი ბოდიშის მოხდითა და სასწრაფო საქმეთა მშომიშეშებით შუშე წამოღდა და ისე დაეგუმშვიდობა, მამამისის მეგობრისაკენ არც ვაუხვია. მისი მოულოდნელი წასვლით შეტებებული, სუცბაღევად შუშე წამომდგარი ჩემი სიმაშრი ერთხანს ჩაფიქრდა, შერე ისევ შხიარული კაცის ნიღაბმორგებულმა, ხალისიანი და გონებაშახვილი სტუმრის წასვლით გულდაწყვევილ სუფრას გადახედა და ის ერთადერთი ლექსი, რომელიც მას ახსოვდა და პოეზიის დიდი მოყვარული წარამარა იმეორებდა, ახლაც, სტუმართა ყურადღების სხვა საგანზე გადასაგანად ხმათროლვებულმა წარმოთქვა:

"Но нигде я не стану вас чувствовать
Юбилем лучей, и на свете
Вы не встретите дня, день не встретит вас,
Я вам ночь оставляю внаследье.

პასტერნაკის „პაგანინის ვიოლინოდან“ საყოველთაოდ ცნობილი სტროფის წარმოთქმის შემდეგ, შემთვრალ სტუმართაგან

კანგიკუნებად ტამის დამკერელთა შორის ტაში ყველაზე გულმოდგინედ ეუკუნა ეორტ-ოლაძემ რომ დასცხო, არ შემიცხადებია, რადგან ღრმად ვიყავი დარწმუნებული, გიორგი ვასილევჩი მას მამის გათავისუფლებას უჭველად შეპირდებოდა. წელსქვემოთ ხელის მოთათუნების ფასად ქრთამის მცირე ნაწილი მას წინასწარ პქონდა აღებული, ხოლო სხვა, დიდი ნაწილის აღებასაც ახლო მომავალში მოელოდა.

კიდევ სხვა ლექსების წარმოთქმისა თუ შუღლამისას ქუჩაში მძარცველთა თავდასხმის შიშით როცა სხვებიც წამოიშალნენ, მაიას მამამ მათ მამაშვილურად დაუყვავა, თან კოსტიუმის ჯიბიდან თეატრის ბილეთების დასტა ამოიღო. - ხეალ მარჯანიშვილის თეატრში ჩემი უსაყვარლესი მეგობრის პიესა, - „ინინერ სერგეევის შეელომა“ იდგმება, ყველას გეპატივებითო - კვლავ ხმის ოსტატური ათრთოლებით წარმოთქვა და ბილეთები სათითაოდ ჩამოგვირიგა.

სტუმრები სადარბაზომდე მარტო მე გავაციდე. იმ დამეს ძილი აბობოქრებული მდინარის გაბალახვასავით ძალზე რომ გამიჭირდა, ფიქრში კვლავ ჩემს ნისლას მოუხმე. წარმოდგენილი რაშის ქროლვა-ჭენებით დაღლილს, რიბირაბოს ეამს ჩამქმინა. სიმმარში ჩემი სიმამრის ხელიდან გამოგაცებულ ეუკუნა ეორტოლაძეს სადღაც ცხრა მთას იქით მივაქროლებდი. მისი გადარჩენა მეწადა, მაგრამ ყველა გმაჯავრედინზე ცხრათავიანი გიორგი ვასილევჩი მხედებოდა.

მეორე დღეს რედაქციიდან პირდაპირ თეატრისაკენ გავწიე, სპექტაკლის დაწყებამდე მე და მთავარ შესასყელეთან დანიშნულ პაემანზე შესვლად მოსულმა მაიამ თეატრის ბუფეტში წაიხეხმეთ. ჩემი ცოლი პიესის აუტორს მერკულოვს კარგად იცნობდა. მისგან შევიგყვე, რომ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის კულტურის ფასეულობათა გამგებულს, სტალინის შიშით, იმ აურაცხელი სიმდიდრის უმცირესი ნივთისათვისაც კი არ დაუკარებია ხელი, რომლითაც დაბამიანის შუბლის გყვითი გახვრება არაფრად მიაჩნდა. მაიამ, რაღა თქმა უნდა, მამინაცვლის მონაყოლიდან ისიც მაცნობა, როგორი როლი მეუსრულებია გოგლიძე-

სთან ერთად, მერკულოვს ლავრენტი ბეროიას გადარჩენაში, როდესაც სპეტროველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაწინაურებულ ბეროიას ეყოვი დაპატიმრებას და შემდგომ მიწასთან გასწორებას უპირებდა. მაგრამ ბოლოს ისევ გიორგი ვასილევჩის ნათქვამი გაიმეორა: მერკულოვს სტალინისათვის ისეთი დამაჯერებელი ახსნა-განმარტებითი ბარათი მიუწვრია, რომ დასაპატიმრებლად განწირული ბერია და მისი ორივე ხელქვეითი - გოგლიძე და მერკულოვი კრემლში გამოუძახია. ეყოვის მოადგილე დანიშნული ბერია თანამდებობით მასზე უფროსის კაბინეტში ერთხელაც არ გამოცხადებულა. თურმე თვითონ ეყოვი ჩადიოდა მასთან აუცილებელ საქმეებზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ მათი საუბარი სულ რამდენჯერმე შემდგარა, რადგან ბეროიას ეყოვის ადგილი მალე დაუკავებია. ეყოვის „რიჩის მუშის“ წინააღმდეგ პირველი დოსიაც, ცხადია, ბეროიას კარნახითა და შთაგონებით მერკულოვს შეუდგენია. თეატრის ბუფეტში მაიასთან მერკულოვზე საუბრისას ერთი სული მქონდა, შემეტყო უმაღლესი რანგის მისამართით ახსნა-განმარტებითი ბარათებისა თუ დოსიეების მწერალს როგორი პიესის დაწერა ძალუძდა ან რისი თქმა უწადა. მესამე მარი პარტერის მეოთხე რიგში ჩვენი დასხრომისას დაირეკა. ხალხით გაჭვდილ თეატრში მაიას მეგობართა შორის სერგო ბეროიასაც მოეკარი თვალი. როგორც თანაკლასელთა სიძეს იგი შორიდან გულბოთით დიმილით მომესალმა, - მის გვერდით ლამაზი ქალი რომ მის, დედამისი - ნინო გეგეჭკორიაო, - ჩამურჩულა მაიამ. როდესაც ჩვენს უკან მჯდარმა მისმა თანაკლასელმა წერილი გადმომცა. „წუხანდელი აჩქარებისათვის დიდ ბოდიშს ვიხდით. ამ სპექტაკლსაც ვერ დავუწვრები ბოლომდე, რადგან გუშინდამ მოსკოვში გასამგზავრებული, თბილისიდან ამაღამაც თუ ვერ გავეგებე, საქმე უნდა წამიფა. ძმურად გეხვევით, თქვენი სერგო“. მამამისის უერთგულესი მეგობრის სპექტაკლზეც ბოლომდე ვერდასწრების მიზეზი, ალბათ, დიდად სერიოზული საქმე უნდა იყოს-მეთქი, - ჩემად ვუთხარი მაიას. - რა თქმა უნდა, მაქსიმ გორკის ოჯახთან

საბარათო
06.08.20
ბიბლიოთეკა



დანათესავენა, არც ისე მცირე საქმეაო; დი-
მილით მიპასუხა მაიამ, თავისი თანაკლა-
სელის მრავლანი აღრევე რომ სცოდნია.

ა. მერკულოვის „ინჟინერ სერგეევის შე-
ცდომა“ უფერულად დაიწყო და ხელოვნუ-
რად „დაძაბული“ სექტაკლი უღიმღამოდ
დამთავრდა. ხალხი თეატრიდან ფეხაკრეფით
გაიკრიბა, სექტაკლი არაფის მოგვეწონა,
იმ მორცხვი ქუქუნას გარდა, პირველ რიგში
გიორგი ვასილევინის გვერდზე რომ იჯდა
და წარამარა ტაშის კვრაში თავის ხნოვან
მესაიღუმლეს ეჯიბრებოდა. ზედმეტად მძა-
ფრისუქებიანი პიესა იმდენად სუსტი იყო,
რომ ბრწყინვალე მსახიობთა თამაშიც ვერ
აიციხლებდა. მაიას მაშინაცვლისა და ქუქუ-
ნას ურთიერთობა, რასაკვირველია, იმ სუფ-
რის და ამ წარუმატებელი წარმოდგენის
მერვე არ შეწყვეტილა.

ორ ცეცხლსშუა მოქცეულმა ჩემმა სიამა-
რმა იმ დამეს ჩვენთან ერთად შინ დაბრუ-
ნებას ქუქუნას სახლამდე გაცილება არჩია.
აგადმოფურად თავმოყვარე მაიას მის საქ-
ციელზე ჩემთან არა უთქვამს რა, მაგრამ
თეატრიდან სახლში ფეხით მისვლამდე ორი-
ოდე შეკითხვამე მისმა დაბნეულმა პასუხმა
ხმა ჩამაკმენდინა. სადარბაზოს კარი ჩუმი-
ად, ფრთხილად გავაღეთ და მაიას ღღის
შეუძწნველად ბინაში ქურდებითი შევია-
რეთ. - ჩემი ქმარი სად არისო, - ქალბატონ
ფეფოს რომ ეკითხა, რა უნდა გვეპასუხა?

თავი XXV
პერპეტუობილე

ერთი ცნობილი ქართველი კრიტიკოსი-
სა არ იყოს, ახალგაზრდობაში ქალებთან
ზედმეტად მორცხვი, ცოლის შერთვამდე მდე-
დრსგუკარებული გიორგი ვასილევინი ნახე-
ვარი საუკუნის ვალევისთანავე ცეტი ბიჭი-
ვით აცუნდრუკდა, მაგრამ ჩემი კეთილი,
გულბერყვილო სიღერი ნაშუადამეფს შინ
დაბრუნებულ ქმარს ვახშამს ახლა უფრო
ხალისიანად უშლიდა. შინიდან მოგჯერ კვ-
ირაში ერთხელ ძლივსგატყულმა გიორგი
ვასილევინმა, ყოველდე იწყო სამსახურში
სიარული, გახალისდა, გამხიარულდა. თავ-

ის ოთახში ხშირად აღარ იქცევიდა, მაგ-
რამ ხელფასიც აღარ მოჰქონდა. რამგადა-
ხილ ქვეყანას ექვსი თვით ჯამაგირის დაგ-
ვიანებაზე სამღურავს როგორ ვეგყვიო? -
თავს იმართლებდა ოჯახის მოსიყვარულე
თმაჰალარა ინჟინერი და ექვსი თვის წინათ
სასტკაი ომში გამარჯვებულ, მაგრამ სამინლ-
ად გაპარტახებულ ქვეყანას ნამუსს შეჰნდდა.
მეშვიდე თუ მერვე თვეს მან მართლაც
ერთად მოუტანა თავის მიმნლობა და სათნო
ცოლს დაკლებული ფული, თან მოსკოვში
გასამგზავრებლად განემშადა. გამოგონებას
მიმტკიცებენ, პატენგის მისაღებად, სააგე-
ორო უფლებების დასამტკიცებლად ჩემი იქ
ყოფნა აუცილებელიაო. ვაგზლამდე თავი
არაფის გაგვიცილებინა. აგრე პაიპარად სა-
ხლიდან მისი გასვლის ოციოდე წუთის შემ-
დეგ, მეც ლამის მთელი კვირის უნახავი დე-
ღისაკენ გავეწიე. ხალხით გადატვირთულ
ტრამპვის ვაგონში ჩემი სიამარის მეგად
ორიგინალურ გამოგონებაზე ფიქრმა გამი-
ტაცა, გამოგონების ძირითადი, ანუ დედა-
ში უნაყოფო ფანტაზიად მიმაჩნდა. კინო-
ტექნიკის საკითხებში ვაუთვითცნობიერებ-
ლობისა თუ ჩემი სიამარის გამოგონებ-
ლური ნიჭისადმი უნდობლობის გამო, ვერ
წარმომედგინა, ჩვეულებრივ კინოტენგის
სააროქტო აპარატის შემწეობით, კერანზე
ფერები როგორ უნდა გადაეკანა? ანდა სრუ-
ლიად ახალი ფერადი კინოს ეს ურთულესი
პრობლემა ასე ადვილი გადასატრელი თუ
იყო, როგორც გიორგი ვასილევინი მიმტკი-
ცებდა, რატომ აღრევე ვერ გადაწყვიტეს კი-
ნოტექნიკის დარგში ჩვენზე მეგად განვით-
არებულმა ქვეყნებმა, სადაც ფერად კინო-
ფილმს მხოლოდ ფერადი კინოფირით უხვე-
ნებენ. ჩემი სიამარის ინჟინრული ნიჭისადმი
უნდობლობას დედამემის სარდაფში მობინ-
ადრე ერთი თავმეხულადებული ლოთი ვე-
იკას მაგალითიც მიმყარებდა. მუდმივი ძრავ-
ას, ანუ პერპეტუუმ მობილეს შექმნის იდე-
ით შეპყრობილმა ვედიკამ წყლისა და კან-
ალიზაციის დამალი მილების შეკეთებაზე
და ოჯახზე გული რომ აიყარა, დედამემის
ნებართვით, ჩვენი სარდაფი გადატვირდა და
მიგ სახელოსნო მოაწყო. დიდიდან სალა-
მომდე რკინის რკინაზე ჩაქქუნის ხმა იმ სა-
რდაფიდან ჭასავით ბნელი ემოს მაჯისცემად

იქცა. მუღმივი ძრავას „გამომგონებელი“ მხოლოდ საღამოებამს ამოდიოდა სარდაფიდან, რომლის კარს სამი დიდი ბოქლომით და ურდულით ეკბაედა. ერთხელ მისივე თხოვნით, ჩემი ძველი ნაცნობი, გექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ჩავიყვანე სარდაფში ვედიკას სახელაჯის შესამოწმებლად. აი, სულ პატარა რადაც აქლია, სულ მუღამ რომ იმუშაოს, აი, სულ პატარა რადაც უნდა დაემაგოს რადა, - იმეორებდა ვედიკა და ცნობილი მექანიკოსის სახევე დიმილი რომ შენიშნა, ჩაქუჩს დასტაცა ხელი. - აი, ეხლავე დავამატრევე, სულ ნაკუწ-ნაკუწ ვაქციე ეხლავე. თუ დასაყინი რამე გამოიკეთება. ჩემ ნაცნობ მექანიკოსს დიმილი ტურნებზე შეეყინა. იმწამსვე მიხედა თავის შეცდომას, მაგრამ იგი ძალაუნებურად მარტო ვედიკას ნაციოღვილარს კი არ გაუღიშებია, როგორც თვითონ თქვა, არამედ ადამიანის მიერ მისივე თანამოძმეთა ათასწლოვანი გამოცდილების არად ჩაგდება მოპგვარა მწარე სინანული. რაღა თქმა უნდა, ვედიკა მის ნათქვამში რომ ვერ გაერკევა, ჩემი ნაცნობი პროფესორივე კარგად მიხვდა. აი, ის პატარა რადაცა, რისთვისაც თქვენ ვერ მიგვიგნით, მთელი კაცობრიობის უდიდესი საფიქრალია. მაგ მცირე დეგალს რომ მივავნოთ, ადამიანებს ნავთობზე, ქვანახშირზე, აგომურ თუ შშის ენერჯის მოპოვებაზე შრუნვა აღარ დასჭირდებათ. ვედიკამ მუღმივი ძრავას გასანადგურებლად შემართული ჩაქუჩით სარდაფის დანაგვიანებულ კუთხეში ახორხლილი არყის ცარიელი ბოთლები მიაშსხვრია, - ჩემს ნაცნობ მეცნიერს აცახცახებული ხელი გაწვოდა. - მაშ მოდი და ამ გამოგონებაზე ერთად ვიმუშაოთ, რაღა, ფულიც სახაეეროდ, ძმურად გავიყოთ. ჩემმა ნაცნობმა მექანიკოსმა ვედიკას ხელი, რაღა თქმა უნდა, თანხმობის გამო კი არა, საუბრის მოთავებისა და დამშვიდობების ნიშნად ჩამოართვა, თან სავინიგო ბარათიყ დაუტოვა, რამეც მათი კვლევითი ინსტიტუტის მისამართი და გელეფონის ნომერი ეწერა, - ჩვენს ინსტიტუტში მუშად მოგაწყოთ. პერპეტუემ მოხილეს შექმნაზე კი არა, მაგრამ სხვა გამოგონებაზე ვიმრომეთ ერთად, კარგი ხელოვანი გვჭირდებათ, - უთხრა მან მუღმივი ძრავის შექმნაზე თავგადაკულ

კაცს და მეცნიერის ნათქვამმა ბოლოს მარტო ვედიკასი კი არა, მთელი მისი ოჯახის ცხოვრების ვითარება შეეცვალა. არყიდან ღვინოზე გადასული ვედიკა უპატრონოდ მიტოვებულ ცოლ-შვილს ნელ-ნელა დაუბრუნდა. - დილაადრიან მთელ ემოს აღვიძებდა ხოლმე მისი ძახილი: - ქალო, პურზე ბავშვი გაუშვი, ვერ ხედავ, ინსტიტუტში მივლივარ, ინსტიტუტში მაგვიანდება! სუფთა განსაცემელში გამოწყობილი, შავშლაპიანი ჩემი შემობოდი მალაკნების ბაზრის ახლო დუქნებსა და დარაბებს რომ ჩაუვლიდა, სეირის მოყვარული ნოქრები და დახლიდარები იმწამსვე გარეთ გამოიფინებოდნენ, - ბატონ პროფესორს გაუმარჯოს! პროფესორს ჩვენი საღამო! სხვა, ინსტიტუტში რა ამბებია? ქუჩაში კარგახანს მიაცილებდა მართლაც და დიდი სწავლულივით დინჯად მიშავალ ვედიკას მათი ქირქილი, ბოლოს მისი ნაბოლარა, ათი წლის შავტუხა ბიჭი შედ მალაკნების ბაზართან გრამვიამ რომ გაიტანა, ვედიკას ცოლვით მთელი ჩვენი უბანი იწვოდა. მექანიკის კვლევითი ინსტიტუტის ყველა მეცნიერი მუშაკი მიაცილებდა ეოლონჩელის ფუტლიარისხელა კუბოში ჩახვენებულ ყმაწვილის ცხედარს. მე და დედაჩემი კუკიის სასაფლაოზე აყვევით პროცესიას. შვილის დალუკვის შემდეგ მაგ წვერ-მოშვებული ვედიკა ორმოც დღეს გარეთ არ გამოსულა. წყლისა და პურის გარდა, პირთან არა გაუკარებია რა. ბოლოს, ინსტიტუტში წასვლისას დედაჩემისთვის უთხოვია, შენმა შვილმა მინახულოსო. რაღა თქმა უნდა, მგლოვიარე ვედიკა იმდღესვე მოვიხახულე. - კოტე, შენმა სხვა არაფერი მინდა, სამუშაოზე მარტო წასვლა მეძნელდება და თუ გამომყვები ნამდვილ ძმობას გამოიწვიო. ესეთ მცირე თხოვნას აბა როგორ არ შეუკსრულებდი. მალაკნების ბაზართან გაულისას ყველა რიდიითა და კრძალვით ესალმებოდა. კარგი ოსტატის სახელდამკვდრებულ კაცს კვლევით ინსტიტუტშიც ისეთი პატივისცემით დახვდნენ, რომლის მსგავს პატივისცემას გიორგიც ვასილევანი ვეროდეს რომ ვერ ეღირსებოდა, რადგან მისი მეობის საწყისი მწირ ნიადაგში იყო ჩამოწვლილი მას თითო ოროლა შემთხვევით აღმევეებული პირის გარდა, არაყინ ახლოს არ იკარებდა.



საკუთარი გამოგონებისა თუ სწამდა, არც ეს შეეროდა. მის თავდაჯერებულობისა და თვითკმაყოფილების მიზეზზე დაფიქრება აღარ შეწადა, რადგან ის კაცად არ მიმაჩნდა. ვის ქვეყანაშიც ცხოვრობდა, მას იმ ხალხის კარგად გაცნობის სურვილი ახლო არ გაჰკარებია. როგორც პიროვნება, მას ჯანსიაც ათი თავით აღემატებოდა, რადგან იმ მახინჯს, თავისი ნამოქმედარი ჯერაც არ ჰქონდა გაცნობიერებული. ვიორგი ვასილევების ყოველი ნაბიჯი წინასწარ ჰქონდა გამოთლილი, იგი ისეთს არას მოიმოქმედებდა, რაც მის სათაყვანო შეგობრებს არ ჩაუდენიათ. მას სწებობრივ ეგალონად ვეება იმპერიის სათ. ვეში შემთხვევით მოხვედრილთა ქვევა წარმოსახუოდა. სამოქმედო ასპარეზის მცირე მასშტაბი შეგობართა თვალში მას უპრეცედნით და საძმო საქმისადმი უერთგულეს ადამიანად წარმოაჩენდა, ოლონდ მისი გერის ან თავად მისივე უბედურებით ვერც იმ შეგობართ დაალონებდა, დღედაღამ საკუთარი თავის აღმაგებამე, თანამერძოლთა ცხედრებზე გადავლით უმაღლეს მწვერვალზე აღწევას რომ ღამობდნენ.

თავი XXVI უცნაური გამგზავრება

მგზავრებით გაჭედილ გრამევის ვაგონში ვილანის მუჯღუგუნმა ფიქრებიდან გამომარკვია. უკანა ბაქნიდან ჩამავალმა ერთმა ზორბა გლეხმა თავისი ხილისკალათიანად ვაგონის ახლო გარეუბასთან ჩამიგანა. გრამევიანი ხელახლა ავილას ერთხანს ქვეითად სიარული ვარჩიე. დედაჩემის ბინამდე ძალზე მოკლე გზა სრჩებოდა გასაღული. სადგურის მოედანზე გრამევიანმა ჩემდა უნებურად ჩამომხგარს, დედასთან ორი ქუჩით შემებლო მისელს, იმ ორიდან, რა გმითაც უნდა შეელო, ნიკო ფიროსმანაშვილის ნაბინავარს მაინც ვერ ავცდებოდი, იმ კიბესთან წუთით შეჩერება, რომლის ქვეშაც დიდ მხაგვარს უცხოვრია, ჩვევად შექცა. მაგრამ ახლა უციით სიარული, რაგომლაც გადავიფიქრე, ისევე გრამევის დავე-

ლოდე, ამ ქვეყნად სამი წლით ადრე რომ მოესულიყავ, ნიკალას სახე ჩემი შემობლებივით დამახსოვდებოდა; პო, კარგად ვიცნობდითო, ლოგოსა თუ კარგის თამაშისას, რომ გრამევიანდნენ. რამდენჯერ მითამაშია ბურთი იმ ეზოში, რომლის სიღრმეში მიმდგარი ორსართულიანი სახლის უკანა კედელი რომ გაგვეკრა, ჩვენს ეზოში აღმოჩნდებოდი. ფიროსმანის ნაბინავართან წუთით შეჩერებისას თვალწინ ყოველთვის ჩემი ბუნდოვანი, უღიმიამო მომავალი მესახებოდა. დაბეჩავებული, დაჩანჩანაკებული, მაგრამ სულით ჭაბუკი უნდა მოემკედარიყავ, ყველასგან მიგოვებულს, მორგიდან, ღამით, ბალდახინით კი არა, დროვით წამაჩაკეებდნენ ოღროზოდრო ქვაფენილზე და სადღაც, თბილისის გარეთ ღრმა ორმთში ჩამავდებდნენ. ახალგაზრდა კაცს აგრე რაგომ წარმოშეგინა ჩემი მომავალი ან რა ძალა მამრებდა ნიკო ფიროსმანის ნაბინავართან, ჯერ ვერ გამეცნობიერებია. არადა, რაღა დავიმალოთ და, იმ დაფხავებული კიბის ქვეშ გათავებულ ქრისტიკსავით კაცს თითქოს ბევრჯერ გამოვლაპარაკებიათ კდე. ეზოში მობურთავე ბაეშეებს შემული ვგონებიათ, მათ ჩემთვის ბევრჯერ, სიცოცხლთან ერთად, აგურის ნაგებებიც დაუშენიათ. შეუბრალებლები, დაუნდობლები არიან ერთად თავშეყრილი ბაეშეები. ისინი სათითაოდ ანგელოშებს ჰგვანან, ერთად როცა შეიყრებიან, მტრისას! ერთი ჩემი შემობედი დედაბრის ნათქვამი მახსენდება: საწყალ ნიკალას სიციოცხლეს უწამლავდნენ, აი ეგ ღაწირაკები, ვაეკაციები ვართო, რო გაიძახიან. თავზე ჭალარა ქალის მანდილივით რო უფრიალებთ, აი ვეგნი, ბქეთ დამინოს და იქით ნარდს რომ თამაშობენ თითო ბოთლა ღვინოზე. არც კი სცხენიანთ, ნიკალას კარგად ვიცნობდითო, რომ გრამევიანდნენ. მაგათ ნიკალა კარგად რო სცნობდათ, მისხარად კი არ ავიგდებდნენ, კიბის ქვეშ მის ფიცრულს ქვეებს კი არ დაუშენდენ ეგ დასამიწებლები. რა დაუშავა იმ საწყალმა მავ არგასამეშებებს, მაგათა.

სათითაოდ ყველა კარგად მგონია. თავამიანად მომესალმებიან, როგორა ხარო, - მომიკითხავენ, ერთად შეყრილებს ვინმე ახლოს თუ ჩაუვლის, სიცილით იფხრიწებიან,

- ბებო, ცხვირსახოცი დაგივარდაო, წელან ესეც მაკადრეს. თქვე წვინტილიანებო, აიღეთ და ეგ უნამუსო ცხვირები მოიხოცეთ-მეთქი. მახსოვს, ამის თქმისას დედაბერი როგორ შეიშმუშნა, კაბის ჯიბეები მოიქექა, ჟუი, მართლა დამკარგვია ცხვირსახოცი, მაგათ რას ეუმართლებოდი, ქაა! ჩემ ხელში არიან დამრდილები, სათითაოდ ყველა კარგია, ერთად რო შეიყრებიან, - ეს უზო სოლომონომორი გეგონება. წლები მოემატათ, თორე ჰკუთ ისევე ჰკუები არიან. აბა, ვის რა სჭირს მაგათი დასაყინი? პაი, ერთხელ მაგათ როგორ დაერია მთერალი ნიკალა!.. ალიყურუჭმელი ერთიე არ დატოვა. დილით, გამოფხიზლებულმა, ყველსა თურამაულის ვამლები ჩამოურთვა, - სიღანაჭამებო, აბა, ესლა ვაშლები ჭამეთო. კარგად ვიწნობდიო, ნუ გრებაახობენ... ღამის იმისი ხნისა ვარ და, მე ვერ ვიგყვი, ვიწნობდი-მეთქი, როგორც გაირკვა, არავის გვეწნობია, ნიკალას ბელი ამ ცოდელო მიწამე კი არა, ცამში ყოფილა გადაწყვეტილი.

სადგურის მოედანზე გრამავის გაჩერებასთან შემდგარს ერთი კვირის წინანდელი დიალოგი გამახსენდა.

- აქ რომ ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობდა, ახლა სად არის? - ქუჩისპირა დარაბი-საკენ მივახედე შემობლის ბიჭები.

- დეიდა ელოი? აქ ბღარ ცხოვრობს! - მიპასუხა ერთმა გრძელცხვირა, ელაშმა ყმა-წვილმა და გრამავის ხაზისკენ გადააპურჭყა.

- სად გადავიდა? - რაეი, - ქართლურად მოუქცია თამბაბურძენილმა წითურამ.

- კი არ გადავიდა, გადაიყვანეს, - ისევე იმ პურჭყიამ მიპასუხა.

- სად?

- თავის ქმართან, კუკიაზე, - ჩაიყინა პურჭყია ბიჭმა და სხეებმაყ სიცილი დამყარეს. სიცილით გული რომ იჯერეს, - რამდენი ხანია ქალაქში ცხოვრობთ-მეთქი? ვკითხე ბიჭებს, ქალაქელობისა ნიშანწყალიც რომ არ ექნათ.

- რამდენი ხნისაც ვართო, - მიპასუხა ისევე იმ ცხვირამ, თექქსმეტი წლისამე ცოტა მეტის რომ იქნებოდა.

მათ თავაშიანად დავემშვიდობე. გზადაგმა უსიამო ფიქრები ამუკვიატა. თბილისში დაბადებული, გამრდილი ბიჭები, მათი მშობ-

ლებივით, ისევე კუთხურ კილოკაგზე რომ ჩიქორთულობენ ხალხმრავალ ქუჩაში, როგორც ორდობეში ისე იპურჭყებიან, ქალაქის მკვიდრებად მხოლოდ დავეთარში ჩაწერით ითვლებიან თუ მოქალაქეობრივი ღირსებით? მათ შემყურე თბილისს დახეწვისა და ბუნებრივი ურბანიშაყის ნაცვლად, გასოულელება ხომ არ ემუქრება? როგორ? გასხვაერებას გასოულელება არ გირჩევნია? - ქართველებს თბილისში დამკვიდრებას უკრძალავ? - ეგ ჩემი შინაგანი ხმა მეკითხება. პირიქით, უკრძალავ კი არა, მათ ნაფხურებს დაეკონიდი, ჩენი ქუჩები ნაფერთხში აშელდი მგერთ რომ არ იყოს გამინთული, ჩენს ქალაქში მცხოვრები მოძმე ხალხის შეილები სხვის ოჯახში შეპარულეებით რომ არ მოიქნენ, სწორედ მათ, ჩენმა ახალგამრდებმა უნდა უჩვენო მაგალითი, ისე, როგორც ბალგისპირეთში ხდება. კია ბიჭი ხარ და, რიგაში ან გალნის ქუჩაში სიგარეტის ნამწვი ან ან ქალაქის პაწია ნაკუწი დაგივარდეს, ჯარიმის გადახდას ვინ ჩივის, იქაური ახალგამრდები ისეთ დღეს დაგაყრიან, თაბეულს გაწყველინებენ. თავი თქვენს ბინძურ ქალაქში ხომ არ გგონიაო, - შემაჩერა ერთმა ტალინელმა ჭაბუკმა, ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღებისას ბილეთი რომ გაღმომიფრიალდა. კიდეე კარგი, მან დამანახა, თორემ უმბილეთოდ თბილისში თვითმფრინავით ვერ გაღმოფრინდებოდი. ჩენე კი, აქაოდა, ძველი ინგერნაციონალისტური გრადიციების გამგრძელებელი ხალხი ვართო, სიგყვა ვერავისთვის შეგვიბედავს. უხეირო, ბინძურ მეეზოვეს ქუჩის ჯერ მორწყვაზე და მერე დაგვაშე თუ რამეს ეგყვი, აქეთ შემოვიგყვ: შენ ვინა გკითხავსო, ვისი გიციგომარა გლიხარო?! ქართული ენა ბევრმა ჩვენებური ღანძღვაგინებით გაიგება.

ასეთ წერილმანებზე რა გალაპარაკებსო, მეგყვის მავანი, მაგრამ მსხვილმანებზე მსჯელობას ვიღრე შევეუღვებით, შესაძლოა, მგვერმა დაგვახჩნოს, ანდა ქოლერის ეპიდემიამ მოგვიღოს ბოლო. ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობით მოსარგებლეთარიცხვის შრდით ქართველი კაცის ღირსება რომ მყირდება, გულს ეს მიკლავს, თორემ სადგურის ნაგვით სახვე მოედანთან რა



გამაჩერებდა? დედაქალაქის ბედის სხვაზე მინდობა არც ერთ ცივილიზებულ ერს არ ეპატიება. ვამთავრებ რადგან უღმობურია, შეიძლება რომელიმე დიდ ქალაქში ფეხსაცმელების მწმენდავენად უძველესი ქრისტიანული ერის წარმომადგენლებს ეყვართ მონოპოლია, მაგრამ საკუთარი სახლის წინ ნაგვის გამოხვევას არც პროფესორი და არც მუშა უნდა უკადრისობდეს. საპირფარეშოებზე აღარას ვიგყვი, მილიონიან ქალაქში მათი რიცხვი ხელის თითებზე ჩამოითვლება.

გრამაფიის მოლოდინში თბილისის მოუვლელი მონაწილეობა ბოლშევიკთა და აგვისტოს პაპანაქება სიცხემ თავი ამატკია. შემადონებული ხვატი და ნაგავი ერთად, მტრისას! ბოლოს, როგორც იქნა, სადგურის ქუჩის სამ და ოთხსართულიან სახლებს შორის გაჭიმულ მათეულეებზე ბუფკელით მიტყავსნილი წითელი ვაგონი მარის წკრიალით მომიახლოვდა, მაგრამ იქვე, გაჩერებასთან ძვირფასად ჩაქმული ქერათმიანი ყმაწვილი ქალის გამოჩენამ გრამაფიაში ასვლა გადაამაფიქრებინა. მისი გან-ფეხი შეცნაურა, სახეზე თვალი ჯერ არ შემეფლო. ყმაწვილი ქალის გვერდით დიდი ჩემოდნის სიმძიმისაგან მხარმოქცეული ვიორჯი ვასილევითი ხან კითხვის ნიშანივით მოკაკული, ხან ძახილის ნიშანივით გამართული, საჩვენებელი თითით მოხუც მეკურგნეს მოუხმობდა. მოხუცმა ქერთმა მეკურგნემ მისი ასაკის კაცისთვის უჩვეულო სიმკერცხლით მათკენ გამოკურცხლა. ჩემგან მურგმექცევით მდგარი ყმაწვილი ქალი მაიას მამინაცვალს საგვიროთოდ მოხრილ მეკურგნის მურგზე ვეებერთელა ჩემოდნის დაღებაში შეეშველა. გრამაფიის გაჩერებასთან აფიშებით აჭრელებულ მსხვილ სვეტს სანამ მივეფარებოდი, ყმაწვილმა ქალმა, თითქოსდა განგებ, წამით ჩემკენ გამოიხედა. „აღბათ, ვერ დამინახა“, - უკვე სვეტს მიფარებულმა გავიფიქრე, როცა სახეაწითლებულმა ქუეუნამ მეკურგნეს წინ გაუსწრო. მან ჩემს სიამარს მედიდურად უკან გამოხედა და რაღაც უბრძანა.

უახლეს მოღამე შეკერილ კაბას, მაღალქუსლებიან ფეხსაცმელს და ოდნავ წამომრდილ მუცელს მაიას ამხანავთაგან ერთ დროს ყველაზე მოუქნელი გოგონა ისე გამოიყვალა, რომ დიდი ხნის უნახავი ქუეუნა ვორ-

ეოლაძე ძლივს ვიციანი. „აღბათ, დამინახა და შერცხვა, იმიგომაც წამოწითლდა“, სააფიშო სვეტსმოფარებული ასე ვფიქრობდი, მაგრამ წამოწითლების უნარის შენარჩუნება და არ დაკარგვა, სირცხვილის გრძობის არდაკარგვას რომ არ უდრიდა, მან თეატრში დამარწმუნა იმ საღამოს, მაიას მამის გვერდით საფარძელზე მოკალათებისას. ახლა კი ქუეუნას მორცხვობაზე ჩემი შეხედულების შეცვლა საქმის ვითარებას არ ცვლიდა. ცხადია, ისინი მოსკოვში ერთად მიემგზავრებოდნენ. საათზე დავიხედე თბილის-მოსკოვის მაგარებული უკვე ჩამომდგარი იქნებოდა, სააფიშო სვეტს მსკოვარით ამოფარებული იმ ორს გავეცქეროდი. პროლეტარული დიქტატორის ქვეყნის ერთ-ერთი „დიქტატორის“, მეკურგნისა და ჩემი როველახი სიამარის წინ ჩვენი ქუეუნა თამამად მიადიჯებდა. მათ მიწისმედა გადასასვლელამდე ვადევნე თვალი. ბოლშევიკულმა ფიროსმანის ქუჩა ისე ვავლიე, ნიკოლას ეზოსკენ არ მიმიხედავს. მალაკნების ბაშრის მოპირდაპირე მხარეს, ძველ, ორსართულიან სახლს მივადექი, სადაც დედაჩემი და ჩემი ბავშვობის წლები ერთად ცხოვრობდნენ, როგორც აწმყო და ახლო-წარსული. ჩვენს ღარიბულ, „ცალთვალა ოთახის“ ფანჯარაზე ქუჩის მხრიდან რომ არ დამეკაკუნებინა, დედაჩემთან ისე არასოდეს შევიდიდი, რადგან კარის ვალებსას, როგორც წინათ, ქმრის დაბამირებისას, იგი დაფუთებული წამოიჭრებოდა და ნუ წაიყვანო, ნუ წაიყვანო! - შემომძახებდა შემოიღივით.

დედაჩემს იმ დღეს, არყით გამომოივრალივით თავდამძიმებული გამოვეცხადე მასთან. რაღა თქმა უნდა, ვიორჯი ვასილევითისა და ქუეუნას მოსკოვში გამგზავრებაზე არა მითქვამს რა, ოღონდ არგამხელავ გამომხედა. ომის შემდგომ აღდგენილი ახალგაზრდული გემუთის კორესპონდენტს პონორარი და ხელფასი ძალზე ცოცა შეძლოდა, მაგრამ დედაჩემისათვის პურის ფული არ დამიკლია. რედაქციაში მუშაობის დაწყებამდე ჩემი მარჩენალი, ქმარგადასახლებული ჩივამის ქალი მოწაფეთა რვეულების სწორებით გაწყალებულ თვალს მრისხანედ მომამყრობდა, ჯიბისკენ ხელს როცა წაიღ-

ნადი, მიწყრობდა, მაგრამ შვილისგან ყურადღება მაინც სიამოვნებდა, თუმცა იმ ფულს ისევე მე მინახავდა.

სადგურის მოედანზე ნანახით გაბრუნებული, დედაჩემს რახან ნასვამი ვეგონე, ამიგომ სადილზე ღვინო აღარ დამიძგა. არადა, სმა სწორედ იმ ქაშს მწყუროდა, როცა ოჯახზე გადაგებულის იერით შავალი კაცი, თავისი ქალიშვილის თანაკურსელთან ერთად, ალბათ, საერთაშორისო ვაგონის ორადგილიანი კუპითი მოსკოვისაკენ მიქროლდა. რასაკვირველია, თანამგზავრები ჩემი ბიჭის ბაბუას ქუეყნას მამად ჩათვლიდნენ. ერთის მხრივ, დიდად გასაოცარი რამ არა ხდებოდა რა, მაგრამ გიორგი ვახილევიძის გაცნობის პირველი დღიდანვე თავისი გველნიანი მეგობრებით რომ არ დავემინებინე, რაღაც ადამიანური სითბო რომ ვერძნობინებინა, ასეთ საქციელს, ცხადია, მიუგუეებდი, მის აცუნდრუკებაზე ვეგებ გულიანადაც გამიცინებოდა.

- შენი მტკივანი თავის პატრონმა ისევე დალიე? ნაღვლიანად მკითხა დედა.

- ნასვამი არა ვარ! - ხმამაღლა შევეპასუხე მას, ვისთანაც ხმამაღალი სიტყვა იშვიათად დამცდენია. როგორც შევაგყვე, ჩივამის ქალმა, ალბათ, ხმის აწვეის გამოც, ჩემი ნათქვამი, არ ირწმუნა, ოღონდ იმ გაგანია სიცხეში ჩემი ნოტიო სარდაფიდან ამოგანხილი ბოთლმენისღული კახური ღვინო მართლაც დიდად მეამებოდა. ხეაგითა და ბოღმა-ბრაზით ვახურებულ გულს გამიგრილებდა.

სამის ეშხზე მოსულს, ღვინის ამოსაგანად დედაჩემი აღარ შემეწუხებია, სარდაფიდან ერთი „ჩეთვიანი“ დავითრიე და თოფივით ღვინოს თან ჩვენს ბნელ, ვიწრო ეშოში ონკანის წყალს სველი გუქებით დაწაფებული სწორედ ის ვედიკა პართანიანიც გამოვაცოლე, შარშანწინ შვილი რომ დავუღუპა.

სუფრამე ყველი, პური, ქორფა გარხუნა, და ერობკვერცხი ვიდას ახსოვდა, არც მსხვილთავე ვედიკა მყავდა დიდი მჭამელი, მაგრამ „სასმელს რამე უკუველად უნდა შეაყოლო“, ჭკუას მარიგვდა. ბიჭო, შეაყოლო კი არა, შეატანო უნდა თქვა, შეაყოლო რა, ჩემი ხახლიდან მაგვებ? - სიცილით ეპასუხ-

ობდი მუღმივი ძრავას ხელმოკარულ გამოშვონებულს. - არა, კოგჯახან, ერთ-ერთი თოთლა გვეყოფა, თორე ეს გიქი ღვინო ჩვენ თავზე გიქს გააკეთებს. - რამდენჯერ უნდა ვითხრა?! - ერთ-ერთი ბოთლი კი არა, თითო ბოთლი, გიქს გააკეთებს კი არა, გაგვაგვიყვებს. ბიჭო, ქართული სკოლა დაამთავრე და ეგეთი უბრალო რამეები როგორ გეშლუება?

- შენც ამბობ რა, მასწავლებლები სკოლაში ღვინოზე კი არ შელაპარაკებოდნენ. ეგრე არ არის ქალბაგონო სოფიო? სუფრასთან მოუფსუფსე დედაჩემს, თანხმობის ნიშნად, ჩაეცინა. - თუმცაღა გაკვეთილებზე ნასვამიც მიფსულვარ, მასწავლებლებს ვერაფერი შეუგვიათ, ფხიშელიც მთერაღსა ვგავდი, ეხლაც ესე ვარ, ფეხი თუ არ ამერიო, ცოლიც ვერ მაგყობს, მთერაღი ვარ თუ ფხიშელი.

თბილისური აგვისტოს სიცხეში თოფივით კახურის სმას არ გავუვიქვივარ, ოღონდ იმ დამეს მინ დაბრუნებულს რაც ვაღამხდა, მგრისას! ყოვლად უწყინარი ჩემი სიდედრი და სიტყვაძერი მამა გიორგი ვახილევიძისა და ქუეყნას მოსკოვში ერთად გამგზავრების ამბავზე კრინტის დაძერისთანავე პირში მგლებივით შეენენ, გიორგი ვახილევიძი მაგნაირ საქციელს როგორ ჩაიდენდა, შენ თავად ხარ ეგეთი ნადირალა, კრავივით უცოდველ კაცს მაგვევარ უსაქციელობას რომ აბრალებო, - თავგამოღებით იგვადა ქმარს ჩემი სიდედრი. დედას თავისი ქალიშვილიც აპყვა: - ქუეყნამ ახლახან გელეფონით დამირეკა: მამაშენი სადგურამდე მე ვავაცილე და ჩემს მოსკოველ ნათესაეებთან ერთი ჩემოდანი ხილი ვავაგანეო, ჩემიანები კურსკის ვაგზალში დახედებთან, გვირთის შიღვით არ შეწუხდება.

კაცი ვაგვრი. ჩემი თავი შემშარდა. სიმთერალე უცბად გამოშინელდა. - არა მჯერა-მეთქი, ესღა წამოვიღულულე და ქუეყნას სანახავად მამას ძალით წაყვინა დავაპირე. მასთან ჩემი მიყვანა რად გინდა? აი, გულეონი, დაურეკე, პასუხს თვითონ ქუეყნა გაგვემსო, - ნიშნის მოგებით მომახალა მამამ. - არა, არ მჯერა! - დედა-შვილს ისე ხმამაღლა შევევირე, რომ ჩემი შავგუხა ბიჭი აკვანში წამოვიყვილე. სიდედრი ბავშვ-



ის დასაწყნარებლად მეორე ოთახში გავარდა. ჩემი შიშითა თუ ნათქვამით სახეზეც ვლილმა მაიამ ტანთ თეთრი გილოს კაბა გადაიცვა და ვერის აბანოსთან შუალამისას მისი თანაკურსელის ემოს გაქსით მივადექით. თითქოს გველოდაო, ჭიშკართან ლოგოს თამაშმიტოვებულ მეზობლის ქალებთან ერთად, თვითონ ეუქუნა გამოგვეგება. ლოგოს მაგიდა იმწამსვე ხილის სუფრად გადაიქცა. არყის გამო დაჭერილმა და, გიორგი ვასილევინის შემწვობით ციხიდან ახალგამოსულმა ეუქუნას ჩოფურა, ნამძინარევეს მაშამ ხილის სუფრამე ხილის არყით სახვე სურა დადგა. - თბილისში ცხოვრება აკრძალული რომ არ მქონდეს, დილაადრიან სოფელში რომ არ მივიდიოდე, მეც თქვენთან ერთად მოვილხენდიო, თქვა მან და ბოდიშის მოხდით ოთახში ძილის გასაგრძელებლად შევიდა. - სწორედ ესეთი მსხალი გავატანე გიორგი ვასილევინს, ჩემოდანი მუშამ აიგანა ვაგონში. მაშამენს შედხელი არ დაუკარებია, მაგრამ მაინც რომ შევაწუხე, უნდა მაპატიო. მოსკოველი მეგობრების პატივსაცემად ის ხილი თავადაც გამოადგებაო. ოღნავ მუცელწამომრდილ ეუქუნას ვესმენდი და ვითომ წყალში შემეშალა, ხახამშრალმა და გაწბილებულმა არაყი ჩაის ჭიქით გადაეკარი. მისი მუცლისკენ გაპარებული შვერა რომ შემამჩნია, ეუქუნას სახე აუფარკლა. - ამდენი გულაბი ჩემს დღეში არ მიჭამაო, - თითქოს მოიბოდიშა თან ქარვისფერგულაბიანი დიდი ვაშა ჩვეული მორცხვი დიმილით ცოლ-ქმარს უფრო ახლო მოგვიჩოჩა.

ლოგოს თამაშით გადაღლილი მეზობლის ქალები სათითაოდ გაიკრიბნენ. ჭიშკარში გასელისას ერთს, რატომღაც, სიცილი წასკდა: აკი მატარებელმა გამასწროო... ბილეთიყ გვაჩვენა.

- გაჩუმდი შე ადრე დასამიწებელი! - დაუგია მას მეორემ, მაგრამ სხვებსაც სიცილი-კისკისი რომ წასკდათ, ჩემი ცოლი მიხვდა რადაცას... ეუქუნა შემეცოდა. აბა, მეზობლის ქალებს რა გამოეპარებოდათ. ქალთა სიცილით ერთხანს სკამზე გახვეებული ეუქუნა მაინც არ დაიბნა. შინ შევეცაბა, კარგ მუსიკას მოგასმენინებთო, გვთხოვა, მაგრამ, სულის შემზუთველი სიციხისა და გვიან-

ობის მომიმეშებით, სახლში არ შევყვეით. ეზოში კარგა ხანს ვისხედეთ. ღანაშ შოთ-მინებადაკარგულმა გაქსის მოფერმა მანქანა არ ააბლაველა.

- ასე ცოტა ხნით სტუმრობა არ ვარგა, არა, არ ვარგა! - ბოლო სიგყვამე მახვილის დასმით გვისაყვედურა ზგზე წამომდგარმა ეუქუნამ და ისე ნაძალადევედ გამიდიმა, მაშინვე მიხვდი, რომ სადგურის მოედანზე, გრამვის განჩერებასთან მან ნამდვილად დამინახა. მოსკოვში სწორედ ამიგომ აღარ გაჰყვა მაიას მამინაცეალს. დედასავით კეთილ და თავდაპირველ მაიას, რაღა თქმა უნდა, მისთვის არ უკითხავს, ამანათის გატანებას თუ აპირებდი, რად დამიმძალეო. გერმანულ საბავშვო ბაღში და გერმანულ სკოლაში აღმრდილმა, სიგყვის ყადრის კარგად მყოდნე ქალმა მეგობარს უგაქტო არა აკადრა რა. ჭიშკართან დამშვიდობებისას მხოლოდ ეს უთხრა: - მაგ მსხალს ერდიე, სიმსუქნე არ გიხდებაო. ეუქუნას სახე აღარ წამოსწითლებია, რითაც გავვიმასპინძლდა, სახეზე იმ გულაბის მოყვითალო ფერი დაედო. გაქსის შინ მიხვდამდე ცოლ-ქმარი ერთმანეთს არ დაუღალაპარაკებიათ.

ჩემ სიმართლეში ღრმად დარწმუნებულმა, ვერელებთან სტუმრობის მეორე დღესვე კი არა, ეუქუნას მესამე დღეს დავერეკე. გელეფონთან მოსულმა მისმა ნათესავმა ვოგონამ მიპასუხა: ეუქუნა დღეს დილით მოსკოვში გაფრინდაო. გიორგი ვასილევინის ხელწერა იმწამსვე შეცნაურა: დაუჭკვეული ოჯახის წევრები მისი გამგზავრების მეორე დღეს ეუქუნას შინ ყოფნით რახან დავემშვიდებოდით, ეუქუნა აბით ისარგებლებდა და მოსკოვში მესამე დღეს ჩაფრინდებოდა. მაიას და დედაისს ეს ამბავი არ გვეუხილევ. მაიას უჩემოდ შეუტყვეია ყველაფერი: ვადის დიდი ხნით გადაცილების გამო, ეუქუნასთვის აბორგი მოსკოვის არც ერთ კლინიკაში არ გაუკეთებიათ. ისინი მოსკოვიდანაც ცალ-ცალკე გამოშვავრებულან.

ჩემს სიმამრს, ალბათ, ნამდვილი შეიღის ყოლა ეწადა, თორემ მოსკოვში ეუქუნას მუცელს როგორ ვერ მოაშლევინებდა? შეიღივით გამრდილი მაია მაინც მისი გერი იყო. ხოლო შეიღიშვილი რომ არ უყვარდა, ამკარად ვგრძნობდი. ჩემი ბიჭის გირიღს

იგი მოთმინებიდან გამოჰყავდა, თვალები უსისხლიანდებოდა. გიორგი ვასილევინი არც ისეთი გულუბრყვილო გახლდათ, რომ ასეთი პირადი საიდუმლო სანუკვარი მეგობრებისათვის გაენდო, შეიძლება მასხარადაც აეგდოთ. ან ოდიშოზურ პირად მიჩნეულისათვის, ხალხში სახელგაგებილისათვის თავიანთი სახლის კარის მაგიერ მისთვის სულ სხვა შენობის კარი გაეღოთ. გიორგი ვასილევინმა შეღმწევნით კარგად იცოდა ვისთან რა უნდა ეთქვა, რა დროს როგორ უნდა მოქცეულიყო. მათ შვეს კი ფიცულობდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბერიაც და მერკულოვიც ჭირივით სძულდა, რადგან ორივესი შურდა და ეშინოდა. არადა, თებერვლის დღესასწაულზე მოსკოვიდან ჩამოსულ მთავრობის წევრებს ჩვენს ოჯახში წვეულებაზე პირველად რომ შევხვდი, მათმა დახვეწილმა ინგლიგენტურმა სახის იერმა და საუბარმაც მომხიბლა. სუფრასთან დასხდომამდე ბერიაშ მერკულოვი ჭადრაკში სასტიკად დაამარცხა. - ჭადრაკის ნორმალური მოთამაშე აქ არავინ არისო? - სიტყვათა ერთბაშად მიყრით კითხვა მან თავის ძველ მეგობარს. გიორგი ვასილევინმა მე გამომხედა. ერთ დროს თბილისელ მოწაფეთა შორის უფრო ადგილი სწორედ იმ დროს მქონდა მოპოვებული, როდესაც რესპუბლიკური გამეთები საქართველოს კომპარტიის რომელიღაც პლენუმზე ბერიას მიერ წამოსროლილ ლომუნგს თითქმის ყოველ ნომერში აფორიზმებით ბეჭდადნენ „მოწაფეთა გმირობა და სიმამაცე არის ურიალზე სწავლა“. უფრო ადრე კი უმცროსკლასელები, მის გამოსაჯერებლად თუ ბაღური შურისძიების მიზნით სადმე მოყარებულნი, ხშირად კი პაპიროსის კვამლით და ქლორის სუნით გაქვნილი სკოლის საინფარემოში ერთხმად ვავიძახოდით - „ბერია, ბერია!.. ლობიოს გაუბერია!“ არადა საქართველოში ყველაზე იაფი საჭმელი ჩვენ თვითონ ვიყავით დაბერილები, ღარიბ ოჯახთა ყოველდღიური ულუფა ლობიო იყო.

ბოლოს, როცა წამოვიჩიე და პოლიტიკურ პატიმართა ცოლებთან მისი ურთიერთობის ცნობილ ამბებთან ერთად, პაოლო იაშვილის ექსპრომტად ნათქვამი ფუნაგორ-

იაც დაეხსოვო:
 Была страна Иберия
 Где пили и и...св,
 Сейчас Лаврентий Берия
 И..т весь Тифлис.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

თავი XXVII
 პიკასოს ეტიუდი

ჩვენი ფანჯრებიდან მკვერის სანაპიროზე ლამაზად აქოჩრილი ჭადრების ხეივანი კარგად მოჩანდა, სკალინის სახელობის სანაპირო ახალდარგული ჭადრების გვერით იყო აღყამემორგებული, რაზეც ცნობილ დრამატურგს „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორს უხუმრია: - „ბერია ხალხს ხერეგავს და ხეებს ახარებსო. „აღბათ, ყური ვერ მოსკერეს ამ ხუმრობას ან ავტორის ვინაობა ვერ დადგინეს, თორემ პოლიკარკე აკაბამეს პაოლო იაშვილის ხვედრი არ ასცდებოდა. ბერია მასაც თავს მოაკვლევინებდა ანდა გციან გაბიძგავით ციმიბრის უკაცრიელ გრამაღზე პატიმრებით გაძქვნილი საგვირთო ვაგონიდან ვინმე არაკაცს გადააგდებინებდა, მამაჩემის ხვედრზე რომ არა ეთქვა რა.

ასეთ კაცთან ჭადრაკში შებმით ჩემ თავს საშინელ საფრთხეში რომ ვაგდებდი, ვიცოდი, მაგრამ ისყრმის მეგობრის ოჯახში ბერიას შინაურულმა უბრალოებამ, მისმა ინგლიგენტურმა იერმა ხალხში გავრცელებული ხმების სიმართლეში დამაეჭვა, რასაც ამ დიმილიან კაცზე ამბობენ, აღბათ, ჩვეულებრივი თბილისური ჭორებია-მეთქი, უბრალოებას ასე უშუალოდ თუ თამაშობენ, შესანიშნავი მსახიობები ყოფილან, მათი დიდი რეჟისორის მიმართაც მოკრძალებით განვიმსჭვალე როცა ჭადრაკის მაგიდასთან მიდგმულ ცარიელ სკამზე დაჯდომა წუთის წინ სასტიკად დამარცხებულმა მერკულოვმა დამასწრო. - ლავრენგი პავლოვიჩ, რაკი პარტნიორი არ ვყავს, ისევე მე გეთამაშებით, თქვა მან და დაფამე ჭადრაკის ფიგურების დაწყობა რომ მოათავა, ბერიაშ მას გარშემო დიდი რილითა და მოკრძალებით გარინდებული სტუმრების გასაგონად უთხრა: - არა,

სიგყვა თავისი შესაძლებლობის მღვარზე და მღვარს იქით...

იმ ქალზე ამბობდნენ: ბუბოში გადაირიო... კაცმა კაი ხანს მისდია კითხვა-კითხვით, აღლოს მომარჯვებით, კბილთა ღრჭილით; კაი ხანს ამგვერა გვალვით გახორხოშიილი ბილიები. ბოლოს მეჭიკელი მეშერე-ყარაულის ფანჩაგურში შიავნო: იქა ნახა გლექებული... კაცმა ღასტური კედლები დახანჯლა, იმის იმედით, ეგებ მაგ ნაბოზარსაც უწიოო... მაშინ იყო, ფანჩაგურის ბოძს ახვეულმა ასნიგმა რომ დაგესლა. უხსენებელიც აკუნა; ვერანი ცოლყოფილიც მოკკლა; თვითონაც იქვე ჩაკკდა თურმე... მაგამე კი ეგრე ამბობდნენ: ენით უთქმელი, შემწარავი, უსახელო აღსასრული ერგო...

„მოშვიმე უნამუსობა“: სულიერი ცხოვრების არქონით შობილი...

ყოველი გაცხადება, პოეტური ნათელხიღვა ერთადერთი და დიადი; ოღონდ ეგაა: ამროვნების სტერეოტიპები მას ამწყველვენ თავის კალაპოგში და შედეგიც საკმაოდ ბანალურია... გენიალურია ის, რაც კალაპოგში ვერ ეგევა, რაც ამ კალაპოგს შიღმა მიეღინება და გვაოცებს თავისი უჩვეულობით, თავდაპირველობით, განუმეორებლობით, მიულწველობით.

მოგჯერ თავს იქვევდა იმგვარი სენგენციებით: იქ, სადაც სილაგაკეა, თავისუფლებას ნუ ეძებთ და, წინაუკმო: იქ, სადაც თავისუფლებაა, თქვენ სილაგაკეს ვერ იხილავთ!

დააკვირდი: მიმწველი პოლიტიკის იერიშმა, მიტინგურმა ესთეტიკამ გაააფთრა და გააუხემა ადამიანის სული, გონება... ტანი...

მუხუნება: საქართველოს ის გაამთლიანებს, ვინც მის კუთხე-კუნჭულებს „საერთო მომავლის რწმენას“ დაუბრუნებს... სხვაგვარად ეს არ მოხდება, არა, არა, არა...

პოემის უკვდავი მიჯნა: სიგყვის გაუცხოება... ამის შემდეგ იწყება ის მდგომარეობა, რასაც პოემის თეორეტიკოსები და ფილოსოფოსები არარას სახელით მოიხსენიებენ...

ცხოვრება, როგორც თამაში: და ამ უღიმღამო სპექტაკლის წიაღში მაინც რამდენი ცრემლი და სისხლი იღვრება, მაინც რამდენი ოფერა და ვაება გაისმის და, ღმერთო ჩემო, რამდენიმე ვინმე გოგებს სიცოცხლეს ისე, რომ ამ სპექტაკლის არსი ვერ გაუგია!... ცხოვრების არსი ყველაზე უკეთ ბავშვებს ესმით: ისინი ცხოვრებას თამაშობენ.

სიცოცხლე, როგორც რევერანსების მოყვარული ბებერი ჭეშმარიტება.

მოგზაურობა ენის წკვარამ ლაბირინთში, სადაც გაურკვევლობის და მწუხარების ნაფლეთები ვედება ქუთუთოებზე, თვალისგუგებზე და გაიძულებს თვალდახუჭულმა იარო.

სტრიქონები სჩანდნენ, როგორც ნაბჭკევენი დროის გლეჯ მუღაპირზე; როგორც ნაკწრები ეამის გაუვალ ყინულზე, სადაც ფუხის მოკიდებას ცდილობდი: ხოლო ის გისხლევდა, გიმორებდა, უკუგაგებდა... შიშლით, შიშლით, დაუზოგავად...

გონი გაუაღებურა მეტაფიზიკური ბნელეთის წინაშე ძრწოლამ, შეუცნობელმა სიღრმემ,

რასაც შემეცნება მიეღვას, მაგრამ ვერ მოიცავს, ვერ საზღვრავს კიდითიღვმდე, ბოლომდე...

ის მიიწვევს სხვა სამყაროებისაკენ, სხვა პლანეტებისაკენ, სიგნალებს უგზავნის უცხო ცივილიზაციებს... მიიღვას იქით, სადაც არავინ არ ელოდება, საითაც მას სიყვარული კი არ მიუძღვის, არამედ ცნობისწაღილი...

მიწის წყველიაღმი დივდება სიცოცხლე: იქ იძენს სინათლისკენ სწრაფვის წყურვილს და ამ წყველიაღმი, ბინდში, ღამეში შეუძღვრად მიიწვევს. შხისკენ.

გუხუნები: სიკვდილი წარსულში დარჩენაა, აწმყოდან გადახვევაა; უცხო, უკიდლო სამყაროსკენ პირმიქევაა...

აჰა, ეამი: როცა პატრიოტული სიგყვა მხოლოდ იაუ სპექულაციად აღიქმება; ეამი, როცა სიგყვა კარგავს სიყვარულის უნარს, როცა სიგყვა უცხოა...

პიროვნულობა, არსი: თავისი სისუსტითა და სიმყოფით ეამიეამ გადაუღახვე ბარიერად რომ აღიშართება მენს გზაზე.

1915 წლის 11 ივნისს ვაჟა-ფშაველამ ეს წერილი დაწერა: „ჩემო ჯალაღნო! ამას წინად წერილი გამოგიგზავნეთ და, არ ვიცი, მოგივიდათ თუ არა. მე დიდი აუბლობა და მწუხარება გამოვიარე, ხოლო დღესღვლებით კარგადა ვარ, მაგრამ ექიმები წამოსვლის ნებას არ მაძლევენ. ამ წერილს ნიკოს ვატან და ყველაფერს დაწერილებით გიამბობსთ. პეტრეს საქმე ვაგაკეთე აქ ქალაქში და, იმედია, ღმერთშიაღ გაკეთდებოდა. ასე რომ ამ ბიჭს ისევე ღმერთში დასტოვებენ. მე ამ ცხრა-ათ დღეზე ვაგჩნდები მანდა. თქვენ იცით მანდაურობას როგორ შეინახავთ და გაუფრთხილდებით. თამარო, საითბევს გაუფრთხილდით, თვალი უნდა დაავლოთ ჩქარ-ჩქარა, თორთ ხომ იცით ესლანდელი ხალხის ამბავი. წისქვილი მაშინებდა, იქნებ წყალმა წაიღოსო და ნიკომ მითხრა: ბეკურმა გაამაგრაო. აჰა მანაყარი და მოურავი მაგისთანა უნდა! რო მოვალ, ერთი დიდი მენდალი უნდა მოუტანო წადი-მოღისა. მარადის თქვენნი

ერთგული ვაჟა“. ეს არის ვაჟა-ფშაველას უკანასკნელი წერილი. აქ კარგად ჩანს, რომ პოეტი სიკვდილზე სულაც არ ფიქრობდა: მას ოჯახის, სათიბების და წისქვილის ბედი უფრო აღელვებდა მაშინ... მაგრამ სიკვდილი მაინც მოვიდა: უეცრად, მოულოდნელად... 15 ივნისს ის უკვე თბილისის სამხედრო ლაზარეთშია... 27 ივლისს თავს კარგად გრძნობს, ესაუბრება ექიმებს. როგორც გადმოგვცემენ, „ოხუნჯობს კიდეც“... ამის შემდეგ უეცრად ძალზე ეუღად ხდება, უზერდება გულისცემა: აღესრულება... 2 აგვისტოს ასაფლავებენ დიდუბის პანთეონში... ბუნდოვან, გაურკვეველ ეჭვად ხშიანებს ვახგანგ რაშიკაშვილის ნათქვამი: მამაჩემი მოკლეს...

სამყაროს საიდუმლო. სულეთის საიდუმლო. უცხო მფრინავი ობიექტების საიდუმლო... სხვადასხვა მიწიერი და ციური საიდუმლოებები... მათი გაცხადებით შეიცვლება ცნობიერი სამყარო, გადაილახება შლავარი, გაიხსნება ნაკრძალი: ადამიანი დაუბრუნდება თავისთავს... ადამიანი დაუბრუნდება პირველ-აკვანს.

დიდი ქვეყნები დედამიწას ისე გადაფოფერიან, როგორც ოკეანეები... ხოლო საქართველო აქ სწანს, როგორც მწელად მისაგნები წვეთი: ის არ არის ოკეანის ანასხლეტი. ის არის თვითმყოფადი და მარტო, როგორც უფლის ეული ცრემლი, ციდან რომ დაეშვა და აქ, ამ მთათა შორის რომ დაეყვანა, დაემკვიდრა სამარადისოდ.

პირველსიკვია: ლექსის ხერხემალი, მთაგონების პირველმაცნე, შენაარის ნაკარნახევი...

აქ ვიღაც სულ იმის ცდამია ქმნადობის ეინით პერობილი ადამიანის ნახელავის შესაგვეისი კანონი ან წესი რომ გამოიგონოს: ალბათ, იმიტომ, სხვებს რომ დაუგვიკოს, ამ წესისა თუ კანონის მიხედვით ქმნიდარ, რასაც უდაოდ მოსდევს იმის სურვილიც, ეს წესი სხვებსაც რომ დაუკანონოს, ჩააგონოს... და აქედან იწყება რუტინა, შემოქმედებითი გირანია... და სხვა მრავალი სავაგლახო ამბავი.

სიკვყათა კავშირების თავდაპირველი სიღბო და მოულოდნელობა: დროში გამლდვა-

ლი, დაკარგული რამ, რის ხელახლა დაბრუნებასაც მიეღმის პოეზია და ამ შეუძლებლისაღმე ღლოლვაში ისრისება, ნადგურდება, ქრება.

მუეზნება: ჯოგის კანონების დამრღვევე, თავნება ლეკვებს დედა მგელი ანადგურებს...

ნასოფლარი. ცოტა ხნის წინ აქ იყო სოფელი: გაისძობა ადამიანთა ხმები, გადაძახილ-გადმოძახილი, იღვრებოდა ხორციელის ოფლი და ცრემლი; ისმოდა საქონლის ბღავი, ძაღლის დავლაყი, მამლის ყვილი... დღედა სიციოხლე... ეხლა აქ შეუუძებს სრული სიჩუმე, ისეთი, უკაცრიელ ალაგას რომ იცის: სიჩუმე პირქეში, დამორგუნველი... აქედან აიყარა კაცი, ხოლო იმის ნაგერფალში, იმის ნასახლარში დასახლდა გყე, დასახლდა ბალახი, დასახლდა სიჩუმე მკვდრული.

მიილო, აღიარო ისეთი, როგორც არის: ესაა ყველაზე დიდი კომპრომისი, აქტი: მგრობის, სიმუხთლის გადამწურველი.

გონითი პოეზიის ხანა: ის ვვაგყვევებს, გვიმხრობს პოეტური ამრით, ამ ამრის მოულოდნელობით, მომცველობით, გაცხადების უნარით... თუმცა ყველაფერი იმას მეგყველებს, რომ ეს დრო დასრულდება... მოგიერთ გულში ის უკვე დაიწყოებას მიეცა... მაგრამ, ძვირფასებო, საქელეზე ფუფუსს ნაადრევედ ნუ შევეღვებით: მივენლოთ, მივეყვით ეამის ულმობელობას, ბედისწერას, იღბალს...

მადლიერების გრძნობა რწმენის ნაწილია: ისინი სადაც ხედებიან ერთურთს, ერთიანდებიან, მოლიანდებიან და ავსებენ ჩვენს გულებს.

საოცარი რამ მითხრა: ღმერთთან ბრძოლამ გამობრძმედა ადამიანი: ის გახდა იმაზე უფრო ჭკვიანი და მოხერხებული, ვიდრე ნავარაუდვეი იყო... და ეს ყოველივე რის ფასად მიილო, არავეს იცის...

დამიჯერე: ჭეშმარიტებას ბრბოის განსჯა ვერ გააცხადებს: მას მხოლოდ სიმარტოვის წიაღში დაყუდებული გონიერნი მოიხილავენ.

მოღერნი ერთიანი სტილია. ეს არის: სიგყვის მომჭირნობა. ქვეტექსტის სახეობა. წერტილის დასმის ხელოვნება... აქაა ნაპობი ფრაზა. მრავალწერტილისა და ქარაგმის მონაცვლეობა. ენის ერთიანობის აღქმა. ძველის აღმუშება. სიგყვათქმნადობა... ქართული მოღერნის მამაა გრიგოლ რობაქიძე... დღეს მოღერნს ამაგრებს ბესიკ ალექსიშვილის შემოქმედება.

სიციხელის რომელიღაც მონაკვეთში აღამანს ეუფლება პესიმშიში, რაც სიციხელის შეუძლებლობის, კაცად დარჩენის უამრობის აღიარებაში ვლინდება: ჩნდება რაღაც სხვად გარდაქმნის ფაგალური გარდუვალობა... ეს ვითარება ხან წლობით, ხანაც სულ ცოტახანს გრძელდება: ეს არის სიკვდილის წინაღულე.

მკითხველი უნდა შეურიგდეს იმას, რასაც სთავაზობენ, უნდა მიიღოს ის, რაც მას, შესაძლოა, სრულიად სხვაგვარად წარმოუდგენია, სხვაგვარად ესახება, ხოლო ჩარევა ან რაიმეს შეცვლა კი არ შეუძლია... ეს ამბავი შინაგანი წინააღმდეგობის, ანგაგონიშმის საფუძველია: ეს მარაგს მკითხველს და ის უნებლიე მონაწილე ხდება პოეტების წინააღმდეგ პლატონის მიერ მოწყობილი ლაშქრობისა...

მდინარის კვალი მიწის ზურგზე: ცვალებადი, წარუშლელი, მარადიული... მესიგყვის კვალი სუფთა ქაღალდზე, კაცის გულში, ხასიათში: ცვალებადი, წარუშლელი, მარადიული... მეციხოვნის კვალი: ციხე-სიმაგრე, თითქოს შთის წამონაზარდი, თითქოს ბუნებითი რამ კოლოსი, თითქოს ცის შესახიდი სეგექლედი: ცვალებადი, წარუშლელი, მარადიული...

აქ ყველაფერი გაუცხოვდა: გაუცხოვდა სიყვარულიც. შენ უკვე უდაბნოში ხარ: არც ფესვები გახსოვს, არც მიწა, არც ცა, არც სიბუღილი, არც სიყვარული... შენ უკვე უდაბნოში ხარ: შენ ხარ ქვიშის მარცვალი, შენ ხარ ქარის ამოსუნთქვა, შენ ხარ არარა...

გუებზე: სიყვარულის განუწყვეტლობის მიზეზი რწმენაა. ეს არის ლეთაბურღი. მკვთოვეტიური მღგომარეობა: ის არის მრავალსახა და ყოველი მისი ხატი ერთი წარმომავლობისაა, თუმცა მათი ხარისხი, მათი სიხშირე, მათი რიგში და ძალმოსილება სხვადასხვაა...

გამაფხულის ეამს მდინარეს მოუთმენლობა აიგანდა: მხარბუკი ამოებურცებოდა, ნაპირთა ფლაგეებს ანგრევდა, აქუცმაცებდა, მზავად მოქეონდა: ღვებოდა ამღვრევის ეამი. მისი განი იმსხერეოდა უთვალავ მხეფად, ქეებზე წიოდა, თითქოს ჭარი აწუხებდო: რაღაცის მოცილება სწყუროდა, რაღაცის მოშორებას ღამობდა... და ამ გაუთავებულ კვეთებაში, ამ ვაივაგლახში ის იღვთებოდა, სხეული უხურდა; მოსწყურდებოდა წყაროს კამკამა, კბილისმგეხავი წყალი: მდინარეს პირი უმრებოდა, ენაგრებოდა ნაკადული, ხვევი, ჩანჩქერი... მდინარე მისტიროდა თავის წარსულს, თავის ბავშვობას, სათავეს...

რა არის პოეტობა? ღვთის მსახურება. მოწოდება. ბედისწერა. სიგიჟე... ყოველივე ამას ერთივე დაუემაგოთ: ემოციის გაღამდნობელის იმეათი, საშიში ხელობა...

რომელიღაც პირველყოფილი ღოცვისა თუ სადილებლის რიგში, ენამ რომ შეინახა, გადმოგვცა... რიგში, ექსპრესია: რწმენით შეპყრობილი გულის ძაგძაგი. ენაში არეკლილი გულისცემა: სისხლის და ენის თანაზიარობის მარადიული მოწმე.

სანამ საგანს უწევს, მშერამ რაღაც სიერე უნდა გადალახოს, გადაკვეთოს და ამ გზაზე რაც დახვდება, თვით სიერეც, მშერაგამგარია, და ეს ყოველივე უნდა აღბეჭდოს თავისთავში, როგორც სუფთა ფურცელზე და ეს სურათი რჩება მანამდე, სანამ მშერა საგნამდე მიადწევდეს, ხოლო ამის შემდეგ მთავარი საგნის /მიზანი საგნის/ სურათი მელ ედება და ფარავს გზად შემხვედრი, შემთხვევითი საგნისა და სიერის სურათს, შლის მას, აქრობს... ეს არის შეყვსეულობა, წამისწრობა, თვალისდახამხამება...

მთარგმნელის გზაზე: სიერე, გადახვევა,



ყელში წაჭერა, ხელების გადაგრეხვა, გაცურება ორივესი: ავტორისა და მკითხველისა... და ბოლოს: ცხენგენიალური თარგმანი! ნიმუში ნატიფი ხელოვნებისა!

მუღმივი სიფხიმლე, გონის ყოველწამიერი მობილიშება ცხოვრებას მკაცრსა და აუტანელს ხდის: ამგვარ ყოფნა უღმობელი და მონოტონურია. ამას ადამიანი ვერ ვგუება, გაურბის: ხოლო გაქცევა მებრუვეთა სამყაროში გადაბარგებაა, ილუმორული ყოფაა, წამის გადავიწყების ცდაა, შემზარავი დროის გადაგორებაა.

აფეთქდა ჩერნობილის აესი. სამი დღის შემდეგ ბიჭვინთაში მერცხლები ცვიოდა: გმები, აივნები, ინკიგის ტბის ნაპირები, ლიძავის შუკები მოფენილი იყო მომაკედავი მერცხლებით... და წვიმა კოკისპირულად— და იყო მგორში: მღვა რაღაცას იშორებდა, ნაპირისკენ ერეკებოდა. ხოლო მიწა არ იღებდა: იმ რაღაცას ისევ მღვაში აბრუნებდა... და დმუოდა მღვა... და გრგვინავდა ცა... და ირყეოდა ეღამიწა...

თავდაპირველი ცოღვა არა ყოფილა! შემზარავია იმის გაფიქრება, რომ ის შეცდომით მოგაწერეს და ამ ამბავმა გაამრუდა შენი ცხოვრება, გააპარგახა შენი მოღგმის გული და გონება... გემი გიცვალა და უფლის გმა დაგაგლებინა...

უზარმაზარი შავი ფრთებით დაეცა სოფელს: გაღაფარა, გაუღაბურა წაშალა. მცირე ხანს იყო ასე: უძრავი, მკერი ი. მერმე მისი უკუნი წიადი ძაღლის დაეღამე. გამოარღვია, გამოფხრიწა. ამას მოჰყვა მა ჩანის გაღმობილი. ბოლოს საღღაფ სინათლ ს წვეთიე აჭიაგდა. მერმე მეორე, შესამე... და ასე: აინთო სანთლები... წყვიადი სულმი ლად დაიხრილა, ჩამოიძენმა, გაბითურდა...

აბა, საღ წავალ, როცა გრუებზე უზარმაზარი დეღამიწა მკილიაო, ამბობდა ის: ამქვეყნიურ გმებზე ნაღლეგი მგერაღქეუელი, დაბლაშაკქერალი, - არგანს შიიბჯენდა და მიდიოდა შავ ღამეში ი ბლად მოლიელივე წვეთისაკენ, რაც, შესაძლოა, სულაც ციციანათელა იყო და მეტი არ აფერი.

ხელოვნება, როგორც ნარკოტიკი მსწვევს ტკივილს. ეს ტკივილი შეიძლება იყოს ტკიბითი ანდა შემზარავი, დამანგრეველი... ხელოვნებას, რომელიც რამენაირ ტკივილს არ აღძრავს, ხელოვნებად ნუ ჩათვლი.

პირველქმნილის წაკითხვა ალგაფროთოვანებს, ხოლო მისი გამორების შესაძლებლობა გულს გირევს... ასეთია პოეზია. ასეთია მისი გურმანის ხასიათი.

არა მთავრდება. გრძელდება. დღეს. ნაპირებზე გაღმოდის. რაღაც უცხო ეპოგინება: უცხო მიწას, უცხო სიგყვას, უცხო ხმას. რაღაც შორეულის ჩარევას ცდილობს: თითქოს რაღაც ნახვისარის მერევა სწყურია... არ გიჯერებს. წვალობს. დღეს, იკლანება. მიწვევს. მიგათრევს. ვისხლტება. მიდის. არა მთავრდება. გრძელდება... ლექსი.

გუუნები: ეს არის აბურდული, გაურკვეველი და შეუმოწმებელი რამ, რაც ასე გამოითქმის: შენ რომ აღიარებ, იმას დმერთიე თუ აღიარებს, მაშინ ჭეშმარიტებისთვის მიგიგნია და ეგ არის!

იყავი ხმადაბალი: ლოცვა მხოლოდ ჩურჩულით ითქმის... ესტრადამე რაც აღის, ის პოეზიის ნაცვალაია.

ეპითეგების ნიაღვარი და ამის თანამღევი ლაქეცი პოეგის სახელს აკნინებს, აჩიავებს, აბითურებს... დამიჯერე: სიგყვა „პოეტი“ თავად შეიცავს ამ გაცვეთილ, კუღეციინა და შემზარავ ეპითეგებზე უფრო მეტს და ეს საკმარისია, რომ გავერკვეთ, ვისთან გვაქვს საქმე, რას ვემიარებით, რისი მოწმენი ვართ...

ლექსი თავდაპირველად ფურცელს აოცებს და, მერმე, როცა ფურცელი მკითხველთან მიდის, ის აოცებს ადამიანებს...

დეღამიწის ცივილიზაციამ თავი შეირცხინა! - იგყვიან ასე... ხოლო ამის მთქმელი დღეს შეიძლება დამარხონ...

არც მიწა, არც ოქრო, არც იარაღი... მთავარია მნებობრივი, რწმენითი საყრდენი: აქედან იწყება კაცად ამაღლება. აქედან აღიზარება შეკაცო, კითხული კაცი, სვესვიანი კაცი, მაჰაგმა...

ქრთამსაყოლილი ოსტაგის უკეთურობა. ლეგენდა ამბობს: ხანის იმპერატორის პარამანაში იმდენი ქალი იყო, რომ იმპერატორს მათ სანახავად და გასაცნობად დროც კი აღარ ჰყოფნიდა. ამის გამო იმპერატორმა სასახლის მხატვარს უბრძანა, დაეხატა ისინი: სურათში ვინც მოეწონებოდა, იმით მიიწვევდა ღამის სასახლეში... იმპერატორის ცოლები საკმაოდ მოხერხებულნი აღმოჩნდნენ: მხატვარს ქრთამს აძლევდნენ და ისიც წარმტაც, მომხიბვლელ ქალებად ხატავდა... ხოლო ერთერთმა, უღამაშესმა ვან ჩაო ძიუნმა მხატვარს ქრთამი არ მისცა. მხატვარმა ის დახატა გონჯი და მახინჯი. ცხადია, იმპერატორმა ვან ძიუნს ღამის სასახლეში არ მიიწვია... გამოხდა ხანი. იმპერატორს სტუმრად ეწვია ბარბაროსთა ქვეყნის ხუნანის მმართველი... მას სხვა საჩუქრებთან ერთად უბოძეს ერთი, სურათების მიხედვით, ყველაზე შეუხედავი ქალი: ეს გახლდათ უღამაშესი ვან ძიუნა... გამგზავრების წინ ის უნდა გამოთხოვებოდა იმპერატორს - მეუფეს. ეახლა კიდეც: იმპერატორი გააოგნა მისმა მღაპრულმა სიღამაშემ, მაგრამ ვან ძიუნის დაბრუნება შეუძლებელი იყო: ის ხუნანის მმართველს ეკუთვნოდა უკვე... გააფთრებულმა იმპერატორმა ბრძანა: კარის ბოროტი მხატვარი დაეგლიჯათ და ისე გადაეგდოთ... აი, ასეთი ნაყოფი გამოიღო ქრთამსაყოლილი შემოქმედის უკეთურობამ. ამ ამბის გამო ბევრი რამ დაიწერა ჩინურ ლიგურატურაში: ყველაზე საჩინო კი ლი ბოს ნაღვლიანი ლექსი „ვან ჩაო ძიუნია“.

პოეზია გადმოგვეყვამ: ქმნადობის იმპულსის სიგნალს, ქადაგად დაუარდნის მაუწყებელ ძაგბაგს, სულის რაღაც ნაწილს... ეს არის ლექსის ბიოველი. ეს არ არის მთლიანი, დასრულებული და საბოლოო რამ... ეს არის საწყისი, სათავე, წყარო... ეს არის შებუნებითი უნარი შემკვრივებული სიგვეების ერთობლიობა: გარემოსილი სექციითი აღურ-

ით.

ეროვნული
მეცნიერება

წყვედიადის სიმღერა: მას დამე წერს. დამეს შეხილულ ხეთა გოგები წერენ. დამის ოკეანეში გამკრთალი ხმები წერენ: ეს არის ქარის შრიალი, დაგვიანებული მგზავრის ფეხისხმა და ამოხველება, ჭალაზე გაფენილი მდინარის მხელი, ქართი შერხეული ფოთლების შარიშური, ხის ციფ ილღიაში მიმჯდარი ბუკიოგის კივილი, ძაღლის დავდავი დამეული...

აპა: ყვინთვისმოყვარული ცნობიერება...

გვეყვე: ჩვენს საუკუნეში ხელახლა გაიფურჩქნა ქართული რომანტიზმი და, საბედნიეროდ, ამჯერად მაინც საბოლოოდ ამოიწურა, ამოშრა, ამოიხაპა...

მან დიდ პოეზიას რაღაც მიუმატა: თუნდაც სულ მცირე რამ, სულ ერთი წინწყალი, ერთი სტროფედი... მომავალში ეს პოეზია სწორედ ერთი წინწყალით მეტი შევა: ეს უკვე დიდი ამბავია!... ამის ჩამდენს ჩვენ პოეტად მოვიხსენიებთ... მოდი, ვთქვათ ასე: პოეზია არა ყოველი მოღვესე, არამედ ის, ვინც დიდ პოეზიას რაღაც მიუმატა, რაღაც მისცა, რაღაც გაანღო.

ჩვენ ვხატავთ ხეებს, მთელ გვეს, უღრანებს. ისინი ხატავენ ფოთოლს: წარმოღვენაში იღვიძებს გოგი, ხე, ხეები, მთელი გვე. ისინი ხატავენ ფოთოლს. ისინი ხატავენ ფოთლის ჩრდილს. ისინი ხატავენ ფოთლის რაღაც ნაწილს... ეს არის ფილოსოფიის, მსოფლმხედველობის გაგრძელება, ანარეკლი... ეს არის იაპონური გრადიცი...

სულის მჩხიბავი. ფილოსოფოსი. მედიაციის ღემონით პერობლი. შემეცნებაში ატებული სისტემების ხუროთმოძღვარი, პაგრონი. ის ჯიუტად, მუხლჩაუხრელად მესდგომია შეაღმავალ კიბეს და ცდილობს ამ კიბეს თვითონაც მიუმატოს რამ: თუნდაც ერთი საფეხური: კიდეც ერთი საფეხურით ამაღლდეს, მიუახლოვდეს უძრავ ცას, ათელის წერტილს, მარადისს... სიკედილს.



მკვლელობა: წინასწარდაგეგმილი, შეკვეთილი, ფულგადახდილი. ეამი, როცა ყველას შეუძლია არასასურველი ადამიანის გაგორება: როცა ადამიანს უსაფრდებიან და ჰკლავენ ნადირივით. ქვეყანა, სადაც უპატრონობის შეგრძნება მეუფებს... სისხლის უსამანო წყურვილი. ერის თვითმკვლელობა გაუგონარი... და ხვალინდელი დღეც იგივეს გვიპირდება, იგივეს გვიმზადებს: „ქვეყანა სისხლით რომ მოირწყვება, ეს ნათელია“. /გალაკტიონი/.

ისინი თამაშობენ სიგყვებით: ამ ფერადი კენტებით აიკინძება თვალისმოშორული და დიადი რამ: პოეზია, ლექსი...

ცა წარსულის სხივებით გვგოგნის: ჩვენთან დღეს მოდის ცისიერი ხამხამი იმეამინდელი, როცა არ იყო კაცი, როცა არ იყო მიწა, როცა არ იყო მზე...

თავისუფლება: მარადიული ორიენტირი... ის არ არის. ის მხოლოდ შემეცნებაში ცხადდება. მას მხოლოდ სულნი აღიქვამენ. მისით მხოლოდ სულნი ცხოვრობენ...

სამინელი სიგყვა: არა. მისი წარმოთქმის, მისი ამოღერდვის, მისი ამოტყორცნის შემდეგ რამდენი ცრემლი იღვრება, რამდენი გული გყდება, იფლეთება...

ე.წ. გამოჩენილ მწერლებზე ასე ამბობდა: პო, თავი გამოიჩინეს კომუნისტური სისულელებით... ასე რომ: ისინი მართლაც გამოჩენილები არიან!

სამწუხაროდ ასეა: პროფესიონალების ნაკვალევს თან მოსდევს ლექსის მოხალისეების ამბიციური ღავდავი და... შლის, აბითურებს, აწყალევს...

დახურული ადგილები. კერივები. საღვთო ნაკრძალები. რადაცას ისევ გიმზადავენ. რაღაც არ უნდა იყოღა აქ რაღაც შესაიღუმლოა... შენ ჯერ იმხელა არა ხარ, ყველაფერი რომ გაიგო, ყველაფერს რომ ჩასწვდე, შეიცილო...

აბა: პოეზია. თამაში ფანტაზიის, სიგყვის, რი-

გმის, ფერის... თამაში ემოციის მონღოზში... თამაში სისხლის გამყინავი... თამაში უსუსურულის თავზე...

აი, მთავარი შეგონება: ჩამოიხსენ ნილაბი!

მედიტაციური შეგონება ქმნის მორევს, სიღრმეს, აზრს, რომლის წიაღშიც მომწველულია მეტაფიზიკის უსასრულო ბნელეთი... რიტმით, ასოციაციით, სახეებით თამაში ქმნის პოეზიის შესაძლებლობას, ცდას, რაც, თავისთავად დაუსრულებულია: ის შეიძლება დამთავრდეს პოეზიის გურმანის მგრძობელობის ბადის წიაღ მოფართიქალე გულში, შემეცნებაში, რაც, თავის შხრივ, მეტაფიზიკის ბნელეთის ესაზღვრება, მისი სამეშობლოა.

ლექსი-კომენტარი გვეუბნება, რომ პოეტი მკითხველის საქმესაც თვითონ აკეთებს: როგორც ჩანს, მკითხველს არ ენდობა, მისი არა სჯერა...

ალბათობათა, შემთხვევითობათა ხანმოკლე მწერივი, რასაც აბოლოებს გაურკვეველობის იღუმალი, შავი წერტილი... ასე ესახებოდა ცხოვრება, როცა იმედი დასტოვებდა, როცა ღმერთი შიდატოვებდა...

მეტაპოეზია: ის, რაც პოეზიის შემდეგ იქმნება, რაც ჯერ კიდევ პოეზიას გვაგონებს...

არავინ... არავინ არა არის არარა: არავინ არსებობს, არის. არავინ უპიროვნოა: უპიროვნო არსი, უპიროვნო კაცი, უპიროვნო ღანდი. არავინ ეამის პირმშოა: უსახო ყოფის ნაგლეჯი. არავინ: სულიერების არმქონე. არავინ: მრავალი, ურიცხვი. არავინ: ბრბო...

ამას დაბეჯითებით გვეუბნები: მღვიძარე სინდისი ლიტერატურის ერთადერთი დამკვეთი.

გვგყვ: ღირსება სიცოცხლეს სჭარბობს: უფრო მძიმეა. ღირსების საქმეა სიკვდილი. ხოლო უღირსებოთა სიცოცხლეს ჩალის ფახიც არა აქვს... ღირსების საქმეა ოში, პრინციპები, სინდისი-ნამუსი...

ცნობიერება შეაჯამებს: ის არის ბოლო პუნ-

ქგი, ბოლო ფეხმოსაკიდი. აქ აისახება მედიტაციის, მგრძობელობის და ყოველგვარი აღქმის საბოლოო შედეგი... ყოველივე აქა კრისტალდება, იწმინდება, ცივდება და გადავიყვამ შეხსიერებას: ქვაბქვეულ სავანთა და მოვლენათა რიგს.

ორი შემზარავი ნაპირი აწმყოსი: წარსული, მომავალი... ერთი გადაგანილია, განცილილია და ის თანდათან გვმორდება, ხოლო მეორე გადასაგანიბა, განსაცდელია და ის ყოველწამს გვიახლოვდება: გვერდზე ჩაგვიდის, თანზე გადაგვდის, მიგვათრევს და გვრთყავს, გვრთყავს აღიღებულ მდინარესავით.

რომანტიულ-პასტორალული მოთქმა ქალზე, ქალის სიყვარულზე, ქალის თვალეებზე და ბოლოს: ქალის დაღატგზე... ამის გამო ცრუმის ღერიდა ლექსი, წყობილისტყვა და ესლავ ეს ყოველივე გრძელდება სავაგლახოდ: გრძელდება რომანტიულ-პასტორალური გულისმჯიღვა, გრძელდება მოთქმა და ვაივაგლახი, რაც ჯერაც ისევე პოეზიად ცხადდება, პოეზიად აღიქმება...

პოპულარობა. რა არის ის? მგონია, ეგ ის წყალწყალა ღვინო უნდა იყოს, გულისამრეველ რომ გათრობს...

მეტაპოეზია შეხავის გულებს, როგორც უდაბურ კლდეებს: შეხავის ნამიწარ მიწას, ნაკაცარ კაცებს... შექქვითინებს და იმათ გამოღვიძებას ცდილობს, დანაყოტებული სულის გარემოცვას ცდილობს, გაუცხოებული აზრდილეთის შენჯღრევას ცდილობს... ის თავისთავს არ ამკვიდრებს: ის თავისთავში ამკვიდრებს, სრულყოფს, ადავებს.

აღამიანი თავისუფალია როგორც ცოღვაში, ისევე მონანიებაში. ცოღვა თავისუფლების მწარე ნაყოფია. თავისუფლების ამ ნაწილის გამო ისჯება აღამიანი, თავისუფლების ამ ნაწილის გამო აღამიანს მიეტყვება. აღამიანი ან მოინანიებს ან არ მოინანიებს. ვინც არ შესცოდა, მან სინანულიც არ იცის, მისთვის დაფარულია რწმენის ეს იღუპალი, ღრმად აღამიანური მხარე... აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩება იმ ყბადაღებულ ვითარებაბდე, როცა

ვამბობთ: იცხოვრეთ, შესცოდეთ; რომ: მოინანიოთ... მაგრამ, რა ჰქმნან უცოდველად?

გავიმეოროთ: დიდი, ღვთაებრივი პოეზია მოკვდა. დღეს ღორძინობს ის, რაც პოეზიის კვალზე იქმნება... ის, რაც პოეზიის შემდეგ იქმნება: მეტაპოეზია: დაშლილი სულის ანაბრკელი, ქვითინი, ხავილი, ვედრება, ლულღუღი, სრული და საბოლოო სიკვდილის წინაღლისა.

პოეზიის საყრდენი: მიწა. მიწას ვყრდნობა ემოცია ყოველგვარი, მიწას ვყრდნობა შემეცნება, მიწას ვყრდნობა პაერი, ცა და ვარსკვლავები... მიწას ვყრდნობა ღმერთი... მიწაა მყარი და საიმუღო... მიწაა პირველწყარო, პირველღვა ყოველივესი: რაც ყოფილა, რაც არის, რაც იქნება... ის არის ეპოქათა სუპერსაყრდენი. მიწა უძლებს პათეტიკას: ის არის მძიმე, ის არის მიმიღულობით ხავსე, ის არის შუაგული... მიწის გაქრობა სამყაროთა გაქრობის გოლფარდი იქნება... მიწა არის პოეზიის დიდი ღვა, შემეცნების დიდი ღვა. ის არის ღმერთის ფეხმოსაკიდი; ის არის საღეთო გონის ცდის ველი, ის არის უფლის კარმიღამო...

გატყვი: შემეცნების შექმნით წარმატებით დამთავრდა თავდაპირველი ღვთაებრივი ექსპერიმენტი...

გონითი სიფხიზლის წამიერობა, ჩაძიების ხანმოკლეობა და უსრულო ხასიათი...

აი, კიდეც ერთი უბადრუკობა: ღიჭით სპეკულაციბა.

ბრძენი: დაუსამღვრელს ვინც მოიცავს, საწიერს იქით ვინც ხედავს...

მეტაპოეზია: რასაც არაფერი არ მოსდევს, რის იქით აღარაფერი აღარაა, რაც სიკვდილის წინაღღვა, საბოლოო ამოხავღებაა, ქვითინია საპანაშუღო... ამის გამოა, ის აღარაფერს რომ არ გოვებს ჩრდიღში, იღუპალში: მას სურს, ყველაფერი ამოთქვას, ამოანთხიოს, ამოსტყორცნოს.



გალაკტიონი წერს: „მეფინება წვიმა ნელი და დემონის მწუხარება“... ყოვლად ნათელი წამიერობა: წვიმა ნელი... და იქვე: ყოვლად გაუგებარი რამ: დემონის მწუხარება... ალბათ, რაღაც დიდი, ყომრალი დარდი, მეტაფიზიკის ბნელეთიდან მოსული...

ამგვარი რამ: ვალუტის გადამცვლელ ჯისურში მომუშავე მწერალი... კარგი საქმე გიშოვიაო, ვეუბნები... უცებ დოლარების დასტას გვერდზე გადაღებს, ერთერთი თავისი გმირით კეთილად და გულუბრყვილოდ იღიმის და შეუბნება: მა რა ვქნა, ჯო, ამოვხოცო ცოლ-შვილი?

სიოცხლე, არსებობა, კაცად ყოფნა: არარას ანგითემა... სიოცხლე: ანგიაარარა... თუ უეჭველად მივიღებთ არარას, როგორც სრულყოფის მწვერვალს, მაშინ უნდა ვირწმუნოთ: სიოცხლე, მყოფობა არის არარას არაკმარი გაეცხადება... არარას ფსკერი... ყალბი არარა...

ძახილის ნიშანი: პრიმიტივიზმის ეს ისგორიული გვირგვინი!

თვალეები უნაპერწყლდება და სიცილით მეუბნება: დედაკაცს კაბის კალთები კვირაში ერთხელ მაინც ჯოხით უდა გამოუბერგყო, იქ ეშმაკები რომ არ დაბუდდნენ: მცდარ გზაზე რომ არ გადაითრიონ...

შემომჩვივის: ისინი ლექსებს წერენ. ჩვენ კი ეს ორი სიტყვა დაეწერეთ: პოეზია მოკვდა! აი, ამიტომ ვართ დაწყველილები. მათ ჰგონიათ... ჩვენ გვწამს... ამის გამოა ჩვენს შორის დიდი სივრცე, დიდი მანძილი. ამის გამოა, ერთიმეორის რომ არ გვეხმის... ისინი სიმღერებს წერენ... ჩვენ დაგვირით... ესაა და ეს...

შეკრიბე მწუხარების ნამცეკები, ნაკუწები, წვეთები და შენ ეს შეჯამება გულს დაგიფლეთს, თვალეებს ამოგწავავს... მენდე: მწუხარება შხოლოდ ნაწილ-ნაწილ არის ასაგანი, მას შხოლოდ დაშლილს, დანამცეკებულს თუ გაუძლებ...

აი, რას გეტყვით: ამქვეყნად ყველაზე უფრო

შემზარავია კაცთა გოგალური სიბრწყინობა... რასაც თანა სდევს ბრმა მუხანათობანი... და სხვადასხვა ჯურის საძაგლობანი... ეს ამბავი მთლიანად აქარწყლებს კაცთა წარმომავლობის დეთაებრივ იგავს...

ოცდაათიანი წლების დასაწყისში წითელ ქურნალისტებს კოკეტებულში შეხვედრია ერთი თმაწვერგაბურძგნილი მოხუცე: მაქსიმილიან ვოლოშინი. „აქ თუ იმყოფება კონტრევოლუციონერი პოეტი მაქსიმილიან მაქსიმილიანოვიჩი ვოლოშინი?“ - უკითხია ერთერთს, ყველაზე უფრო თავგასულს, ყველაზე უფრო წითელს... ვოლოშინს მწარედ ჩაუციინა და უარი უთქვამს: „პოეტი ვოლოშინი აქ აღარ იმყოფება, მე კი შხოლოდ მზატვარი ვოლოშინი ვარ: ყოველდღე ვხატავ ბუხტის სანაპიროს, ყარადაღს და გროშებად ვყიდი: თავს ვირჩენ... თანაც მე ალექსანდროვიჩი ვარ, მაქსიმილიანოვიჩი კი აქ არ არის, არცა ყოფილა...“

ლექსი: თითქოს მსხვერპლმეწირვის წინ ნათქვამი ლოცვა. საღვთო ჩურჩული, როცა მიმართავ იმ ერთადერთს, ვისაც ეკუთვნის პირველწამც და ბოლოწამც... ვინც თქვა: იქმენინ... ვინც პირველი საათი ჩართო...

შავ ღამეში, ეამიეამ, არაგვი სიმწრით ამოიხაველებს...

გუებნები: უსაზღვროს ვერ მოიციავს ის, რაც საზღვრულია: ამიტომაა, კაცთა ფაციფუცი კომედის ჩარჩოებს რომ ვერ სცილდება... და ეს თამაშიც სამყაროს რომელიდაც უდაბურ კუნჭულში, მოლობილში, რეზერვაციამი მიდის... აქ და ამჟამად მიღწევადაა კეთილდღეობის რაღაც ხარისხი და მეტი არაფერი...

მენდე: პაკვიმოყვარეობას როცა განუდგები, ბუნებით ყოფას როცა შეეფიცები, მაშინ დავიბრუნდება უფალი შენი: შემოქმედების ღმერთი და დაიეანებს ის შენში და შენთან სამარადისოდ.

დადგება წამი, როცა უეჭველად უნდა ჩატყვას უხილავის შემზარავი ძახილი: უკუიხედე!

სიმზარი, როგორც მეტაფიზიკის ერთერთი

ბნელი კუთხე, სადაც თვალშისაცემია ცნობიერების უსისტემობა და უმწეობა, რაც, თავისთავად, იმას ამტკიცებს, რომ მეტაფიზიკა კაცთა უბალობის, ვერწედლობის შედეგია.

სისხლი და ენა: ორი მარადიული მდინარე, გზადაგზა რომ იმღერევა, რომ ირეუს და განიყოფს, გზადაგზა რომ იცრება, იწმინდება...

გახსოვდეს: ყველაზე დიდი სიახლე დავიწყებაა.

ცხოვრება სიგყვაში, ენაში, ემოციის მოლობლაში...

რადაც, უკმარობის მსგავსი: მდგომარეობა, როცა სიგყვა გაკლია; პოემიის დამტყვე, ლექსის მტვირთველი სიგყვა გაკლია; როცა სიგყვით, პოემიით გაპაძდარი სული ამოგწივის, განგრევეს, განაფოტებს...

გეტყვი: დროის შეგრძნება გულსა ფლეთს, გზადაგზა გაუსაძლის მწუხარებას გახვედრებს და იმის მცირე შანსსაც კი არ გიტოვებს, ეს ყოველივე რომ დაივიწყო, წამიერ მიაყურო, ამოისუნთქო... თავდაღწევის შეუძლებლობა, მისი შეცნობა გაწვევა, გსრებს და შენს ყოველ ამოსუნთქვას სახშილით ავსებს მუდამ და განუწყვეტლივ, როგორც მარადიული გულშიღვია... და სხვა აღარა დაგრჩენია, გარდა იმისა, თავდაღუნულმა და მწარე ხვედრს შერიგებულმა, ეამის წიაღ წინ რომ იარო: გაურკვეველობისაკენ, ბურუსისაკენ, წყვიდადისაკენ...

გეუბნები: დაივიწყე სიგყვა „რადგან“: ის ლექსს არ გააკარო, რადგან ამ სიგყვის შემდგომ უკვე ახსნა იწყება, კომენტარი იწყება, სქოლიო იწყება... ამ სიგყვის შემდგომ იწყება ის, რასაც პოემია ვერ იტყვის: ტინის ჭყლეტვა, ესეური ჩხიბვა, თავის მართლება... დამიჯერე: ამ სიგყვის ჩარევა პოემიას ამღერევეს და ქმნის კომენტარ-ლექსს, ესეი-ლექსს... ხოლო წმინდა პოემიის გულისგულს აწყობებს, აბითურებს.

დამიჯერე: მწარედ ცდება ის, ვინც პოემიას

კაცთა რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე კასტას აკუთვნებს... პოემია ყველას უკუთვნის: ურბი ეტ ორბი... ის ეკუთვნის ყველას, როგორც მიწა, როგორც სიყვარული, როგორც სიცოცხლე...

დრო, ბასიოს სამსკრიქონელი ხოკე რომ იტევეს, მოიყავს მარადისობის იღუმალ, შემზარავ დინებას, მის მვირთქაფს, აქორჩილ გალღებს და ამ დინებაში მოქანავე ბეწვის ხილს, კაცის სიცოცხლე, კაცად ყოფნა რომ პქვია... ეს არის შვავად მოვარდნილი დრო, არა ეამს რომ არა გტოვებს, სულ წინ რომ მიგიძღვის, თავპირზე რომ გადაგდის და წინ მიგერეკება, მიგატრეხს... აი, მისი დინება, მისი საუცხოო ჩქერები: „ყარბიბი მწირი! - ეს სიგყვები ჩემს სახელად იქეცვა მალე-გაბმული წვიმა შემოდგომისა“... კიდევ: „მოყვავილე აღუბლის ნისლი! - მარების ხმა მოცურავს ჩემკე... უინოდან თუ ასაკუსადან“... მწირ ღებალებში, სიგყვის ნაკუნებში შეიგრძნობა ის: წარმღვნილი ღელგზა, ჩქერად მოვარდნილი შემზარავი დროის დინება.

ვერწმუნით დიდ პოეტს: პაოლომ თქვა უმუსტესი რამ: პოეტი, „როგორც სტუმარი, სხვა ქვეყნიდან მოსული, ძვირი“...

ენა, როგორც სამყაროს დიდი საკვირველება, როგორც ყველაზე დიდი გამოცანა...

მწერლობა ჯოხის ჩიხიდან დაძრომას მიეღმის. იქ შესვლას ხომ კოლოსალური ენერგია დასჭირდა: ასევე უმღვავე ენერგია და გულმოდგინება სჭირდება იქიდან თავდაღწევას... ხოლო ეს წინაუკმო ფუთება ამტკიცებს, რომ მწერლობა ერთ აღაგას არა სდგას; თუქება ესეუ სათქმელია: ის არსად არ მიღის...

შემზარავი ავადმყოფობა საუკუნისა: კოლექტიური ნევროზი...

სიგყვა ყველაზე ამაზრზენი, გულის დამფლეთი, სისხლის გამყინავი უსირცხვო რამ: წარმოუდგენელი უმწეობის დამტყვე, ენით უთქმელი სიბინძურის მტვირთველი...



გატყვევო: შეცვიერი კაცთაგან უპირველესად იმით განირჩევა, კითხვებს რომ არა სვამს... კითხვა კი ყოველთვის იმის დასტურია, მოპასუხემ რაღაც უფრო მეტი რომ იცის, რადგან იმ ადამიანებზე რომ არის...

ლიტერატურის შავი პროვინციალიზმი: მერკანტილური პირმოთინეობა, განდიდების მანიაკალური წყურვილი, გემოვნების ათროპია უკიდურესი, უსაფუძვლო და სასაცილო ქედმაღლობა: ერთგვარი ბრეჟი...

ეს იმათ გასაგონად, ვინც ქართული სიტყვა პორნოუფექტების მისაღწევად გააშინებდა და გააბითურა: ხარწმუნო სიტყვა უნამუნოსი: „პორნოგრაფიითა და ეროტიკით გატყეპული მწერლები ყველაზე გონებაჩლუნგები და ყვეყნები არიან“.

ყოველი დრო თავის პირმშობებს ამოატივტივებს: მედროვეებს, შააშებლებს, მომხეჭვლებს, შეწირულებს, ერისკაცებს... ერთნი შერისხულნი არიან, ხოლო მეორენი - მორჭმით მყოფენი: ამა სოფლის ძლიერთა კალთას შეფარებულები... ყოველი დრო ამ ორ საყრდენზე სდგას. ყოველ დროში ამ ფონზე ისახება კეთილისა და ბოროტის თამაში... აქა გრიალებს გრაველის სუნი, უხვად იღვრება სისხლი და ცრემლი... ცხოვრებას, ისტორიას აქა ღვს, აქ იწერება...

პოეზიის დაშლა, მისი ჩაკლა თავისივე თავში: ექსპერიმენტი არა თავისუფლებით შობილი, არამედ იტულებითი, გარეშე ძალის გავლენით ქმნილი: პერმეტიზმი პოეზიისა...

ერთი ინერცია: ცრემლის პრიმატი, რომანტიკული პოეზიის მიაშიგობა, მგრძობელობის დამქანცველი ხარისხი, როცა პოეზია, წარმოსახვა რეალურის ადგილს იჩემებს.

გულის მიმტაცე რამ ეუუძნება დაუჯერებელს. მე გუებნებ: შეიყვარე ის, რაც არ გჯერა.

დუმილის დრო: თითქოს რაღაც მზადდება, თითქოს რაღაც გროვდება იქ, სადაც უნდა დაგროვდეს, თითქოს რაღაც მწიფდება ჩუმ-

ად, შეუძნებლად, მტანჯველად, პარიზში, ნოტრ-დამშე მიმაველ ბორხეს ვინმე უცხო სტუდენტმა პირდაპირ მიახალა: ბორხეს, თქვენ არ არსებობთ!.. ბორხესი შეწერდაო; იგონებს ალიხიო მარკესი, ჩამქრალი თვალები მიამყრო იმ საგარაუდო წერტილს, სადაც სტუდენტი გეგულებოდა და თქვა: დაიხ, ეს სიმართლეა!.. ესე რატომ უპასუხეო, უთქვამს თანხლებ ვოგონას, მწერლის მდივანს... იმიტომ, რომ ამას მე დღედაღამ დაუდალავად ვამტკიცებ: მე არ ვარსებობ, მე ვარ არარა! - უთქვამს სახელოვან ბორხესს.

პრიმიტიული გონის მონაწერი რამ ამრი: თითქოს პოეზია ეჯიბრება პოეზიას, თითქოს პოეზია ეჯიბრება რეალობას და ა.შ. შეიძლება ვივარაუდოთ შეჯიბრი მრავალგვარი, თუმცადა პოეზიის ამგვარი მიმნით წარმოსახვა მცლარი გზით წაგვიყვანს, ანდა, სიმართლე რომ ვთქვათ, არსაით არ წაგვიყვანს. პოეზია არაფერს და არავის არ ეჯიბრება, ის არ არის შეჯიბრის იარაღი, ის არ არის ანტაგონიზმის შხამიანი არენა, სადაც შეიძლება ვინმემ გაიმარჯვოს, ვინმე დამარცხდეს... პოეზია ქმნის ერთადერთს, განუყოფელს, ირეალურს. ის მარტოა: ამდენად, მისი არსებობა შეჯიბრს გამორიცხავს. პოეზია არის კარგი, ან ცუდი, მაგრამ ის არ არის შეჯიბრით შობილი...

სიგყვის მცდლობა არარეალურის, უსამველოს, შეუძლებლის ერთიანად მობოჭვისა, მჯილში მოქცევისა, რაც შესაძლებლობის გადაჭარბებად მოჩანს და, რაც, თავის მხრივ, სიგყვას კი არ უნდა მიეაწეროს, არამედ გაუშაძლარ შემეცნებას, მირაყად აჩანხულ ოჩოფებებზე რომ დგას და, თავისი საეჭვო ძალმოსილების კვალობაზე, სიგყვასაც რაღაც შეუძლებლის წამოსაკიდებად რომ გემავეს და აგულოვანებს, როგორც თავგზებულადებული, ცნობამიხილი მოძალადე.

აღქმის გარეშე პოეზია არ არის: მისი აღმქმელი გონითი სივრცეა. აქა ხდება მისი დასრულება, დაბოლოება... და რაც არ უნდა მორს დაევიტროთ გონება ქმნადობის ეამს,

რაც არ უნდა წინ დაეაყენოთ მიღმურის, ბნელის როლი და მნიშვნელობა, პოეზია მაინც ვერ გაექცევა გონის, შექმნების შეხებას, რადგან, როგორც ითქვა, მისი აღმქმელი, მისი ამთვისებელი მაინც გონითი სივრცეა...

სახელი: წვეთწვეთობით ნაგროვები, სიმწრით ნაზარდი და სახელი: უცერად მოვარდნილი, დამაბრმავებლად მოკაშკაშე, მოულოდნელი...

შენ უნდა მიესალმო და ფეხქვეშ განერთხო გირანებს. შენ უნდა ჩაქოლო ის, ვინც შენს გულისფეთქვას სდარაჯობს, ვინც ღვთის გმას გვიჩვენებს. შენ უნდა სგვენით შევეგებო შენს უნიჭიერეს შვილებს, ხოლო უნიჭონი და მედროვენი მაღლა უნდა აზიდო, გააფეგინო... შენ უნდა ჩაქოლო და გადაჯეგო, ამიგომ ხარ დიდი და ცნობუკადი. ამიგომ გქვია ბრბო, ბრბო, ბრბო...

გონების წყვდიადს, დამუელ ვარსკვლავთცეცხლის მსგავსად, კაწრავს, წამიერ ანათებს რაღაც, რასაც შედიგაეცის ძალღონე, ანდა გონითი კონცენტრაციის და გარღვევის უნარი შეიძლება ეწოდოს, რაც, თავის მხრივ, შეყვებულია და წამიერვე ქრება, ხოლო მისი კვალ შეიძლება შევადაროთ ვარსკვლავთცეცხლის კვალს, მსწრაფლ ქრობაღსა და წამიერს, რაც, კაცმა რომ თქვას, არც გამოცდილებას ამდიდრებს და არც წინ გვიბიძგებს... ის მხოლოდ თავის არსებობას გვისაბუთებს და კიდე იმას, ადამიანს ამგვარი უნარიც რომ გააჩნია და ის სწორედ ამ უნარის გამოა ადამიანი და არა ნეხვი...

დააკვირდი: წმინდა წყობილსიგყვას ამღვრევს და ფარავს რაღაც ლექვი, ყოველღვიურობის ფერფლი და წიდა და ითრევს თავის პირქუფრ მორევეში, აქრობს და აუჩინარებს, როგორც მღვრიე, უშეღავათო მდინარე... და ასე: დროის რაღაც მონაკვეთში ღიგერატურის ეს ნაღები, ეს სალოლიავეები რამ თითქმის აღარ ჩანს, იკარგება და თავის კვალზე უპაერობის შეგრძნებას გვიგოვებს... და რჩება ერთი ნუგემიც: ეამთასვლის კვლობაზე, გემოვნებათა ცვალებადობის

კვალდაკვალ, წმინდა წყობილსიგყვავ კვლავ გადაიკარებს, გამოიხსნება და უჩინარდება უბლად აუღვარდება მღვრიე და წამრღნელ მვითქაფის თაგზე და აგვაფსებს წარუღნებელი ცეცხლით ჩვენ, ამ დიადი სახილველით გაკვირვებულებს.

ის იყო მღვრიე, ანდროფობით სხეული: ეამიეამ, თავისი სენის ვერშემცნობი, ამოიგმინებდა: უუჰ, ეს მაშაკაცებო... და მისი განში, წამიერ, ამორძალი გაიღვიძებდა: მისი მგერა მოიმშვილდებოდა, მოირკალებოდა, წამწვედებოდა და კაცობრიობის ეწ. ძლიერ ნაწილს მიეხინებოდა, სამგროდ აჯაგრული... ამ სენმა გაამარგოქალა, აქცია მარგოხედ, შინაბერად და, ბოლოსადმოლოს, ამავ სენმა მოულო ბოლო...

სიგყვის მოღობილში დამწყვეული დრო, წარუღინებელი რამ: ცნობიერების ანახლეგტი ნაქერწკალი, მრავალჯერ რომ ცხადდება და კვლავდაკვლავ რომ ამტკიეებს ამ ნაყად, ყბადაღებულ ჭეშმარიტებას, რაც იმას გვეუბნება, რომ სიგყვის ღვთაებრივი უნარი დროის შენახვისა კვლავაც გეობს კაცის გულში, კაცის ფიქრში, წიგნის უურეღმე...

როგორც ღვთინები ამბობენ: ცხადს მტკიეება არ სჭირდება. მამ: რატომაა, ერთნი ხელაღებით რომ ამტკიეებენ, მავანი უნიჭო და ხეარეაო, ხოლო მეორენი დაქინებით იმეორებენ, მავანი ვინმე ნიჭით საჯე ქვეერიაო... ვის სჭირდება ეს: იმ თითო-ოროლა გურმანს, ნამღვილი მკითხველი რომ ქქვია, თუ ბრბოს, ნიჭისა და უნიჭობის აუქარგზე წარმოღვენა რომ არა აქვს? ეგებ, ღმერთებისადმი, აღვლენილი სიგყვაა: თუმცა ყოველისმეცნაურთ და ყოველსმეოღნეთ კრიტიკის კომენტარები რამო არგვია?! ეგებ, ეს ცარიელი გულის უხანაა და შეგი არავერი?.. ეგებ...

ვიგყვი ასე: სიკვდილის სახილოვე იმპულსია პოეზიისა: ლექსებს ამოთქამენ ხანმოთეული მოხუცები, მძიმე ავადმყოფები, სიკვდილმისჯილები... ისინი, ვისაც ლექსი არასდროს არ დაუწერიათ...

გონის მღაზენა, შექმნების ავადმყოფური



შენელება: თითქოს შესვენება, თითქოს ამოხაპვა, თითქოს ამომშრობა ბოლომდე...

მღინარემ არ იცის სიციხის აღმართი: ის დაბადებიდანვე, სათაეიდანვე თავქვე ეშვება, თავდაღმა მიექანება: და იმრდება დაღმართში, იმღვრება, იჩქეფება, ჩქერება და იფხინება, ირეხს და განიყოფს... და ბერდება და მლოვრდება დაღმართშივე...

მეტი სისხლი, მეტი სინელე: ეს სჭირდება პოეტურ ენას, პოეზიას, ლექსს, დროს რომ გაუძლოს, ვაშის ვრძელ გზაზე უნუგემოდ რომ არ დაეცეს.

სიურრეალიზმის შედეგი: ავტომატური ტექსტები, ქაოტური პოეზია, სპონტანურად ნახროლი სიტყვა... პირველყოფილობის, თავდაპირველობის წყურვილი, ლექსად გადმოდერილი... გონითი ალაღობის აღკვეთის ცდა: ოღონდ უშედეგო...

პოეტს ორი ენა აქვს: ერთი, გამჭვირვალე და ნათელი, საყოველთაო, ყველასთვის გასაგები... ხოლო მეორე, დაბინდული, ქარაგმებიანი, ქვეტექსტური, უხილავისთვის აღელენილი: მხოლოდ მისთვის საჩინო, მხოლოდ მისთვის გასაგები...

დამიჯერე: უკვე შექმნილის გამეორება-გამრავლება მწერლობის საქმე არ არის: ამას მოხალისე პლაგიატორ-ვერსიფიკატორების დიდი არმია ეკარგად გააკეთებს... მწერლობას კი სულ სხვა რამ ევალება: მან ახალი გზები უნდა გაწაღდოს, ახალი ჩუქურთმები უნდა დაძებნოს, ახალი ხმები უნდა მოაგროვოს, ახალი მატერიკი უნდა შექმნას... ახალი ქვეყანა, ახალი ვალუტა...

უნივერსალური პოეზია: სამყაროს პოეტური ახსნა მრავალსახოვანი, მრავალფენოვანი წყობილიდან, მომავლისაკე გაგყორცნილი ისარი: მცდელობა მომავალ თაობათა გულების დაგყვებისა...

ძველისძველი, ნაცადი, სათნო სიღარიბე: მავანი პოეტი დღეს ქუჩა-ქუჩა დადის და პაპიროსსა პეიდის, ასანიასა პეიდის, ვაშეთსა პეიდის, წიგნსა პეიდის. ნუ შეგმარავს ეს

ამბავი, ჩემო დაბაკო ძმაო, გაიხსენე: ვაჟა-ფშაველა, სიღარიბით აგანდღე და დეცხილი, ჩარგლის ხრიოკ ფერღობებს რომ კაწრავდა, გუთანს ეკოდა, ცელს მისდევდა, როგორმე ოჯახი რომ ერჩინა... გაიხსენე დაბაკო და უპოვარი არგურ რემბო, სიღარიბით ოგებული, იგივე სიღარიბის სიახლოვემ საპარის უდიდეს მონათვაჭრად რომ აქცია, დააგდებინა კალამი, მოაკვეთა პოეზიას...

ბავშვობა, როგორც გრძელი ლეგენდა... თითქოს სიმშრად ნანახი... მღაპრის დასაწყისი და მღაპრის გაგრძელება... რაღაც, სამოთხეში გაუღილი დღეების მსგავსი... სამყაროს ხატის პირველადქმა, ათვისება, ვითავისება...

პოეზიას აკინებებს ის, რაც მასში „გამოყენებითია“, რაც პოეზიას შერეულ ლიბრეტოსთან აახლოებს, პრიმიტივიზმის სწორხაზოვან გზაზე გააყავს, აცლის იდუმალ ჯადოს, აჩივებს, აპაწიავებს...

დიდ წიგნებს აბითურებენ კერძთაყვანისმცემელი ინტერპრეტატორ-კრიტიკოსები... ასე დაუმართა ჩვენს უკვდავ კლასიკას და ასე გაგრძელდება კვლავაც, თუ მოწაფური გარჩევების ვაში არ დასრულდა.

ენის აღვირახსნილობა: როცა ის შენშია, როცა შენგან თავისდაღწევას ცდილობს, როცა ფურცელზე ეშხეუება...

ის, რაც ანომალური ვითარების ნაყოფია, არ შეიძლება ახსნადი რომ იყოს: პოეზიაში ახსნას, გაგებას ვინც დაეძებს, მწარედ გყუვდება: ის პოეზიის უკუენითის მგზავრი არ არის.

უნივერსალურია პოეზია: საზღვრების გაღამლახავი... ამის გამო არის ის უშნეო, უკეთური, დამყრობი...

დაბუჯითებით ვაშობ: არახდროს არ ჩამიღენია იმგვარი ღირსეული და აღმატებული რამ, ჩემი საქციელი მიბაძვის ღირსი რომ ყოფილიყო... როცა ჭეშმარიტებას სათნოთი დაეძებს შავ ღამეში, როცა ცლებში ღვდება შენი გონი და ფიქრი, მაშინ, შესაძლოა,

ფეხი დაგიცურდეს; შესაძლოა, კიდევ გადაიხეო; შესაძლოა, უფრო იოლ, უღირს გზასაც დაადგე; შესაძლოა, მარცხიც იწვინო და, შესაძლოა მწეობის ჯაგმანიც შემოგაცეცდეს და იმგვარ რამეს წაეპოგინო, რაც სხვებისთვის მიბაძვის ღირსი სულაც არ არის...

მედიტაციის შედეგს თანახმად ვხედავ ნდობისთვის საჭირო სიმართლის შეგრძნებას, რაც მთლად გონის მონაწერი არ უნდა იყოს და ეს გვაუარაულებინებს, რომ მედიტაცია მთლიანად წმინდა გონისეული პროცესი არ არის: მას რაღაც ერევა, მას რაღაც აკეთილშობილებს, ათბობს... და ეს ყოველივე მოწმობს ერთ საეარაულო აზრს, რომლის ძალაც ხშირად უგრძნობით ლექსის მჩხიბავეებს და, რაც მიახლოებით ასე გამოითქმის: მედიტაციის მღვრიე მდინარე პოემის საზღვრების სიახლოვეს მიედინება...

წარსულის ხმა უფრო ახლოდან ისმის, ვიდრე ეს გვეგონია. ოღონდ ეგაა: ფხიზლად უნდა იყო, ყური უნდა მიუგდო, უნდა იწამო.

პოეზია, როგორც ფორმა, ამგვარად დაეაღბავით: 1. წმინდა პოეზია, 2. უნივერსალური პოეზია, 3. მეტაპოეზია... პირველი: როგორც მიუწვეველი რამ, ის მთელი თავისი სიდიადით მხოლოდ გონების სამღვრეშშია... მეორე: რეალობის ანახსლევია და, თავისი სიმღვრივის მიუხედავად, იოლად დასანახია, იოლად აღსაქმელია... მესამე: ის, რაც ამ წინა ორის სამღვრებს მიღმაა, რაც ამ ორს არ მიეკუთვნება, მაგრამ მაინც პოემის წრეშია და, თავისი უჩვეულობით და მოულოდნელობით, გულის მიმტაცია, რის გამოც ის აღიქმება როგორც პოეზია და არა სხვა რამ.

აპოლოგიას თანახმად ვხედავ ნაწილობრივი ან სრული სიბრძავე: ეს ნიშანი ვისაც არა აქვს, ის აპოლიგეტად არ ივარგებს.

ამ წიგნის თავფურცელი: შექმნის ეამს პოემიას მისამართი არა აქვს. ის იქმნება თავისთავად, თავისთვის, რაც პოეზიის სრული თავისუფლების მაჩვენებელია... ამ ჩანაწერებსაც, უფრო მეტი საერთო პოემიასთან რო-

მა აქვს, განწყობის გაუღებებ... წმინდა... მეცხეულად, თავისთავად, თავისთვის... მსმს

ნარცისიში, ამბიციურობა: როგორც ფართოდ გაფრცელებული ავადმყოფობა, რასაც გაცილებით უარესი შედეგი მოსდევს, ვიდრე სხვა, დღემდე ცნობილ განუკურნებელ სნეულებებს... ეს განსაკუთრებით შეეხება უნივერსალურ, უსაფუძვლო ამბიციურობას, რაც კაცობრივი რასის ერთგვარი გენეტიკური ნიშანია, შთამომავლობითი პასპორტია, თანამდევნი ბაქილაა...

შეუძლებელი: ის, რასაც ღვთაებრივ საქმეთა წრეს მიაკუთვნებენ. შეუძლებელი შესძლო: ე.ი. ღვთაებრივი საქმე აღასრულა, შეკაცის სახელი დაიგლო...

თანამედროვე პოეზია ასე აიხსნება: დიდი ის იმდენად, რამდენადაც გამოცანაა, ამოუხსნელია, ბნელია... ის ისევე დაფარულა, როგორც ძვირფასი წიაღისეული, რასაც კაცობრივად მოღვმის ფიქრი არა სცილდება და, რაც, თავის შირი, ამოცნობას, ამოხსნას მიეღმის.

მუსიკა შედარება სანთელივითაა: ის აღანთებს მთელს ლექსს, სიტყვების მწკრივს გზას მიუნათებს, წინ მიუძღვის, მიჰყავს...

დააკვირდი: ყოველი კაცი ყოველდღიურად განათილისებს და კითხულობს დიდი, დაუსრულებელი რომანის რაღაც ნაწილს: რომელიც ღვთაებრივი წიგნის ფურცლებს და ჩასდევს, ეწაფება განუწყვეტლივ, ჩაღრმავებით, დიდი ვნებით და ესწრაფვის დასასრულის ამოცნობას, თუმცა, კაცობრივად რომ თქვას, ეს ამბავი არცთუ ისე იოლი ჩანს და, ეს წიგნის თავგანწირული გურმანი, უკან როდეს იხევის, კვლავ და კვლავ, კიდევ და კიდევ იძირება ფურცლებში, ცდილობს რაღაცის გაცხადებას, იქ აღწერილი ამბების მიშვობრიობის დადგენას, სამომავლო მოლოდინის გაჩხიბვას და, დღითა კვლავ კვლავ, მეტი და მეტი ფურცლები და ნაწილები ცნაურდება, ხოლო ბოლო კი არა სჩანს... შენ მეგვით: დასასრულს უეჭველად იმ ქვეყნად იხილავს... მაგრამ მთლად ასე როდია: ის დასასრულსაც ამქვეყნად წაიკითხავს და

ამ გრანდიოზული წიგნის დასრულებით ფრთაშესხმულმა და იმის შემცნობელმა, რომ ეს წიგნი მისი ნახელავია, შესაძლოა, რომელიმე დიდი ჯილდოც კი მოითხოვოს, მაგრამ ეს სურვილის ამაო, უფუძე გაუღებება, რადგან ამისთვის მას არც დრო რჩება და არც ძალ-ღონის ნატამალი.

ერთი გამოცანა: იმას, ვინც არ დაგპირებია, მოვალე, მიელი ცხოვრება ელი გულგაწერილებული, თვალღებანთებული, სასო-მიხილი, ხოლო ის არა და არ მოდის... და ხედები: აქაა დამარხული ცხოვრების გამოცანა: ხსოვნიდან გამქრალი მკვანის სახე, ვინც შეგპირდა და, ალბათ, კიდევაც უეჭველად მოვა... ინსტინქტში, მიღმურში ჩარჩენილი პრეისტორიული დანაპირებისა და მოლოდინის ანარეკლი... ვინ მოვა? საიდან მოვა? როდის მოვა? ციდან? ქვესკნელიდან? „მოვა, მაგრამ როდის?“... აი, გამოცანა: ბუნდოვანი, ამოუხსნელი. აი, უმიშვო დარდის მიზეზი...

მწერლის თანამდევი: მარადიული უკმაყოფილების ნაღველი უმწარესი. ამ გვირგვინით დადის ის ამქვეყნიურ გზებზე. თავისი დაწყევლილი ხელობის სიძულვილი ეამიჯამ თავგანს აკარგვინებს. როგორც დამფრთხალ ნადირს, ისე უსაფრდება სიგვეას და ამ გაბეზრებულ მღვანელს ნადავლის მიზლი უესებს გულმუცელს, გულმიღვით იპყრობს, ქანცავს, აგულკინებს...

ნიჭის დაღმასვლა, დაჩიავება, დევრადაცია... ხანმოთუელი ლევ გოლსტოი წერს: რაც შეიძლება ცოტა უნად ვწერო... ხოლო მოვი ვინმე ნიჭს, უნარს უმრეგ წყაროდ მიიხნევს და ღრმა სიბერემდე უხვადა ქმნის: ხელთ კი ვერჩება ინერციით ნაწერი გექსტები, რაც მხოლოდ მგვერია გარდასულისა...

ისწავლე: ბრბოის უხილავი გავლენისაგან თავისდაპერენა, ჩრდილში დგომის ხელოვნება, მედროვეთა ლულულის არმოსმენა, სიგვეის გაცხადებით და შედიგაციით აესება...

უსასრულობას არა აქვს კიდე. ამგვერია ორი რამ: სამყარო და შემეცნება. ერთი განპირო-

ბებულია მეორეთი და პირ უკუ უკუფდელ სამყარო. უკიდლო შემეცნება. შემეცნებე სამყაროში და სამყარო შემეცნებაში. სამყარო შეცნობილი და სამყარო ცნობიერი. სამყარო თავისთავის უსასრულოდ შემეცნებელი. სამყაროსა და შემეცნების ერთიანობა, ერთარსობა, განუწილველობა, უპირობობა.

მოღერნი მოგადად: გექსტის უარყოფა. აბდაუბდა პუნქტუაცია. უქვეგექსტო ერთსახოვნება. დინება დუნე. თვითმიზნური თამაში: თამაში ვნის, თამაში სულის. ახალი კლოუნადა. თვითდაცინვა შემზარავი. თვითგამიმელება. სტრიატიზმი...

არ დაიშგამპეება, არ გაფერმკრთალდება ის, რაც მარად უცხოა, რაც ბოლომდე ამოხსნილი არაა: პოეზია.

ენის მუსკულატურა. ენის სფერული აღნაგობა. მისი მიმიდულობის ცენტრი: ის იმიდავს, ათვინიერებს უცხო სიგვეებს, მოაქცევს თავის რჯულზე, მიანიჭებს ახალ ფერხორეს, შემოსავს ახალი სამოსით, ალტერეირებს სხვა ცნობიერებით... ერთი სიგვეით რომ ვთქვათ: ის არის დამპყრობი, ის საკუთარ მიწაწყალზე, საკუთარ წიაღში შემოხტებულ სიგვეებს ათვინიერებს, მიიმიდავს, მიიშრობს, მისააკუთრებს... ათვისებს...

არის სათქმელი, პოემით რომ არ გადმოიცემა: ამ მხრივ პოეზია უნივერსალური სულაც არ არის...

აწმყოს წამიერობა მოძრავ კადრებად რომ რჩებოდეს, მაშინ ყოველი ადამიანის ცხოვრება წარმოგვიდგებოდა უზარმაზარ, მუთქაქე მდინარედ, თავგანწირული კვეთებით რომ მიედინება, ალაგ-ალაგ ჭორომებს რომ ქმნის, ალაგ-ალაგ მორევებად რომ გრიალებს, ალაგ-ალაგ ჩანჩქერად რომ ეშვება... და, კაცმა რომ თქვას, მოგონება მხოლოდ-დამხოლოდ ამ მდინარის გაცოცხლების ცდაა, ამ მდინარის დახაგვის წაილია, თუმცადა, ესეც უნდა ითქვას, რომ მისი სრული განხორციელება შეუძლებელი რამ არის.

პოემიას სამღვარი არა აქვს: ის უსამღვროთი არის განპირობებული, უსამღვრო

ესადირკვლება... აქედან ერთი ნაბიჯია უსამ-
ღვროსთან მიახლოებამდე. ვითქვამთ ასე: პო-
ემია წვდება იმას, რაც უსამღვროა: პოემია
მისკენ გაგზავნილი სიგნალია, მასთან სალა-
პარაკო უნაა.

შავისა და თეთრის შეუფება. ფერწართმეული
სამყარო. თითქოს შავეთის წინკარი: შესას-
ვლელი, სადაც თვალი უნდა შეაჩვიო იმას,
იმ სახილველს, რაც იქ, შიგნით გვლოდება:
მავი ფერით დაფურსული მიღამო და ცრიაგი
მუქის მორეული ჭიატი...

წვიმით ჩაგაღვამებული ხეობა, სერისერ ჩა-
მოქმნდილი ნისლის ვეება ფთილები და წყნა-
რი, ძლივსშესამჩნევი, მერელი წვიმა, თი-
თქოს ამ მოვამული, მობინდული დღის თვა-
ლწარბიდან ჩამომცვრეული, წყნარად, უხ-
მოდ რომ ეფინება ბალახს, ფოთოლს, მიწის-
პირს და, წვეთებადქექული, თავქვე რომ მი-
ცურავს სახურავებზე, ლოდებზე, ბალახის
ღვროებზე და ჩუმად, ჩუმად ქრება, იკარგება
მოშავეთეთა გრილ მიწაში, საფლავის სათნო
მღუმარებაში.

სიკვდილის, ჯოჯოხეთის, ჯოჯოხეთში მღე-
ბარე კუპრის გბის, დამსჯელი ღემონების
და სხვა ამღაგვარი საფროთხოვლების შიშით
პყრობილი ადამიანი ყოველივე ამას უფებზე
იკიდებს მამინ, როცა უმწეობის დაუძლეველი
წყურვილი მოუკლეს, როცა შემეცნებას წიხ-
ლავეს და აბითურებს რაღაც უფრო მძლავრი
და ხელშეუბრუნებელი რამ: თვით სიკე-
დილზე, ჯოჯოხეთზე და სხვა პირქუშ წარმ-
ოდგენებზე უფრო საშიში და შემშარავი.

სხვა ყალიბის, სხვა ჩამომავლობის, სხვა
ლიდარის ქართიველი: შხეფი მეცხრაამეგე
საკუნისა. ძნელ, პირქუშ დროსთან შეური-
ბალი, მაგრამ მაინც მისი გვირთის, მისი
ცოლვა-მადლის მშობიავი, სიგყვის ეპიკუ-
რელი, სიგყვის ჯადოსნურ წიაღთან გამზინა-
ურებული, თანაც მისით მიფრალი, მისით
მონუსხული სამარადისოდ... კახელ თანამოძ-
მეებზე მის მიერ ნათქვამი თვით მასზე ასე
შეიძლება ითქვას: სიგყვის ღზინიკო...

თავისთავის დაძლევა: წინსვლის, გადაფა-

სების, განახლების უეჭველი მეროთეული

ნიშნულითაქა

ახალი წაკითხვა: ახალი ინტერპრეტაცია...
ეს გულისხმობს გათხრის, ჩაყვინთვის, ჩაღ-
მავების, ცდის შესაძლებლობას, რაც იმის
ნიშანია, რომ აქ რაღაც ჯერ კიდევ ამოუხ-
სნელი, ჯერ კიდევ დაფარულია, ჯერ კიდევ
ამოუცნობია...

როცა კაცი სცყვის: ეს პიროვნული უძლე-
რების ნიშანია; როცა მთავრობა სცყვის:
ეს სახელმწიფოს უძლეურების ნიშანია; როცა
ერი სცყვის: ეს ეროვნული უძლეურების ნი-
შანია...

შემშარავი კლასიკა: გაქვავებული, უცვლე-
ლი, ბეჭედლახმული მარადისობა...

განწყვეტელი, გაუცნობიერებელი პროცესი,
რასაც აბოლოებს ასევე უცხო რამ სიგნალი,
როცა ლექსის ფურცელზე გადმოწერა იწყ-
ება. შოგი ფიქრობს, რომ ეს არის ლექსის
შექმნის პროცესი. არა, ეს არის ლექსის დას-
რულების დრო, ლექსის გაცხადების, დაფიქ-
სირების საკმაოდ მკვიფრული, მაგრამ მაინც
მშვებელი ვამ: აქ რაღაც დასრულდა და,
თუ ამ დასრულებას კმაყოფილებაც თანას-
დევს, ხომ კარგი, თუ არა და, ისედაც არაფე-
რია დასაკარგი.

აღღვომის შემდეგ იესო მოწაფეებს გამო-
ცხადა, დამოძღვრა და ბოლოს ამგვარი რამ
უთხრა: მე ვიქნები თქვენთან, ვიდრე ქვეყნის
აღსასრულამდე... მაგხოვარი ამას ამოოდ არ
იგყოდა. მან იცის, რომ ქვეყნიერებას დასას-
რული ელის... მესიის ეს სიგყვები ჩვენ უნდა
მივიღოთ როგორც წარღვნის წინაღვეს ნა-
თქვამი, როგორც გაფროთხილება ფარდულრი
გარღვევადობის მოახლოების ვამო.

გუებებე: ეს იყო დიდი წარმოდგენა, დიდი
წიგნი, დიდი მუსიკა, ვნებათაღვლვის ყოველ-
დიური, უანგრაქტო თამაში და გკბილი და
მიმწლობი და უმწარესი რამ, რაც, უეჭველია,
ვიღაცამ ვიბოძა, გამორჩეულად შენ მოგყა,
ხოლო ის ამბავი, თუ რაგომ ჩაიღინა ეს, ან
ვინაა, რაა მისი მიმანი - ეს შენ არ იცი,
/თუმცა ვარაუდები უხვადაა/ და არც უნდა



იყოლე, რადგან ეს ცოდნა არაფერს არ შეგმატებს, არაფერს, არაფერს...

ომი ბაღებს არა მარტო გვირებს და ღამირებს, არამედ აჩენს სასოწარკვეთილი ადამიანების არმიებს, ომის სუსხით იერდაკარგულთა ჯოგებს, ბოგანოთა, ხეიბართა, მძარცველთა ბანდებს, მრდის პროფესიონალ მკვლევებს - კილერებს, ჯალათებს, ვინც შედეგ ანგრევს ქვეყანას, მნობას, მორალს... ომის დროის ერთი ჯალათი მეუბნება: ისე მომწყურდა კაცის კვლა, რომ ხელისგულები ამქავედებო... თანაც დასძენს პატიოსანი კაცის იერთ: მაგრამ უმიზეზოდ ხომ არ მოკლავო... მკვლევებო, მპარავებო, ომის ეკლესიაში გზასაცდელი გარეწრებო, მიზეზი არასოდეს არ დაილუვა, მთავარია სისხლი გწყუროდეს ისე, წყურვილით ხელისგულები რომ აგქავედეს!

ცხოვრების ჭრილთა ფილოსოფია, მრავალგვარი ინტერპრეტაცია, ახსნა, გამოშიგნა: რაღა არ ითქვა, რაღა არ დაიგია პაპირუსმა, პერგამენტმა, სუფთა ქაღალდმა, რაღა არ მისწავა ცხოვრებით, ყოფიერებით თავდამძიმებულმა და დაღლილ მოკვდავს, რაღა არ წამოიწვია თავის ერთფეროვან, უღიმღამო, მაგრამ მაინც უჩვეულოდ სასურველ გზაზე, რაღა არ მოისმინა, თუმცა ის, რითაც უნდა დაბოლოებულიყო ეს განსჯა, ეს ინტერპრეტაცია, რითაც უნდა შეჯამებულიყო დასკვნად ან შედეგად, რაც, თავის მხრივ, გზასაც უჩვენებდა და იმედსაც გაუორკეცებდა, მან ვერ მოისმინა, ვერ წაიკითხა, ვერ ნახა, იმის გამო, ამგვარი რამ არაეის რომ არ დაუწერია, არაეის რომ არ უთქვამს, არაეის რომ არ წამოსცდენია, არაეის... არაეის... ე!

პირისახეზე სიკვდილის ფერი ელო, ხოლო იმის გაბზარულ ხმაში იმედგარეუების მარი რეკავდა; ეგრე მეუბნებოდა: ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ქართველს თუ ასე იოლად შექმლო სამშობლოს გაყიდვა, ამას ნამდვილად ვერ მოვიამრებდიო... ეს ღალატი, ეს მოღალატური გაძრომა-გამოდრომა ისეა, როგორც გულში დაეკმული ბებუთი, ჭრილობაში რომ ჩარჩა და ვერაფრით რომ ვერ ამოიძრობ, თუ ჭრილობა არ გააგანიერეო...

ერკინული

უნამუნო: „წმინდა ხელოვნებაში გიამბობ? არ გინდა. ის არ არის... პოეზია არ არის კლოუნადა, არც ჯადოქრობა... ის არის სასწაული“... მართალი უნამუნო: ესპანეთის მფეთქავი გული...

პოპულარობის მძებნელი ცოდვილია: ის თავისთავის ხატსა ჰქმნის, აღმერთებს, ეთყვანება... ესევე ცოდვილია ისიც, ვინც პოპულარობას არ დაძებებს, მაგრამ ვერ შესძლო, პოპულარობას რომ გააქცეოდა...

მოდი, პოეტების გასაგონად გავიმეოროთ დიდი აშერიკელის ჯორჯ სანტაიანის სენტენცია: „პოეზიის მწვერვალს აღწევენ არა ვერსიფიკატორები, არამედ წინასწარმეტყველები“...

გონის ფაციფუცი: სიგყვებით, აზრებით, წარმოდგენებით მზიბავობა. დანგრევა: კვლავ აღმუნება. დაეკმა. კვლავ ამაღლება. სამყაროთა ენიგმურობის გასხსნის წადილი; თავისთავის სიმყიფისა და განწილვადობის დამღვევის დაუოკებელი წყურვილი... და მეცნობის და ამოხსნის და განათების შემდგომ რჩება იგივე, რაც თავდაპირველად იყო, რაც ყველაზე დიდი გამოცანაა, რაც უცვლელი და მარადიულია: არარა... განვითარების, ამაღლების, სრულყოფის ბოლოწერტილი...

მიდი: დახატე უფსკრული. უფსკრულთან დახატე ისინი: დაანახე, რომ უფსკრულის პირას დგანან... ხოლო უფსკრულიდან ჯოჯოხეთის ქარი უბერავს...

„ბრბოს ძალა შესწევს, ველურს და მშიერს“. ეს მალვერდ ღელუშაურის სტრიქონია. მომდევნო ღელუშაურის კვითხულობთ: „უგუნური ბრბო“... ორი უგუნური ფრაზა... ბრბოს ძალა აქვს, მაგრამ უგუნურია. მისი წესრიგი ხშირად უგუნურებას ემყარება. ამბოხებული ბრბო რევოლუციის საყრდენია, უმნობის საძირკველია... ბრბოს ღელუშაურის გადამწვებული კაცი უპიროვნოა: მას რეალური გვარსახელი არა აქვს. ის არის ქარიშხლის ერთი წვეთი, ღვარცოფის მხეფი, გზადაგზა რომ იკარგება დაუნანებლად, უაზროდ...

თითქოს გაუნდობელია, თითქოს შეთქმულია, მთელი დამე ისე გაუგებრად ხშიანობს არაგვი, ფერდებთოვლიანი ბორბალოს მრისხანე პირში, კამიფამ მარბიელივით რომ ჩამოვლის საარაგვის სოფლებს და აწიოკებს, ანგრეკს, მიწას ართმევს და მიიქვს სადღაც, მიიქვს თითქოს თავის ხრიოკ ადგილ-მამუელში, სადაც ყოველდამ, ყოველდღე და ყოველდამს განუწყვეტლად და შეუსვენებლად გაისმის მისი იღუმადი ხმა: ხროგინში, ბაგუნში, ვაივავლახში არეული, გყესთან და კლდებთან, მთებთან და ჭალებთან თანაზიარი უკვდავი, მარადიული შხუილი...

მწერლის დასვენების ბოლერისეული რეცეპტი: „ყველა ჭეშმარიტ ლიგერატორს დროადრო ბეზრდება ლიგერატურა და, შრომით დაქანცულს, კვირის მეშვიდე დღეს მაინც სჭირდება დასვენება... ამიგომ, ჩემი ამრით, მათ უფრო შეეფერებათ ქუჩის მეძავეები ან სულელი ქალები, ანუ: განადღებული აქვთ სასიყვარულო აღერსი ან ცხელი საჭმელი...“ აქ სხვა ახსნაგანმარებაა შედგეაო დაასკენის დიდი ბოლერი. ასეა. ეს სასურველი უნდა იყოს იმათთვის, ლიგერატორული დაქანცულობის შემდეგ თუ ვინმე კვლავ ახალ, უსარგებლო და უადგილო ფორიაქს არ დაეძებს... მოდა: დაქანცული მწერლუკავ, დამიხსოვრე ორი რამ, სათნო და მისაღები ორი ხატება: ქუჩის მეძავე და სულელი ქალი... კიდევ, ისიც არ დაგაეიწყადეს, ბოლერი ცამდე მართალი რომ არის, ხოლო შენ, კაცმა რომ თქვას, მეგის ღირსიც არა ხარ!

სამშობლოს სახის გამოძერწვა, მისთვის სულის ჩაბერვა და, შემდგომ, მასთან გარიგება ერთგვარი, კავშირის შეკრა ისე იმ მიზნით, ეს ქანძილება მეტი სიციხილი რომ აღივსოს, წარუვადი და ზეაღმტაცი თვისებებით რომ აღიჭურვოს, რაც არა მარტო შენი სიამაყის მიზეზი იქნება, არამედ, მოგადად, კაცთა სიამაყის მიზეზიც, რადგან სამყაროს შეობა, სამყაროს ნაწილთა შეობა და სიდიადე, თავისთავად, ამ სამყაროში მოფუსფუსე კაცთა სიამაყის წყაროც არის და კაცად ყოფნის ერთგვარი გამართლებაც ესაა...

თვითმიზანი: გამოიყენე შემოქმედებითი

ცხოვრება თავმდაბლობისა და სრული თავისუფლების მისაღწევად, რაც უდავოდ იმისად ნიშნავს, რომ უარი უნდა თქვა სახელის დაგდების წყურვილზე... გაითავისე ის ამრი, რომ თავმდაბლობა, უჩინარი ცხოვრება სრულყოფისა და თავისუფლების საძირკველია...

დამიჯერე: პოეტურ ინტერესსა საზღვრავს მსოფლიო პოეზიის ღონე და არა მკითხველთა რომელიმე კასკის მოთხოვნები... ამ ღონეს ვერ მოწყდება, ძირს ვერ დაეშვება იმ სურვილით, მავან მკითხველს რომ მიუახლოვდეს და, კაცმა რომ თქვას, ეს ამაზე მას სულაც უფლებზე უკიდია, მისთვის მთავარია თამაში, შეესთეგიკური განამირობებული და მისით საზღვრული...

ყველაზე საძულველი რამ: ადამიანთა სიმღევე, რასაც ველური და უკაცური გული მოიწურავს, ანთხევს...

ის, რაც ისეთი გაცეითი სიცივით გადმოივება, როგორცაა რეალიზმი, არ არის მდგრადი და წიაღწმინდა: ის ბევრ რამეს შეირევს და ითავისებს... შეიძლება ვთქვათ, რომ ლიგერატორის ყვლა სხვა უნდა თუ განმომილება მასში ნივთდება და მასშივე ამოწურავს თავისთავს...

იყავ დაუნანებო: წამალე ბევრი. დატოვე ცოცხალი. მკითხველი ნუ დაგაეჭვებს: რაღაც მასაც დაუტოვე დასამთავრებლად. დამიხსოვრე: ოსტატობა სიცივის მოზომილი ხარჯვაა, მოჭირნეობაა...

ესთეგიკური ჭერვით, ჩაღრმავებით მობილი სულიერი ცხოვრება სწორედ ისაა, რასაც ყოველწამიერ უნდა მიუღლოვდეს შემოქმედი, მეტადრე პოეტი, ვისთვისაც ამგვარი ჩაღრმავება პირდაპირ საარსებო ნიადაგია, ფეხმოსაკიდია, მყარად დგომის წერტილია...

აქვე, სულ ახლოსაა შემეცნების საზღვრები, რომლის იქითაც იწყება მირიად საგანთა პირქუში სამყარო, ჯერაც მოუხილველი, შემეცნების საზღვრებში მოუწყვედეველი, უხი...



პელაგიას გახსენება. პელაგია მიხას და იყო: უმეროსი და მიხა ხელაშვილისა... პელაგიამ დიდხანს იტოცხლა: თითქმის მთელი საუკუნე გამოიარა... ბრძენი და უგები დედაკაცი იყო: ვაჟას დარეჯანის ალიკვალი. მიხა ხელაშვილის ხსოვნის შემსახავი: მისი ნაწერების შეიღობეგველი... მან და მისმა დამ აკრიფეს დეშეთში ყვაყვორნების საჯიჯგნად დაყრილი მიხას ძელები, წამოიღეს, ჩარგლის მიწას მიაბარეს... პელაგია, მის სიკედილამდე ცოგა ხნით ადრე, ქვემო ქედში მოვინახულეთ მე და ედიშერ გიორგაძემ... მიხას ხსენებაზე გული ჩაიძვია, ცრემლგამშრალი თვალები გამოუთქმელი მწუხარებით აუესო. გავიდა, მიხას სურათი გამოგვიტანა: ძველი, გაფერმკრთალებული, დაბზარულ-დატეხილი სურათი... მოკლული მიხა მარხილზე ასვენია. გაბაგოსხნებულად კი არ არის: ჯალათებს მარხილზე გულადმა დაუგდაით. ცალი ხელი ძირს დასთრევს. კარგად ემზნევა გუვით გადახსნილი შუბლი. მკერდზე ადევს ღერბინდი, მაუშერი /ალბათ, ის მაუშერი თუა, მაღაროსკარში კომუნისტების კომისარს რომ აართუა/, პაგრონგამი, ვინგოჯკა... როგორც ჩანს, მიხას ცხედარი მკვლელებს დეშეთში მიაქეთ, შავნელი საქმის აღსრულების დასტურად: ამისთვის ჯალათები გასამრჯელოს მიიღებენ... ცოგა მოგვიანებით კი მათაც შემზარავი სიკედილი ელით: ერთს მიხას დები მოაკედინებენ, ხოლო მეორეს შირაქში გოგია ჭიჭოშედი მოკლავს... ის პელაგიასხეული სურათი, მიხას ხელნაწერებთან ერთად, მამის თან წამოვიდეთ: ედიშერმა შეძლებისდაგვარად ადაღენინა, გაამრავლებინა... ძველი, პელაგიას ცრემლებით გახუნებული სურათი კი კვლავ პელაგიას დაურუნა. მალე პელაგიაე აღესრულა. შირაქის მიწამ მიიბარა ფშაეში, ახადში გამრდილი, უგები და ბრძენი დედაკაცი: მიხას უმრწემესი და, მიხას ბრძოლის მომწრე, შეფიციულების დამგირებელი...

გონითი შესვენების ეამი: ამრთა სმონტანური დენა. ვადმოდერა. ვადმოფრქვევა. წესრიგის მოყირჭება. ქაოსის მეობა, როცა სიგყეები გაურბიან ერთიმეორეს. დეკუმპინიზაცია. დისპარმონია. განდგომა. მაგნე-

ტიზმის ანულირება. სეპარატისმი...

პოეზია შეძრული სულის ამოძახილია: აქ გონის როლი კნინი და უმნიშვნელოა; შეიძლება ითქვას, რომ აქ გონი მხოლოდ მოპირკეთებაში, საბოლოო სრულყოფაში მონაწილეობს.

მოდერნიზმი, როგორც მიღმური რეალობა, ღვითი ნაკარნახევი: ადამიანი უნდა შექვიოს სამყაროს დამლილ სურათს, დამლილ ხასიათს, დამლილ წარმოდგენებს... მოდერნიზმი შავეთთან შეგუების მცდელობაა, მარადისობის შორეული ნაპირია, სიკედილის წინამსწრობელი წამია...

დააკვირდი: ეს არის მწერლობის წერილფეხობა. ეს ნიადაგი აღმოაცენებს გიგანტურ ხეებს. შეხედ მოთმინებით და იმედით ამ ქაოსს, ამ აღვირწაყრილ ჭენებს: ამგვარი რამ საბაბია ოპიმიზმისა...

დიდი წიგნები ჩვენთან წინასწარმოსმენილი ქებაღებებით, თაყვანისმცემელთა შეძახილებით მოვიდნენ. მათს სიღიაღეში ჩვენი დაკვირვებით, მცდელობით, გემოვნების წრთობით კი არ დავრწმუნებულვართ, არამედ ყოველივე მივიღეთ აპრიორი, რამაც წაგვართვა უდიდესი სიამოვნება, ჩვენ თვითონ აღმოგვეჩინა ისინი და მათი აუგორები... მათ თავს დაქაშაშაშებს სხვათა მიერ დაღვმული მარავანდეი და მათი წაკითხვაე, კაცმა რომ ითქვას, საკმაოდ მოსაწყენი საქმეა...

სიგყეა: კაცობადაკარგული, ხმაღამტკბარი, დადეღებული...

ასეა: ეჭვის მსხვერპლი ხარ. თითქოს გჯერა და არცა გჯერა, თითქოს გწამს და არცა გწამს, თითქოს გარწმუნებენ და ვერც გარწმუნებენ... ეჭვია შენი მლდე, შენი გოლგოთა, შენი ენების წყარო... ეჭვებით სავე მოღხიარ, ეჭვებით ცხოვრობ, ეჭვებით სავე მიემგზაურება: ყველაზე დიდი და მთავარი, რაც შენშია, ეს არის ეჭვი: სულის მხუთველი, დამფლეთი, მესაიდუმლე...



ცოტნე ალბუთაშვილი

ტერენგი გრანელი

...ისევ მწუხრის ფერია
ჩემი ფიქრთა საფანე,
ქარი ამღვენებია - უხილავი ფერია...
დასასრული სადაა?
ან მივდივარ საღამდე?!
ჩემი შავი სამოსი დროის შესაფერია!
მაძრწუნებდა სიმღაბლე,
სიმაღლესაც ვუფროთხოდი...
ჩემი გული - მიხაკი გაჰყვა ქარს და ბორიას!
თუ სიმშრებმაც დამტოვებს,
თუ ცრემლს გაუუცხოვდი,
მამინ თუ მოვეშვები უგზო-უკვლოდ ბორიალს.
ისევ სუსხი და ყინვა
მეფობს სულის სივრცეში,
შავ სარეცელს თეთრად რთავს უნაშესი ფიქრები...
გათომილა სამყარო და თრთის
თეთრ სიცივეში
და საცაა, კვარივით, მუც ნელ-ნელა მივქრები.
მე დაუდივარ...
(თუმცა სულს უკირს ჩემი გარება),
აგონიის ყმუილში სიმყუდროვეს დავეძებ,
ყვითელი ჰარმონია
დაუკრეს გიტარებმა
და ყვავების ყრანტალში ლამისაა დავეცე-
მე სიკვდილი არ მინდა! -
მიწის სურნელს ცაში ვგრძნობ;



...როცა მთვარის ნამღვეი სასაფლაოს აანთებს,

საკუთარი სხეულის

ისტერიას მაშინ ეცნობ

და შტაკივა: ვის უტოვებ ან ცის ტაგნობს,
ან ამ მთებს.

ჩემი ბედის ვარსკვლავი

ისევ ობლად ანთია,

უხილავი სიმებით ეუერთდები სამყაროს...

მე, გერენგი, -

რომელიც ლექსის ცეცხლით ვიწვოდი...

ის, ვილაცა, -

რომელიც ატირებდა როიალს...

მე, გრანელი, -

რომელიც დატკოვებდათ, ვიციოდი.

ის, ვილაცა, მოეშვა

უკმბო-უკვლოდ ბორიალს.

* * *

ფერნაცევალი დგნალიანის
ჩრდილი,

ხეეს რომ დაეგანა,

მზე ქელს იქით ჩაივრავანა

და თრითინას დაემგვანა.

საგამმა ხმა ჩაიბოხა,

ჩაუძლერა ჭალებს „ნანა“,

მერე ერთ ლოდს სტაცა ხელი

და ივრისკენ დაექანა.

განძარცული მთა და ველი

მთვარეს ისე დაენანა,

მთელს ხეობას დასწაწლდა და

მკერდზე ბროლად დაენამა.

* * *

თოვლი მოვიდა იმხელა,

თოვლი მოვიდა ისეთი -

მკერდი ტკივილით ამივსო,

ქუჩები - სიკისკისეთი.

თოვდა და თოვდა ჯიუტად,

თითქოს ჩემ ჯიბრზე ბარდნიდა...

ვიდექ, გიციდი, ლოდინში

ლაშის ცხოვრება გავიდა!

ნება რა ეთოვლებოდა?!

სულ გულზე შეფიფქებოდა,

ნება ჩემზე თუ ფიქრობდი -

მთელ დღეს ეგ შეფიქრებოდა?!

* * *

რა დრო გასულა,

ლოდინში

თეთრად დამსკლარან კვირტები,

მომიხვალ, მაგრამ რაღა დროს, -

სიხმელით გაგიკვირდები.

ვიდრე მომიხვალ,

გადავთული,

წლებს - სიყმაწვილის მთიბულებს.

გნახავ, ვერ გეგყვი, რაც მინდა,

და შემაშინებს სიბერე.

სასაფლაომე

ჯვართ მიწაო, დაჩრდილულ

ბუმბერაში მუხებით,

ჯვართ მიწაო, უსასრულო

მღუმარების ნაპირო,

შენთან მოვალთ მოკვეთილი

აზრითა და მუხლებით,

სანთლის შუქზე ცოღვიანი

სული რომ ავაგაიროთ.

მოგადგებით მარტვილები

ათასგვარი სვე-ბუდით...

მართო, მავითი დავიმზაურავთ

დახვესებულ გალ ავანს,

მოვაცილებთ შენს კარამდე

ჩვენს ძელებს სვ: ნებ-სვენებით,

ვით მშირები ბარხა იებში

ხახაგამშრალ ქარავანს.

ჯვართ მიწაო, ჭრილობებზე

ვინ დაგაღო ლოდები

ან თალხი და გამყინძვი

დამე რამ გადაგხურა?

მიმით ვციდილობთ შექვან ლტოლვას,

- უფრო გაიხლოვდე ით

და გახდება იღუმალი

სული შენდა მსახურად.

დროისა და სივრცის უწყვეტობა

„შმა დიდ დროში“ ჰქვია კახა ლევდარიანის მოთხრობების კრებულს და, მართლაც, ეს სათაური მუხგად გამოხატავს კახა ლევდარიანის პროზის სულისკვეთებას, დრო ამ მოთხრობებში მართლაც არ არის ის ფაქტორი, რომელსაც უკილობლად ემორჩილება ყოველთვის და რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა, პერსონაჟთა ცხოვრების ხასიათს, მათს ბედსა და ბუნებას.

ახალგაზრდა მწერალს შეეკავართ გმირთა სულები საშეაროს რთულ დაბირინთებში, აქ ნაკლებად არის სიუჟეტური ხაზი, ანუ გრადიციული პროზის ელემენტები, მაგრამ არიან გმირები, რომელნიც დროსა და სივრცეს, წარსულსა და აწმყოს განიცდიან როგორც ერთ მილიანობას, ურღვევ ქაჭებს, სადაც შეიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული მათი სულიერი წყობა და მიც არეკლილი გარესსამყარო, როგორც მშობლივარე, ქაოსური და წმინდა სუბიექტური აღქმით წარმოსახული რამ.

კახა ლევდარიანის მოთხრობების მნიშვნელოვანი ნაწილი აღბეჭდილია სიკვდილის მარადიული განცდით, ანუ პერსონაჟები სიკვდილ-სიცოცხლეს აღიქვამენ, როგორც ერთ მილიანობას და თითქოს ამ შეწყინდანი გასული ადამიანებიც ისეთივე სიმბაფრით განიცდიან ცხოვრებისეულ მოვლენებს, მის უწყრაღეს ლეგალებსაც კი, როგორც სიცოცხლემი აღიქვამენ („ოღნესზე ისევ“, „გარიგრაჟი საიქიომი“) და სხვა.

კახა ლევდარიანის პროზაში, მის მრავალ თავისებურებათაგან განსაკუთრებით გამოხარმწევა პოეტური შეგვეულება, სიკვების ემოციური დაგვირთვა და ხაგოვანი ამროვნებით შექმნილი სურათების სიჭარბე, რაც საუკეთესოდ წარმოაჩენს პერსონაჟის ბუნებას. აქ შემუბლო მრავალი მაგალითის მოხმობა კ. ლევდარიანის მოთხრობებიდან, მაგრამ ამის საჭიროება თუნდაც იმიგომ არ არის, რომ ამ მოთხრობების აბსოლუტური უმეგვობა ე. წ. პოეტურ პროზის განკუთვნიება თავისი მჭრელუბის ფორმით და მხელია მათი ცალკულ ფრაგმენტებად დანაწევრება.

რამდ თქმა უნდა, კახა ლევდარიანის მოთხრობების გმირები, რომელთაგან ემოციურ ნაკადად მოვლინება ფრაგმენტული წარმოსახვებით ხაყხე მონოლოგები, გრადიციული პროზის სისადავეს შეწყველი მკითხველისათვის ადვილი აღსაქმელი არ

არის, ისინი ქართულ გარემოში და ქართულ პროზაში წყვის წარმოდგენებში, შესაბალოა, უცხოდაც კი გამოიყურებოდნ, მაგრამ, თუ ვაითთავლისწინებით მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილებას, იმ ავანგარდისტულ ძიებებს, რაც ავერ, 90-იანი წლებიდან ერთობ შესაძმნეე მოვლენად იქცა წყვის ლიტერატურაშიც, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მოთხრობების ავტორს თავისი მნიშვნელოვანი წყლილი შეაქვს თანამედროვე ქართული პროზის განახლების საქმეში.

კახა ლევდარიანის მოთხრობები რთულ სტრუქტურულ ანალიმს მოითხოვს და წყნი კრიტიკის, თუ ასეთი კიდევ არსებობს საქართველოში, მოვალეობაა, სწორად შეაფასოს მამდინარე ხალიგერატური პროცესის თავისებურებანი სწორედ იმ ნაწარმოებთა ანალიმის საფუძველზე, რომელთაც უკვე მიაციქვის ყურადღება და თავისი წყლილი შეაქვით ლიტერატურული თვალთხედიის გაფართოებაში, ხალიგერატური პროცესის განახლების საქმეში. ხაშქხაროდ, წყენ არ გვეყვია ლიტერატურულ საბხლებეში, ასე ვთქვათ „ოპერატული გამოხმეურება“, ემოძრაობით ინერციით, ვაქვბთ ინერციით, წყვის წარმოდგენებს ხალიგერატური ცხოვრებასა და ლიტერატურულ დარბეულებებზე ისევ გრადიციულა, ხმირად მახლონად ქეკული მუხედულებები განხამდერავს, ვვიტარს საბხლეთა აღქმა და აღიარება.

მე არ ვამბობ, რომ კახა ლევდარიანის მოთხრობები ავანგარდისტულ ძიებებს ეგალონად მიეაწინოთ, ასეთი ეგალონი ქართულ სინამდვილეში, აღბათ, არც არსებობს, მაგრამ მისი სახელი დღეს ბუერისმთქმელი უნდა იყოს თუნდაც პროფესიულ წრეებში, ყოველ შემთხვევაში, ამ ახალგაზრდა კაცის ამროვნების სტილი, მისი ფსიქოლოგიური ძიებები და მონაპოვრებიც უკვე ლიტერატურული მხველიობის საგნად უნდა ქეკუდლიყო.

მაგრამ, რასაკერძეულა, ეს სრულიდაც არ განსამდერავს ავტორის ბუღს, მის პოშიციას და შემოქმედებით თვალსაწიერს, კრიტიკა ხალიგერატური პროცესის თანმხლები მოვლენაა, ხოლო ამ პროცესის განსამდერავს მხაკურული სიგვეა - პოეზია, პროზა, მწერლის გაბედულება და ორიგინალურა ამროვნება.

კახა ლევდარიანი ერთობ ხაინგერეხო მწერლად ჩანს თანამედროვე პროზის ფონზე და, იგი, აღბათ, თავის ღირსეულ სიკვებს მომავალში იტყვის.

დავით მქედური

კახა ლევარიანი

პარადოქსი

ფშავი, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ამროვნების საღა და ბუნებრივი აკვანია... უმშობლიურესია მისთვის ოდესღაც თბილ ბოლში დანთქმული, გამურული ჭერხოების ალაგას ჩაქცეული, ხავსში მზინებად შთენილი გადახურვის სალი, ბრგველი ქვების ხილვით შთაგონებული პრეისგორიული განცდა... მშით გამთბარა წინაპართა ხელით დაწყობილი ყორეების მშრალი ფიქალიც... ხოლო გამაფხულზე, კლდეზე ამოსული ია, უერია საღამანი, სუსხით დაშშრალი, პირქუში ბუნების აშკარა ხელთუქმნელობით გაცისკროვნებული თავისთავადი სილაშაშისა... ცოცხლად მსუნთქავ ახლადამწვანებულ მთებზე, საუკუნეების წინ მტკიენულად ამოკვეთილ ნესტიანი სახლებისა თუ კომეების ბნელ უუძეკერებზე ნანადირევი ირმის, ჯიხვის ან დათვის ბეწვია სისხლში არეული და მიწაქცეული. ხისგან გამოჩორკნილ გრძელ, საგვარეულო ჯვრიან ტახტებზე კი დახრეკული, ეპისაგან გასიფრიფანებული, სიკვდილივით გრილი გყავებია გადაფარებული... შამთრისპირის მზე ცარგვალზე ამოვორებული დეკორატიული ბურთია, რომელზეც ხშელი ფოთლის ვარდნა გარინდებულა წითელ სიჩუმეში...

...საოცნებოდ დაკბილული მშისფერი მთები სავსეა ღრმად, შიგნით მიძინებულ გულში მჭიდროდ დაგმანულ-გამოკვართული დევეებით... გაბლისფერებული სისხლი მშუის სულღგმულთა დიდთოვლობის მოლოდინით შემკრთალ, გამჭვირვალე პარდევებში... ვიწრო საცაღფუფხო გვები ნადირობის ქაღმერთ დალის განზე შეწყვეტილი ბორკილები და სამაჯურებია... კუპრივით შავი უერი დელგმიანი ღამის განსაკუთრებულ სიავებზე ღაღადებს. დღისით ცის ლურჯი ფერის

კოსმოსური სიმორე არც შეწყალებაა და არც ნუგეში...

საღამოს სარკმლიდან შემოჭრილ მკრთალ სინათლეზე, მომხიბლავი უნებლობით იღძვრება ყოფით დაჭეჭვილი სპი-



ლენძის ჭურჭლის მორთულობათა დაკბილულ-ამოგვიფრული მოლების ბინდით გამელნისფრებულ ღაქებთან შერწყმით წარმოქმნილი ნატიფი სვედა... მისთვის ცალკე ძვეს ბასრი ელვარე შიკშიკა ლითონის სიყვარული, სახელად ხმალი, როგორც ღვთაებრივი გამოსხივება... სხვაფრივ ბალღურად იტაცებს ვერცხლში ჩასმული, პაპისეული ხანჯლის სილიოს ძელის ვლუვი, უცვეთი გარი და მხოლოდ გაკეჭნილ, ორღესულ ცივ ფოლადზე არეკილა დროის მღინარება... თოვლში მარჯვენა ვერ მოსჭრა, სულთქმა-აჩქარებული ელვის უმაღ ნაფრენ არწივით ეჭვენულად მვერავს მიღამოს, თოვლიც ხომ დნება, მერე რაღა საღბუნი დარჩება სულს სანაცვლოდ. ჭვრეგით დაღლილ თვა-



ლს, პირადად დამზობილი მოყმის ჯაჭვიანი შარ-ბეჭი ესათუება უცნაურად, იქვე, ყინვას თავისი რთილი დაყურია პატარა, გამხმარი ყვაილების გვირგვინებზე, ახლოდან აქერღება ყვაილის ბუსუსიან გაეანგისფრებულ ფურცლებს და ცხადივ, უსაშველო თაუღარეკოდ მოღიპარე მშვენიერებას ნაშიარები უცხოობს უღვთოდ, უამგრფიადოდ დარჩენილ მთელს უწინდელ, მარგივ მცნებებით აყაყანებულ ქვეყნიერებას... გმირში ბუნების არსი მეგყველებს და მოფონავს. ბუნების სხვათათვის არარსებული ყოვლის დამამუნჯებული, ვრცელი, უნო ენა. სვედის-მგურელია ეს ველურ ცოდნაში განსხეულებული მშარავი ქიმიია, მოკვეთილი ჩამომნარი მკლავების და თავის ქალების, იმრდება საკაცობრიო კაემანი, შეგი აღმურით ეთვისება გახელებულ გონებას ამ მარადისობით დანთებულ ცეცხლი. იყო ცეცხლი ადრე, არის ცეცხლი დღეს, იქნება ცეცხლი ხეად. დამწვარი მორების ნახაგებს იღგენს, იხსენებს, მთელი სხეულით განიცდის, გრძნობს წონას ნაყრადქცეული ხეების. აგრეთვე ხმებია ჩანაუღვის; სიცილის, კივილის, მანშარის. თაუად ვაჯახ ხმაა ორ ხმას შორის მომდინარე ბუბუნა, ხმა - დედაკაცურისა და მამაკაცურის მღვარიდან. ეს ხმა სტოქიურობიდან თავის დაღწევას ღამობს, იქნებ ირმის ბღაილივ აღმოხდეს ოღესზე, თუ მოღუნდება შიგნიდან, სახეე ეკვეთება ნაქარებ თოვლში ამოწვერილი კლდის ქიმივით. შიში უმწეობას თან სდევს, სხვისი ტკივილის გაგების სურვილიც ხომ მხოლოდ უმწეობით შეიძენება, ჯერ კვლავ მსხვერპლი უნდა სწირონ და გამძეინვარება მისი შემდგომ აივისება შინაარსით. დაუცხრომელი დროის თვალსამრისით ენერგია ნიჭისა უმღვივად კეკებაეს წუხილს. სხვასთან მსგავსების შიშიე მოუნელებელი სადარდელია მგოსნისათვის. განცხრომის ესირცხება, ამიგომ ბედისწერად გმირს უხვად დააფრქვევს თავზე განსაცდელს, ის უბედურების მთხოვნელია, რამღენადაც მეგად გრძნობს ნათესაურ სახალოვეს მიწასთან, რომელიც მისთვის სავარჯიშო ადგილი, აღაგი, საცდელი ნაკვეთი უბრალო ენებათა სამკედლო გახდებოდა ტკივილის გარეშე. სამშობლო, როგორც გვირითი და საწყლად,

უსამართლოდ დაღუპულია მუღენიყსავე ფერადოვანი ხურჯანი, სახსროზრ-მკვლად-შესხალაგი. ნერგი, რომელიც მიწაში იყინება მის თბილ გაყვითლებულ ხელნაწერთა ფურცლებში ირგება უფესიანად. ფურცელი ვრცელია, ღმერთი იქ თაუადაა. ღმერთი - მოწყალე სულიერითათვის, მათთან მოსაუბრე, საუბრით ბედის დამღგენელი, აზრით ხორცის განმანათიბელი, სიგყვისაგან შეკრულ სასახლეში გმირებს უჩენს მყუდრო ბინას და მაგლიც ქარვისაა, წყალი მარგალიტია, დარდი და ჭადარა ვერცხლია თმისა. ფანდურზე უკრავს. ცხადივ კი - ნოემბრის გვიანი დამეა, გარეთ ყინავს, ცივით მისიანებს. მის სულში ეს ყინვა ბროლია მთისა. განცდის ფორმის სახით, მოსწონს ეს ფორმა უცვლელი შოგალობით, რითაც ირთივება ერთთავად ფშავი, ხევესურეთი, ქისტეთი. რამიკაშვილების ბუხრის მინაველი ცეცხლი ახლა მთელ სამყაროს ათბილებს აქედან. ეს ცეცხლი მან დაუნთო შეილებს, ხომ მართლად დაუნთო ვაჟამ ცეცხლი შვილებს, რამხელა ნებაა გამოვლენილი, ხე მოჭრა და დამეს, ამ კავკასიონზე წაქცეულ მღვეს თავი გაუნათა. მღვეს ეშვები აუელვარა მათმა დარიბულმა კერამ და მსოფლიო წყველად გაეხირა კისერში. ხედავს ჩარგალი მართლად ახლოა ცასთან. მიიქრის ცოლთან ბანზე შემომდგარი, ალაშივით აფრიადებულ ტურფა იასთან ერთად ამ ხომალდით ვარსკვლავებში და მიიქრის წარმატებით ქედბუნდირად. ხელთ საჭე უყურია, უძველესი არქაული გუთანავით ვაბრეცილი, მთელი ჩარგალიც თან მოსდევს ამ გენიით აკივლებულ დროის ორიქლმავალს. უკუნეთში მიიქროლებს დაღესტანსაე, ყველა იმ გმირს მიაგველებს. გატარჯულ კახეთს აქედან იფარავს ჩოხის კალთით, რომ იქ ვაშები არ დაიღვეწონ, იმერეთი უკუნის მსუბუქი მთევარია, მოშელილი უშოგადესი აყალო მიწისაგან, დამე აღვილად თენდება, ამოიყვიის თეთრი, ამოიყავს ფანდურით, ფრიადით, ქარში გარგაღუნული თამარის დროშასავით. დიდინებს, ბავშვებს ეღვიძებათ. წუსს ქალი. ცარიელი ოჯახის კლდის ნაჭერივით გულარხიანი მამა მღერის. ისედაც მთელი დამე ვიწროაღეთო, ვაჟა დაღლილია. ენთება ცისკრის ვარსკვლავი და მისი ძილის დროც

მოღის. დამე სიკვდილი შეუყურია, გაუკოჭავს, დაუჭერია. უნდა გოგოს გულქანი დაარქვას, ვაჟას შვილები ძალიან უყვარს, აბა სხვა რომელი მამა უდარაჯებს ბნელს. ყველა სხვა ლეშივით ნებიერად უყურდება დამეს. რა მღვრიე, რომელი საკვები გაანათებს სხივით მათ შიგნიდან თუ არა შაპარულ ფასკუნჯივით დამშუული მთვარე. ჩონგურის ქლიაღის მოსმენა უყვარს მთვარეს და ვაჟას გარჯით დაამბული ხალისით დაპნათის ბავშვებს მღორე, ძალით დაბანგულ სახეებზე. იქნებ ამიგომაც არ დაბერდნენ იმისიანები, იქნებ შესძლონ სიკვდილთან გარიგება, შეამხანაგება ამისათვის თორემ, მარგო მყოფი დღეე გულადად შეებმება მიქელგაბრიელს, ვგრე პირდაპირ შეებმება, თუ ხედავს, არც ეშინია აბჯარასხმულის...

მსოფლიოს დანახვა უნდა წაშში. ერთად მუხივით გაელეებულ მთლიანობაში ხეების, ფოთლებს ჩრდილები უშლიან ხელს, ჩარგლის ხეები, მთები ელობებიან უბედურნი თავისივე მართალი ძალით აღმართულნი. თან ესმის, რომ საჯახეების გასწორება არ იქნება, მაგრამ ისინი უშაღლესი ქარაუებიდან ამაყად მაქერაღნი გაჭვრეტის მცირე სიმორით თვრებიან. განა რქებგადაგრეხილ ბერხენ ჯახეებს მლაშე შღვაში გაეკრვა ნაკლებად დამშვენდებოდათ?! „ბუნება მბრძანებელია, იგიე მონაა თავისა“. - საწყლობაა კაცთგან ცაში განაეარღების სურვილი, საწყლობა... გოლსგოის დიდი სიერეები რუსეთია, იქაც ღვას იგივე საკითხი, ოღონდ სიგყობრივად. გოლსგოისთან დედამიწა მრგვალია და უიმელობაც სგეპებზე მომღგარი ნისლივით ყველაფერშია განფენილი...

...ვაჟასთან სახელი, ხსოვნა შვაივით იფეთქებს მყისიერად. კარგი ყმა რამდენიმე თაობის სიყვარულს იღებს ჯიღოდ. ადამიანურ შესაძლებლობებზე გადაბიჯების სამდაურად, თითქოს სპორტია, ცხენოსნობა, თამაშია, ასპარეში ჩქარია, იდეალი მსოფლიოა, გმირს ელვის სიჩქარე სჭირდება, დაბნევა ღალატია, შეეღომა მარცხია, გამოსწორების დრო და სიერეც არ არსებობს. იმდენად კამერულია - ჩაკეტილი გარემო. სირცხვილი სამუდამოდ მოუშორებელი დამააბა...

ხალხი ერთმანეთზე ძვირის გაგებას უცნაური ნეტარი შემართებით ჩასაფრებია, დექსმიც შეჯიბრია, იქვე უნდა გასცე პასუხი, სულ ალესილები დადიან... და მაგონდება ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი წლის ვაჟობა, გულქან რაზიკაშვილის გრძელი, ნათალი თითები, ვერცხლის ბეჭედი და ერთი ფრანა, რომელიც მის სახლში სტუმრად მყოფმა სრულიად შემთხვევით მოვისმინე წუთით ჩამოვარდნილ სიჩუქში: - „ეკ, საწყალი მამაი!“

თორმეტიდან ორ საათამდე

სიკვდილის ხმაზე, შშის გულზე მყოფი ჭრიჭინობელა სიციხის ალებში ხაგავს თავის განურჩევლად მოსაწყენი სიმღერის წრეებს, თითო წრეში ძლივსა ეგევა 907 წლის მაფხულის დილა, თორმეტიდან ორ საათამდე. დროს იგონებს ან იმეორებს დიდგორიდან, ხან კრწანისიდან, თითქოს ღმერთი გრძელი თითით ურგყამდეს წკიპურგს გამპვირეაღე პაგარა ყბაში. ნემსივით ცურავს ალგეთიდან იორამდე, უკრავს მინდორზე, პურის ყანებზე, ნარიყალაზე ცოტა მძიმედ წივის თავთავი, ღერძი ფორფიტის, წყალი დახხმული მღვიდან, გბიანა ჩქარა იბრუნვის და დაკერის ხმა ამრისხანდება რუსთაველისა ვარძიასთან შემოდგომაზე, ხან მოღებივით ზებრასავით გაიწვლება თენიშფრინავის ქვეშ ღერძის გარშემო ღიბთ-იმერეთი. მომოქევაში ჩახევევა ეაკკასიონის მთაგრეხილივით მთლად საქართველო. ყოველი სარკმლის ყოველი წიბო, ნესტიანი ჩუქურთმები დახავლეთისა, ყოველი კაცის მფეთქავი გული თავის პაგარა ფირფიტას მღერის უახლოესი თვალებიც კი მოძრაობენ ღერძების გარშემო... ეევაენ მიწას. სვეგი აღმართუს საგურამოსთან. ჭრიან სისხლიან მონაკეთებს. თავს ევლებიან დინოზავრის ფხვალაგმულ ადგილს და ეუსტარულად აკეთებენ ახლაც ყველაფერს... სამასმა ვიოლინომ ერთი ბიჭის პანაშვილზე მინდა დაუკრას, იმ ქალს ჰყავდა ცამეტი შვილი, ერთი გაიქცა ინგლისიდან ავსტრალიაში, გზაში გაცივდა.

ორი ვიოლინო იმისთვის მინდა, ვინმე უბრალო მუსიკოსმა შეასრულოს მეტად ცნობილი კომპოზიტორის მარში სიკელიძეზე, რადგან გარდაცვლილს გემზე, ნაპირთან, არაფერი დიდი აღარ უგრძობია. თურმე და მართლაც ვეღარ უსოვია გაქცევაზე ტკბილი წუთი, შორე. ერთი სიმი მაგისთვის მინდა. გამოდის, მისი წარმოსახვის კარგი უნარი აღარ გარდაცვდა. მღვიმე, რომელსაც მოელოდა ავსტრალიაში, ბრტყელი დაუხვდა. სწორი, ნათელი კედელივით, უცხო წარწერით და ვაოცდა მსოფლიური ცივი მოგორის ამოდენა შექანიკური ერთფეროვანი სახახაობით, მარგო მღვა თუ გააგრძელებდა იქაც, იმასაც აკუმულატორის ნეიგრალურ ადგილზე სვამდნენ, ნიჩბებს აძლევდნენ და მთელი წელი წყალს ასხამდა ადგილზე მბრუნავ, ვადახურებულ ავსტრალიის ეკონომიკას. მცირე დომებით ბოლსაც აძლევდნენ ხოლმე სასუნთქად... გული დაწყდა. ამოგივივდა, გაახსენდა გემი „ინგლისი“, უკვე კარგად დაეანგებული, შექსპირით და მოხუცი დედით, სასვე მგრედებით, ძმებით, ხეებით. ის სიერეცში აურიანებს გელეგრაშას: ჩამოდი, ჩამოდი, ჩამოდი, აქ ნისლი საესება ნაპოლეონის გამჭოლი თვალების გენიოსური, შორი სიხარბით, ვისაც ძლიერ უნდა დღესაც მარშით შემოვიდეს „ტრეფელგარისი“ მოედანზე ან დაჯდეს ლონდონის აეროპორტში უცნობი გურისკივით... გესმის, ჩამოდი... მეტროში წყალქვეშ დღეს დაუნახავთ იმის ქედი, საიდანაც მოესურვება, იქიდან გვიცევეს ძლევა-მოსილი იმპერატორი. ჭრიჭინასხავით იმეორებს სიჯიუტით ყველა ივივეს, სიკელილის ხმაზე შუადღის ახლოს, თორმეტიდან ორ საათამდე... გესმის, ჩამოდი...ნუ ათქმევენებ, განსაკმლისათვის წავიდაო ავსტრალიაში, თუ ვგ თქვეს, ძმაო, სირსხვილი შენი, ინგლისელ ქალსაც რომ იცოდე, ძველებური გემო აქვს ისევე ერთი გემო დაიჯერე მოსდევეს ცხოვრებას, მაწანწალა ქუჩის ძალივით, სისხლის, ძმრის, შიმის გაქცევის და ისევე დალაგის. თაუდაღებული შემორები ველზე რჩებიან, სხვებს ჩამოაქვთ მათი აშბავი. გვერდზე იარე, განუდექი, ნუ დაიჯერებ, საკუთარ თავში განიყავე ბედნიერება... გესმის, ჩამოდი... იძირება გემი „ინგლისი“, დედამენი, შექსპირის გომით. მყდრო ოთახში

შერგე თავი, იპოვე სიერეცე, აღმართე აფრა და თავისუფალ ხმას მოუსმენ ჯერჯერობით ამერიკიდან. პირადი წყენა უგოლდება პირად სიხარულს, კუთხისხელაა კუთხის სინათლე, ისე სხვამ წყით რა ფხვები უნდა მოგვამოს, ერთი ვიოლინო იცევეს მაგ აშბავს, მეგის დირსი არის მოცარტი. ვინე ჩართო დაველებამი მრავალი ინსტრუმენტი, ასი ჭრიჭინა, ასი ბულბული, ოცი ყვავი, ექვსი არწივი, ორი ეერტმურენი, მრავალი განკი და ერთი ატომური სადგური, ფანჯრების მრიალიე შიგნით ჩაიშვა. გამორიცხა აპოკალიფური მერყეობა სიყვარულიდან, დაამტკნრია ყინულის ლოლეუბი, დედამძეს მონატრების უფლება წაართვა, როგორც ჯარისკაცმა და მამამისს შეადგენინა შემოქმედებითი განვითარების მშარდი გეგმა, სადად გადალაგა დიდზე პაგარა ფირფიტები, აბა-მანაში ჩაყარა ისინი და ისტორიის სევედა გააძალა მტვერითან ერთად. ფოთლებს მიუერთა სმენის მწვანე აპარატი. ჩართო ხმის ჩამწერი, ჩუმად გაირინდა და ბუნებას ათხოვა აგვისტოში წყაროსთვალევით დამშრალი ყური. ხედავს მსოფლიოს სახლებიდან პოეტებით მოცურავენ მთვარით ნაჭედი, მშისფერი ფიჭვით გამოთლილი სახურავები. უმელობაც, ძალაც, მოგებაც, სუნით ვიზიდავს ძველი ფიერის სიყვარულისათვის მკედარ ლანდებად ქვეულ მუშების მუქი თითებით ჩარგმულ ღურსმნებს ნუ ამოაძრობთ! იძირება დაეანგული გემი „ინგლისი“... გესმის, ჩამოდი... იქნებ დატკებ, ისიანოვნო კარგად დაკრული ნაწარმოებით, მეცამეტე საუკუნიდან ასე ხდებოდა და ასე ხდება, იღებს ქალაქი შორე ქალაქს, ბნელი წარსულით, დამით, წვიმით, ნისლით, სადგურით, ოქერაში ჩადის ოქერა. ბრწყინვალე ციკლი გასტროლების არანაკლები ბრწყინვალეობით მიდის აქედან. ხდება გაცევა, შურით, ხან ბრძოლით, და იმეიდრებენ ადგილს სენენაზე ახალბედა შემსრულებლები, ფვის წვერებით რომ იწყებენ ნელა სიარულს...

აღვილობრივი გყვებიდან მღერის მგლის ხროვა აშიდული თხელი ფილგვებით, მაგრამ სამიში, ჯანმრთელი ხახით, ძალღმე დიდი უდილობოდ კივის პარტიას, არე ერთი კბილი არ უგოკავს, ყბაც არ კანკალებს, ბასრ კბილებზე ხელს ვერ კიღებს მამაცი ღმერთი.




დახურე, მორჩა, გეყო, არ ეუბნება განუწყვეტელი კივილის ექოს ერთვის აქა-იქ ხროვინის სხები, უმცირესია ჩუმი ღრენა, თორმეტიდან ორ საათამდე მიტოვებული ტაძრების ახლოს და რომელიმე მშვიდი მხევი ფხოვნის ახლა ნაწვიმარ მდელის წინა თითებით, სქელი კისრიდან ყვირილის დროს ამოვიდა სისხლის სურნელი. მშვიერმა ლეკვამ დაუსტვინა ცრმელიან ცხვირით, კუდი ასწია და მიუშვა მარდი მიწაზე, ეს ყველაფერი ფირს ვერ აფუჭებს ღმერთების თვალწინ დაბერებულ საქართველოზე. დამემ განაა თითქოს ხეობი, მყუდროვლება აქ შუაღამე, თორმეტიდან ორ საათამდე და თოყებს ვგენით, თქვენც კარგად უწყით, ჩვენ გაღანგების მოსმენა რომ არ შეგვიძლია, ერთადერთი სწორი სიმღერა მათ მოპქონდათ ნაბრძოლი გულით, ამდენი ხანი კეცავენ მიწას, სეკვი აღმართეს საგურამოსთან, ნუთუ შემართება დაძველებული ან კვალი მათი უნდა ვახდეს შესწავლის დირსი?... სეედით სახე ბალიშები უნდა იღოს აფთიაქებში, პაგარებისათვის მგლის ყმული ჩავიწეროთ „მაგნიტოფონზე“, საოცარი ქუჩის ძაღლებს ბრძიყული სწრაფა დალაუვისაქენ, თორმეტიდან ორ საათამდე ვგებს რომ რწყავენ მაფხულობით სიციხეში სისხლით და გადაგვებაც გვეზარება უაზრო მიზნით მანქანებით გაქროლებულებს, ჯეკ ლონდონივით ამთავრებენ თავის სიცოცხლეს ეს მაწანწალა გენიოსები, აწურული ხმელი ბეჭებით, უმეღობით ჩამოყრილი ან დაჭრილი, მგვრით გავსებული, უმაფრესი აღქმის ყურებით სმენაღქეულები მიუყვებიან გრძელი გრახების მოსაწყვენ ბუქნარს, უფრო მეტად თბლისიდან მცხეთის გავლით, გორის ციხემდე, თორმეტიდან ორ საათამდე ჩხელებენ, ესერიან, სისხლში თხერიან მკვიდრი ქართლისა, ნეკნებს უჭრიან ელმავალის მოთქარუნე რკინის ბორბლები. უფლისციხესთან შავ-თეთრი მთების ქრონიკა მიდის მუუსუნებლად. მოღალატე პიგიახშის მოსასხამივით უსიყვარულოდ პრიადებენ პორიზონგები, თორმეტიდან ორ საათამდე. განძარეულინი ამოლიან მთაზე ღამიდან ცოგნე, ერეკლე, აგერ ერთმა ლხის გვიარბს გამოაღწია, მანამდე კი ხაშურის ბაზარს შემოურა ოთხჯერ გარშემო, ნახა საგზალი, იქ

დაისვენა არმაზიდან წამოსულმა ევოლმა ბებერმა, ეგყობოდა კიდე ხმაგრე და მოკრძალება სულ არ იწყვედა ვახურებული ვაჭრობის დროს თორმეტიდან ორ საათამდე, მერე ტუნძულით გაიარა ჩუმათელეთი. ძალიან ჩუმი სიხარულით აედევნა გადასახევის ფოთლოვან აღმართს, ნაძვიე გამოწნდა, ტალღებით მოშრიალე დრუბლების ფონზე, ჩრდილებში ჩაფულეს, ბარძაყის გყავში „კისკის“ გყვია ჩაუკინეს ისე, ხუმრობით, დამსვენებლებმა და ის ანქარდა, ქუთაისში ოქროს ჩარდახთან უნდა შეხვედეს თავის ბიძაშვილს, მეგ საღამოს დაიძერებიან აფხაშეთისკენ. თითქოს ფიქრობდა სახლში ჩასვლის და დასვენებას, მაგრამ ტკივილმა ბრძოლებით დალილს კვლავ უკვალა დროებითი გეში. მამიდაშვილზე წყდება გული, ისეც კოჯორთან გაქეულა თურმე სახლიდან, სიბერის გამო, ადგილზე სიკედილს შორიდებია და მის პაგრონსაც უგრძენია რაღაც, ტკივილის მსგავსი მონაგრებნით ვახსენებია. სიკედილის ხმაზე, შშის გულზე მყოფი პრიციხობელა სიციხის ალებში ხატავს თავის განურჩევლად მოსაწყენი სიმღერების წრეებს, თითო წრეში ძლივსა ეგევა 907 წლის მაფხულის დილა - თითქოს ღმერთი გრძელი თითით ურგყამდეს წაიკურტს გამჭვირვალე პაგარა ყბაში, დროს იგონებს ან იმეორებს დიდგორიდან, ხან კრწანისიდან. შეორდება ყოველივე თორმეტიდან ორ საათამდე... საღამე, თბლისთან ჩავკაძაღლებენ, - თქვა ერთმა ბიჭმა და ვაუკეთეს ის, რაც იფიქრა. დიდ პაგიეს ცემენ გუმანსა და ნიჭიერებას შოაგარაკე დამსვენებლები, ვინე წვერს ვერ იგანს და ბორჯომის ხეობაში ათეეს გრილ მაფხულს, ხელთ კი უაყრიათ სისხლიანი მოწანწალის რჩეული წიგნი, გამოსული სიკედილის შერე, მგვერში მოთხერილი, თეთრ პერანგში გამოწყობილი ყდაზე ხატია, პრილობები გულზე აწნია, ნეკნებზე მჭიდროდ ახატია საბურავები, ყველაზე სეკმა, ვისაც ხოში აქეს კაცის ცემის, თორმეტიდან ორ საათამდე, ერთხელ დადურეს სასაღილოსთან, კასპის საღურში. მიდიოდა სააკაძესთან, იმის ძეგლი უთხრეს, ნახეო, მერე კინაღამ ჩააბეგონეს, ისე, ხუმრობით, თორმეტიდან ორ საათამდე, ფეხი დაგოვა, გადაიღნა მგლის ჯიშისამ, ივაეკაცა, გეფი-

ეებით სვეტიცხოელის მადლს, მერე მათეულთ მტკვარში ჩაკიდეს, ეგრე მონათლეს არაგვის და მტკვარის შესართავთან, საბასაყით აათრიეს რიყის ნაპირზე განწმენდილი, თითქმის მკვდარი, მამას უძახდა, უსიყვარულო ქარხანაში წანწალის ღირსი, კეკასიონზე მიჯაჭვეული ამირანის ფინიასაყით ლოკავს ჭრილობას, გულიანებო, გამოვიღეთ ყველა „ტრასებზე“, ერთად დავიძრათ თორმეტიდან ორ საათამდე, გამხმარ მხრებზე წამოვიკიდოთ სვედის ბალიში, შევიკრიბოთ წიწამურთან, ილიას სვეტთან კვლავ წარმოითქმის „ქარნი ხორმაკნი“ აქ ინადირეს კაცზე კი არა, აქ ინადირეს საქართველოზე. ძველი კედლიდან ამოდიან ახალი ქვები, მთვარიანში დაეკიელოთ ერთი ქართულად, ჩამბაღლებლებიც მოვიწვიოთ მოსაწვევებით და სიკვდილის წინ სამასნი დავლგეთ, წრეში ჩავლგეთ, თორმეტიდან ორ საათამდე. მიყვარხართ, ძებო, მეც სპარტაკი ვარ, როცა გესვრიან, მაშინ ხარ მეგლი. ინგლისიდან აესგრალიამდე ერთი გემო აქვს



შიშს, ყოფნას, ღალატს. თაედაღებულნი შვირები ველზე რჩებიან, სხეებს ჩამოაჭკნა შაბი ამბავი... კეკავენ მიწას. სვეტი აღმართეს საგურამოსთან. ჭრიან სისხლიან მონაკვეთებს. თავს ევლებიან დინოზავრის ფეხდაღმულ ადგილს და კუსტარულად აკეთებენ ახლაც ყველაფერს... წყენის ჩაყლაპავს გაუმარჯოს, არაგველებო! ყველა ძაღლი მორჩილად კვდება იქვე, გზის პირზე, პირიდან სისხლით და მიქრიან სამშობლოზე გაბუტულები იგივე გზაზე, თორმეტიდან ორ საათამდე, თავისთავად მოედინება სიცოცხლის წყარო. მე სისხლიან დინგს ახროცინებულს, წყალში არ ჩაეკრავ, მცხეთასთან გავალ ახალ ხილთან, ვნახავ ამხანაგს და ორნი წაყალთ დამხხვრეული ძელების ჭრილით. მოწითალოა ჩამავალ მშით დაფერილი ასუღლის ფერი და მერე, როცა სისხლი გაკვდება, ამ თვალისათვის განფენილი უსასრულობით, იღლებიან კილომეგრები, ახლოვებიან, გვმორდებიან მოგონებები, ამოა ხოლმე ნუგეში, ან ცოგა წყალი, გრილი ხელი მწუხარე შუბლზე, იმდენად ცხადი ხდება სიკვდილი, რომ შეიძლება კიდევ დასცინონ ნელა მომავალს შენსკენ ხანიგარს. ის გვეუნება, ნუ გემინია, შენ იღრინები, ნუ მიფუჭებთ, ქალბაგონო, ცოდნას სიკვდილზე. ბოლოში მინდა კარგად წავიდე, თორემ დასაწყისს ყველა ახერგებს, ასე თუ ისე, ფინალია მაინც მთავარი, თორმეტიდან ორ საათამდე. უკვე ჩქარობენ, ერილებიან გკივილისგან ჭერისაკენ აპყრობილ თვალებს და რა თქმა უნდა მიმდიც არის შენი სისხლით მოთხერილი განის, ცოგა შიშიც, მას არ ჩააკვდე, მას არ მერჩე ფიცარივით მორგში სათრევადა... მერე რეცხავენ აკიელებულ, აღისფერ სისხლის სქელ წითელ გუბებს. წვეხარ ღამეში, გაყვითლებული ქონიანი გაფარია თაეზე ზეწარი, სხვა შენისთანა მეოცნებე მიყვალბულის გამონაცვალი. თვითმკვლელები ვართ უპაგრონო ქუჩის ბიჭები. სიკვდილის ხმაზე შუადღის ახლოს, უმუშარადოდ გზას მივიკვლევთ ღამანჩელები, ჯიშინი ძაღლები კი სადაც მიქრიან. ვეიყვარს მთები საქართველოსი, უსახლკაროებს ამ მშობლიურ ბოლში დანთქმულებს. ამ გზიდან მოსჩანს დაუწერელი ქართლის ცხოვრების ახალი წიგნი და გველოდება ეს გზის პირი ხანჯალივით გამომვლელი ჯვართან ახლოს თორმეტიდან ორ საათამდე...



სით გელიან

ნაღვლიანი ქუჩა,
 ნაღვლიანი გზა,
 საით მიდის წუთი,
 სიდან ისმის ხმა,
 ნიჩბითა და ლოდით
 სით გელიან, სად?..

განშორება თბილისთან

მგრედისფურია ზესა,
 რძისფურ ნისლშია ჰიები,
 წინ სწორი გზა და ავედა
 და დანისლული გზეი,
 შეცხას გადაპკეუთს ძერა
 წინ ჩანს უცნობი გზები...

ნ
 ა
 თ
 ე
 ლ
 ა
 კ
 ა
 კ
 ა
 ბ
 ა
 ძ
 ე

თოვლში ხეციალი

დილიდან ცვივა ფიფქები,
 საგულდაგულოდ თოვს,
 თოვლს დაუფარავს ქერები,
 გაუთავებლად თოვს,
 ცახცახებს გოგმე ბელურა,
 რა უსასრულოდ თოვს...
 მივალ თოვლსა და ავდარში,
 გზაც დაუბინდავს თოვლს,
 ისევ შენთან ვარ ფიქრებით,
 დღეს დილიდანვე თოვს...
 მივეყვები თოვლიან ნაკვალევს,
 გზაც დაუბინდავს თოვლს,
 ისევ შენთან ვარ ფიქრებით,
 რა უსასრულოდ თოვს...

კიმოთე ალიაშვილი

შურისძიება



მოხუცი ცოლ-ქმარი და გოგონა სოფელმა დაკრძალა. მათი ბიჭების კი არაფერი ისმოდა. შურისმაძიებელი აღარაფერ ეგულებოდათ. აღარც კაცის ეშინოდით და აღარც ღმერთის. ნელ-ნელა კვლდებოდა სოფელი. ქრებოდა სული. ერემლი აღარ ჩანდა, კენესა არ ისმოდა. ლანდებივით დადიოდა ხალხი. ავ სიმშარში იყო სიცოცხლე. ოდნავ ბუკბუკდა იმედი. იღვა მოლოდინი შემშარავი, დაუნდობელი.

უტიფრობა შეიმობდა. ბოროცი ფუფუნებდა. სოფელში ჭორი დაიბრხა ნესტორის ბიჭები ცოცხლები არიანო. ერთმანეთს ვერ უშხელდნენ შემობლები. მნახველები თვალს არიდებდნენ თანასოფელებს. ყველა რაღაცის მოლოდინში იყო.

ამ უბედური შემთხვევიდან თითქმის თვე გაიდა. დაეიწყებას მიეცა ის შავნული ღღესკადიონზე „რაინდების“ თავყრილობა იყო დანიშნული.

უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ხეები ბავშვებით დაიხუნძლა.

სკადიონის ერთ ბოლოში ნაომარი იარაღი ეყარა. აღარავის ჭირდებოდა მწყობრიდან გამოსული ტანკები და შარბაზნები. კრება დიდხანს გაგრძელდა, როგორც ემჩნეოდა, ვიღაცას ელოდნენ. ბავშვებს მოსწყინდათ ხეებზე კონწიალი. და შინ წავიდნენ ღედებთან ერთად.

ერთ-ერთი გამომსვლელის სიცივე ოვაიციით დასრულდა. სკვენა და ღრიალი ძრავდა იქაურობას.

იზარო ძაღლებივით დაღლიყინებდნენ გაღმული „რაინდები“. შეიმობდნენ გამარჯვებას. მათ აღარ ახსოვდათ უბედური ოჯახის დაღუპვა. მათთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი

იყო. შვარაკად შეწირული ბავშვებით იყო სავსე სოფელიც და სასაფლაოც.

საიკა, უნდა დაშლილიყო თავყრილობა, მზე გორაკს ამოუფარებოდა და ბინდი ჩამოწვებოდა. ჩიგების ელურტული აღარ ისმოდა.

...და უცებ ამოძრავდა მთელი შაფხულს უქმად მდგარი ტანკი. დაერია გაღამითელებს, სისხლიან ტალახში აშილა. რამდენიმე ადგილას დიდი აფეთქება მოხდა. ხელყუმბარებიც დაუმიშნეს, ავტომატების ჯერიც მიუშვეს...

გვიან მოვიდნენ გონს გაღამითელები. ასეთი მსხვერპლი მთელი ომის მანძილზე არ ენახათ მოთარეშეებს. ბოლოს მიხედნენ, რომ სულ რამდენიმე კაცი ებრძოდათ. მალე მითაერდა ყველაფერი.

- - -

ოთხ ძმას დამლამობით, ფარულად ემუშავათ ტანკის აღდგენაზე, სკადიონი დაენადმათ, ხელყუმბარებიც მოემარაგებინათ და ავტომატებიც. ამ თავგანწირულ უთანასწორო ბრძოლაში ოთხივე ძმა დაეცა.

გაღამითელებმა იმავე ღღეს აკრიფეს თავიანთი მძორი. გააუდნენ, მაგრამ შედრენენ.

ბრძოლის ველზე ძმათა გვაშებიდა ეყარა. არ გაუშვეს სოფელები წვისისამებრ დაეცირებინათ და მიწისთვის მიეზარებინათ ცხედრები. ევრაფინ ბედავდა გაკარებას. სოფელს ახალი ჭირი დააგყდებოდა. მთვრალი „ჯიფიგები“ თუ გაივლიდნენ და ავტომატის ჯერს მიუშვებდნენ ცხედრებს. მკვდრებზე იყრიდნენ ჯავრს.

მეორე დამეს ვიღაცას ძმათა გვაშები ერ-



თიმეორის გვერდით დაესვენებინა. სოფელი შეირყა. „ჯიგიგები“ ხალხს გაჩერების უფლებას არ აძლევდნენ. სტადიონის სივრცეზე მალე ბილიკი გაიკვალა. ოჯახებით მოდიოლენ მგერელებიც და აუხაშებიც. უწყვეტ ნაკაბად იქცა ბილიკზე მიმავალი ხალხი. უხმოლ ჩაუვლიდნენ ცხედრებს.

რამდენიმე დღეს ემშვიდობებოდა სოფელი თავის შვილებს, მაგრამ შაფხულის სიციხემ არ დაინდო გმირები. ხრწნა დაიწყო და ცხრილულმა უსულო სხეულებმა. სუნმა შეაწუხა „ჯიგიგები“. მგერი იძულებული გახდა, დაკრძალვის ნება დაერთო.

მთელი სოფელი თხრიდა ძმათა სამარეს. დასაფლავების დღეს ყველა მოჯარდა. მეგრულმა ქალებმა გავგონარი შარი დასძახეს.

ცივი კივილით შეიძრა მიდამო. მას რამდენიმე ხმა აპყვა. „ჯიგიგები“ ვერ მიხვდნენ. შერე მიეჭრნენ მოშარე ქალებს და მათრახებით დაუწყვეს ცემა. თითქოს მიაჩუქეს მოშარენი. მაგრამ ახლა მეორე მხარეს იკივლა ვილაყამ, ახლა მას აპყვა რამდენიმე ხმა... ახლა მათ მიეჭრნენ „ჯიგიგები“... გლოვის მოძახილები ისე გამრავლდა, ვერაფერს გახდნენ „რაინდები“.

შარი თანდათან დაიხვეწა. რამდენიმე ჯგუფი ისე შეწყობილად და შემადრწუნებლად გასძახებდა ხოლმე ერთმანეთს, გეგონება, უამრავი რეპეტიცია გაეკლოთ რევისორისა და ლოგბარის ხელმძღვანელობით.

თავგანწირვით კიოდნენ მოშარენი. შუცა

შრიალეზბდა, მიწა ღრტეინაედა, მსმგნტოთა გულებს თახთახი გაპქონდბ...

რამდენიმე საღდათი „ბარაკში“ შეეარდა. დაფეთებულები შეპყურებდნენ ერთმანეთს, ხმას ვერ იღებდნენ...

- აი, საქალეთი!!! - ამოთქვა ერთმა.
- ყოჩაღ, ქალბო!!! - დაემოწმა მეორე!
- ამ ხალხს ვერ დააჩოქებს ვერაინ!!! - დაასკენა მესამემ...

- - -


დილით ხასაფლაოზე ხელადით ღეინო და ხონჩით ხილი დახედათ მოძალადეებს.

- ქართველები თავისას მაინც არ იშლიან, - უთხრა ერთმა მეორეს.
- აცხონა უფალმა... ქრისტიანები იყვნენ... მეორე დილით გმირთა საფლავებზე ორი გაღეშილი გადამთიელი ეგდო. ერთს ხელადა ჩაეხუტებინა - მეორეს ჭიქა.

- - -

ხირცხილია ამის სახალხო აღიარება, მაგრამ, შე რომ არ ვთქვა, სხვა იგყვის. ისეთი ამბები ხდებოდა, ცოლვით ხომ ვიწვი, სირცხვილით - უარესად. არავეს შეარჩენს უფალი. სიკეთეს თუ შიავებს, ბოროტებას - მითუქმეტეს.

მოგონილი არ გეგონოთ, პირადად ვარ ამ ამბის მოწამე.



გიორგი ბაქანიძე

გზადაგმა

(მასალები, სახელდახელო ჩანაწერები)



18.12.79

საოცარია, რა უცებ გადის ინფორმაცია ქვეყნიდან... მაშინვე სამღვარვარეთ გაივებენ ხოლმე. ამასწინათ ტელევიზიამ გადაცემა მოაწყო - „მშენ ნათლიერისაო“ /შუა საუკუნეების ებრაული პოეზია/. მართლაც კარგი გადაცემა გამოვიდა, მეორე დღეს იყო ერთი ქება და ამრთა ურთიერთგაზიარება. პოდა, საზღვარგარეთ გაზეთები ანშლაგებით დაბეჭდილბა - ამ გადაცემის ამბები... სსრკ-მ თავისი არსებობის 60 წლის განმავლობაში პირველად მიუძღვნა გადაცემა /საერთოდ - ყურადღება მიაქცია/ ებრაულ ლიტერატურასო. უპრეცედენტო შემთხვევააო. საზღვარგარეთის რადიოსადგურებს გადმოუციათ. ამგყდარბა ტელევიზიაში დიდი აღიარებით, შეშინებულან. ორჯერ დაურეკეს განყოფილების გამგეს უშიშროებიდან. ხომ სულ პირვე აკერიათ ინტერნაციონალიზმი - ებრაელობა კი, ჩანს, არ ექვემდებარება ამ განზომილებას. ახლა, ალბათ, გამოწვევლივით შეისწავლიან მთელ გექსტს - ლექსებს. ებრაულ ენაზეც წაიკითხეს ექსპონშიციაში ერთი ლექსი - საჭაშნიკოდ, იეჟუდა პალევის ლექსი, მღვის თემაზე - როგორც ჯ. აჯი-აშვილმა სოსოს უთხრა. თუ ასეა, ალბათ, არაფერი იქნება, არაფის დაზარალება... საერთოდ კი ამ ლექსთა დიდი ნაწილი ლიტერატურული დანიშნულებისაა, სინაგოგებში იკითხება... ვალობენ თურმე ამ გექსტებს /შაბათის საგალობლები, საქორწინო სიმღერა, იეკუთიელის დაგირება, სებასადამი გარბელება. დასაწიხი „ციხკარი“ № 2 - 8, 10-12 97 წ.

და სხვ/. ძალიან ეუქტური გადაცემა იყო, ალბათ, მთელი ქართული ებრაელობა ტელევიზიორს უსხდა იმ დღეს. თვითონ ჯემალი მოსკოვშია, ამ პარასკევს ჩამოვა. იქაც დიდი დაჯგუფებაა შევიწროებული ებრაელობისა. სინაგოგაში ხედებიან ერთმანეთს, მაგრამ ათასი თვალი და-ყური შეერავს შემსვლელ-გამოსვლელს... ჯემალს ეცოდინება, რა რეაქცია იყო ამ ყველაფერზე... ყოველ შემთხვევაში, მოსკოველებს უფრო მეტი რამ ეცოდინებათ.

ხმები დადის, სგალინის ასი წლისთავთან დაკეშირებით რაღაც გამოსვლას ამირებენო. საინტერესოა, ვინ გუგუცებია, ეს სგალინი რომ აქამდე ყელზე ჰკიდიათ აყროლებული მძორივით. არა მგონია, ჰუმანიტარული ინტელიგენცია და სტუდენტობა სგალინზე იწუხებდეს დღეს თავს. ეს უფრო „ურა“ ხალხია - გექნიკური ინტელიგენცია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო და ზოონსტიტუტის და ა. შ. სტუდენტობა. მუშები და გლეხებიც. მოკლედ, ბრბო, ისეთი ვინმეები, ვისაც საერთოდ უყვარს არეულობა და ფსევდოპატრიოტული ბრახუნი. შეუნდე, უფალო, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ... მე არა მჯერა ამ ხმებისა. არა მგონია, ვინმე გამოვიდეს თბილისში მაინც. გორში პო, იქ სხვა ამბავია, სხვა რომ არა იყოს რა, „ქალაქური პატრიოტიზმი“ მაინცაა. თუ მართლბ რამე მოხდა და ვინმე დაზარალება - მაოხრებული მკედარიო, იმ იგავისა არ იყოს - კარგად გექონია



საქმე, კიდევე ჭურში მჯდარა ჩვენი ქართველ-
 ლობა, ჯერაც ვერ გამოგვიფხვია ყურები...
 ყველაფერი ახი ყოფილა ჩვენზე, ვნახოთ.


20. 12. 79

კარგა ერთსაათიანი გადაცემა მოაწყო
 ამ საღამოს საქართველოს ტელევიზიამ. ჯერ
 სტალინის სახლ-მუშეუმის ახალ ექსპო-
 ზიციამზე ილაპარაკეს, უზვენეს ექსპონატები,
 ფოტოები, აფლერდა ხან ოპიუმისტური, ხანაც
 სამგლოვიარო შეფერილობის მუსიკა... კვლავ
 ფოტოსურათები და ბოლოს - ბრევენევი...
 მერე „ერეკლია“ ჩაერთო, დამთავრდა და
 გაგრძელდა სტალინის ამბები - მთელი
 ბიოგრაფია, ექსპონატებისა და ფოტოების
 დემონსტრირებით... გაჭრით ვერ ბედავდნენ,
 ყველაფერი ლენინს უკავშირდებოდა, ბოლოს
 აქაც ბრევენევი და მისი ყელში ამოსული
 „მცირე მიწა“, მაგრამ მაინც, ცოცხალ თუ
 ბევრად, მოიხზა გული აყელყელავებულმა
 ქართველობამ. შეიძლება არ „გამოვიდნენ“
 ხეალ, არ ატყდეს რია-რია. ჭრიდა და
 კერავდა ტელევიზია, იმისი არ იყოს, აი,
 მეღამ რომ საქათმე ააშენა. ჩაეძიოს და
 ჩაუკირკიტდეს მოსკოვი - ყველგანაა უკუ-
 დასახეული ხერული. არც მწვადი დაიწვა და
 არც შამფური, სამაგიეროდ, ხეალისთვის
 უმრუნველყოფილია სიმშვიდე... შემხვედრი
 გეგმარ - რამდენჯერ წამიკითხავს გა-
 მეთებში, - ალბათ, რაღაც ასეთია... დაასწრეს
 გვინგახურებულ ხალხს, რამდენადმე გაუ-
 ხუნეს თავის გამოჩენის შანსი. ნაცარი
 შეეყარათ თვალებში, ქონი მოეცხოთ თავზე.
 დაქინებით ვაკვირდებოდი ფოტოებს. ერთა-
 დერთი სურათი იყო, მსხვილი პლანით, მხო-
 ლოდ აქ ჩანდა სიმწვავეს, საგანურობას
 მოკლებული სახე. ალბათ, გელევიზიის მუ-
 შაკებმა იცოდნენ ეს და კარგახანს იყო
 ეკრანზე... კეთილი, თაფლისფერი თვალები
 /ისევე რა ვუთხარი/, სხვა ფოტოებში კი
 ყველგან, ყველგან მოეჩამული, მკაცრი სიფა-
 თი. ვინ იცის, იქნებ მე მეჩვენება ასე. ლენინი
 - მით უმეტეს, შევხედავ ფოტოს ან ძეგლს
 და უშალ კრიალი დამივლის ტანში. ყოველ-
 დღე, სამსახურში მიმავალს და აქეთაც, ში-
 ნისაკენ, ლენინი მხედება, სულში მავურ-
 თობს.

24. 12. 79

ბანქოს თამაშში ყოველი მოთამაშე
 „კონს“ რომ ჩამოდის ხოლმე, ასე მოხდა
 რუსეთის იმპერიის დროებით დაშლის დროს
 თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების
 შემდეგ. აღარაფერი დარჩათ „ბანკში“
 ჩასასვლელი სტალინს, ორჯონიკიძეს, კამოს,
 მიქოიანს და სხვებს, არადა, არც თამაშიდან
 გასვლა ეწადათ. ხელმძღვანელი პოსტები
 უნდოდათ პარტიამ და ახალ პროლეტარულ
 სახელმწიფოში. მაგრამ ვინ მისცემდა მათ
 ხელმძღვანელ პოსტებს, როცა აღარაფერი
 ქონდათ, თამაშში რომ დაეღოთ... ამიტომაც
 იყო, არ აცალეს თავიანთ სამშობლოს რა-
 ლაც ორწლიანი ეფემერული დამოუკიდებ-
 ლობა /მსოფლიო ომისა და შემდგომი
 წლების მსოფლიო კრიზისის სიტუაციამ/,
 საკუთარ სამშობლოში მკერს შემოქდვენენ
 და დაიპყრეს საქართველო, ამერბაიჯანი,
 სომხეთი. ეს უკვე არ იყო პატარა „კონი“,
 ჩავიდნენ მთელს ამ ამიერკავკასიას და
 კიდევე შერჩნენ სათამაშო მაგიდას, მოხსნეს
 ბანკი. ამ საფასურის გარეშე სტალინს არავინ
 აღირსებდა ეროვნებათა სახალხო კომის-
 რისა და შემდეგ პარტიის ცეკას გენერალური
 მდივნის პოსტს. ასე გაწირეს დედა-სამ-
 შობლო თავისი კარიერისათვის, ძალაუფლ-
 ების კომპლექსის რელიზაციისათვის. მერე
 თანდათან მოიმაგრეს წელი. ცხრაას ოცდა-
 ორში ლენინმა კიდევე მისწერა პარტიის ყრი-
 ლობას - იქნებ სტალინი გადააყენებოთ, მაგ-
 რამ, ნურას უკაცრავად, ამ დროს უკვე სტა-
 ლინის ხელში იყო ყველა სადავე ლენინი
 უბრალო აბრად ქონდა, ფასადად, თორემ
 უკვე თავისი ბანდა ჰყავდა, ასე აღვიდად
 არავის დაუთმობდა თავის თანამდებობას,
 სამშობლოს ფასად ნაყიდს. არც არავის და-
 უთმო. ლენინის სიკვდილის შემდეგ ერთხანს
 კიდევე ეუფახეუხებოდა გროცი, მაგრამ
 ცხრაას ოცდაცხრაში /მგონი/ გროცი სულაც
 გააძევა უკვე თავისი სამშობლოდან, მერე
 კიდევე „მიაბრიადა“ საღდაც, ამავე წლებში
 სტალინი უკვე სტალინობდა - ჰიდრა იყო,
 მედუზა გორგონა. შიშის შარს სცემდა
 ყველას. კოლექტივიზაციამ „საექსპერიმენ-
 ტოდ“ რომ მოახდინა როსტოვის ოლქში...
 26 წლის ლაწირაკი, მიქოიანი ჩაუყენა
 თხებს.

სათავეში ამ საჭაშნიკო „ღონისძიებას“. არა-
და, მდიდარი ოლქი იყო, თავისუფლების-
მოყვარე, ლაღი კამპაობით დასახლებული.
წელიანი გლეხობა, მშრომელები, შრომის



მოყვარენი. ღონივრად იღვნენ, არაფერი
აკლდათ. პოდა, რასაკვირველია, აღარ უნ-
დოლათ ბოლშევიკების ექსპერიმენტგი. მილი-
ონამდე კაცი შეაწყდა ამ „ჭაშნიკს“, გაიფუტა
ხალხი. გაუცნო სტალინი ღონისძიების
შედეგებს, თქვა: Да, эксперимент удался,
და უკვე საერთო-საკავშირო მასშტაბით გა-
ნახორციელა ეს „ნებაყოფლობითი“ ღონისძი-
ება. ახლა უკვე მილიონობით კაცი ამოწყდა
- დახვრიტეს თუ გადასახლებაში ამოხოცეს
შიმშილითა და ვირის ჭაპანით. საქართვე-
ლომაც იწვნია თავისი რძენაწყვენი შეილის
რკინის ხელი, მუშა კაცის სისხლით მოიწყო
მიწა. წამოვიდა და წამოვიდა უცხო თესლი,
მომაგრდა და მოღონიერდა დაეხრებულ
მიწაზე. აღმოსავლეთი და სამხრეთი საქა-
რთველო გათათრდა და გასომხდა. სომეხს
იქნებ კიდევ ეშველოს რამე, ამ თათრებს
რა უნდა უყო. მრავლებიან, *оживают*
землю ზედ თბილისის კართან მომდგარან.
სამარო სანახავია მარნეულის, გარდაბნის,
ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს და სხვ.
რაიონები. ამ სპარსეთის ამბებზე ვერ

შექმნა ჩვენთვის სახარბიელო კურსს შექვეყნა.
ამერიკელი მძევლები კელაე დაკავშირებული
ჰყავთ - მთელი საელჩო, თანდათან მწყვედ-
ება კონფლიქტი. სსრკ-ე მზადაა... ნაციონა-
ლურად ჭრელია სპარსეთი, აიძვრა წყალი
და ყველა თავ-თავის გზას ეტებს. ისეთი
ნიშნებია, მგონი, დღეს თუ არა, წლების
შემდეგ მაინც ერთ მთლიან, თხუთმეტმი-
ლიონიან სახელმწიფოდ შეიკვრება საბჭოთა
და სპარსეთის ამერბაიჯანი, ღონიერი
ქვეყანა დაგვიპირისპირდება აღმოსავლეთ
სამღვარზე და საქართველოში მოსახლე
თვისტომთა ინტერესებს ყოველმხრივ
დაიცავს. ეს მერე - რუსი თავისი გზით რომ
წავა და ერთმანეთს პირისპირ შევრჩებით
კეკასიონის გადმოდმული ხალხები. ამერ-
ბაიჯანს იქით თურქეთიცა ჰყავს - თავისი
სისხლი და ხორცი, უნობრივადაც, ეროვნუ-
ლადაც. ერთი არიან ამერბაიჯანელები და
თურქები. არ ვიცი, ახლა ყოველივე ამამე
ფიქრი იქნებ აბსურდი იყოს, მაგრამ სა-
მომავლოდ შეიძლება დიდი ჯახი მოხდეს
კეკასიაში. ნეტავი, ერთი, თავი ჩვენი გვე-
ყუნოდეს და, როგორმე მიხედავთ ჩვენს
საქმეს. ერთი ათი წლით მაინც თუ თავისუფ-
ლებას გემო გაუუცქენა ქართველობამ, მერე
მორჩა, ვერაფერ დაგვიმონებს ვერე ჰაიბ-
არად. პო, ბევრი რამისთვის მადლობას
ვეგყვი რუსეთს, მაგრამ უფრო ბევრი მწარე
გვაქვს სათქმელი... იქით მღვისპირეთიც
გვეცლება, ვერა და ვერ აუტანია მოსკოვს,
რომ მთელი ვეება სანაპირო აუთვისებელია
ფოთისა და ოჩამჩირეს /თუ გულაუთას/ შუა,
დაჭაობებული სანაპირო. საკავშირო მასშტა-
ბის საქმედ აქციეს ამ შემორჩენილი ჭაობის
დამშრობა და „გაკულტურება“. ზღვა უნდათ,
პლაჟი, მშვ, სმწყანე. ვიდაც რუს პოლკო-
ვნიკს უთქვამს, ღვინისაგან გულაუყვებულს,
სუფრაზე: არ შეიძლება აქ მარგო ერთი და
ორი ცხოვრობდეს, აქ ყველამ რ ი გ რ ი-
გ თ ბ ი თ უნდა იცხოვროსო - ისე გაგივდა
ამ ზღაპრული მღვისპირეთის დამნახავი.
პოდა, თითქმის წაიღეს კიდევ. ათასგვარ
რადაც უწყებებსა და ორგანიზაციებს ეკუთ-
ვნის უკვე ღამის ყველა დასასვენებელი სახ-
ლი, სანაგორიუმი, პლაჟი. სიგყვითაა საქარ-
თველო, ისე კი რუსეთია ისევე. აი, როგ-
ორც რუსეთის გემი, საღამე ინდოეთის



სანაპიროზე მდგომი... თუ კიდევ 10-20 წელიწადს ასე გაგრძელდა, მორჩა, მერე უკვე ძნელია წამხდარი საქმის შეეღა.

ღამეა, 25 დეკემბერია დაწყებული. ახალი სტილით მობაა. ჩემთვის კიდევ დარჩა ცამეტობა დღე, შეიძლება იანვარს იქნება მობა. ხვალ მაინც ჩავალ კელსიაში, ვნახავ - იქნებ ახალი სტილითაუ აღნიშნავენ. თუმცა არა, მარხვა შეიძლება იანვრამდე. წვერი მაქვს მოშვებული, რუს დეკაბრისტებს ვგავარ, დეკაბრისტს კი არა, სოციალ-დემოკრატს, ან დოსტოვესკის პერსონაჟს ვისმე... მობის წინააღმდეგ ვაგვიპარსო იქნებ.

ლაპარაკი იყო ურარგუს სომხურ თეორ-
ამზე სტალინის აზრი ნათელია: სომხთ
მოსვლამდე იქ მაღალი კულტურის ხალხი
ცხოვრობდა. მომთაბარე სომხები მოვიდნენ.
სომხურ თეორიას საფუძველი არ აქვს. სომ-
ხები ინლოგროპული ვნის ხალხია ლიუნლი.
Ишь - სუფიქსალური წარმოება - მიყვარს,
გიყვარს, სტალინის მაგალითები/ „сме-
шные с Грузинами“. აშხ. სტალინის „Гру-
зины“ უფრო ფართო ცნების შემცველია. ვიდ-
რე ჩვენ გვესმის. უფრო ფართო. ვიდრე
ქართ-მან-სვანური. აშხ. სტალინი გრძობს
საჭი-რლებას ამ გერმანის შინაარსის გაფარ-
თლებას /ის აქვე ვენიდაურია: ისტორია
მეცხიერებება, ჭეშმარიტებაა, ის საფუძვლიანი
სილოგემია, რეალური და არა ფორმალური
და ამდენადვე ის თანამედროვეობასთან

სრულს თანხმობაშია. მეცნიერს უნდა ჰქონდეს უნარი ამ თანხმობის აღმოჩენისა... ჭეშმარიტებაა - გერმანიის „ქართველი“ უნდა გაფართოვდეს. ეს აუცილებელია, რთვონის ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით, ისე აღინიშნოს საქართველოს პოლიტიკის თვალსაზრისით... /პითიხავდა სიმონს: შეიძლება - ზეტსო-გრუზინსკაია გრუპა ნაროდოვ? - „სიმონი შეყოყმანდა: გრუზინსკაია - ერთობ გაბედული ენევა. „БИИТСЯ“ - ჩაიღიმა სტალინმა...

მოსწონს გურაევი/ნ/, არ მოსწონს სტრუვე/7/, მოსწონს პავლოვი, არ მოსწონს ი. ორბელი.

ერთხელ სთქვა /არ მაგონდება, რას მოაბაა/ „Ведь Грузия самостоятельна экономически и культурно...“ სახელმძღვანელო გამოთქმაა. მისი ჭეშმარიტად ათვისება, გაგება და განხორციელება ჩვენი ვლია...

საინტერესოა: მე ვიდრე ამხ. სტალინს ენახავდი, ისე წარმომედგინა, რომ ის ცივ დებულებებს იძლეოდა სახელმძღვანელოდ. თურმე ნამდვილად ამხ. სტალინი ყოველ დებულებას გენიალური სიმბივილით დასაბუთებულს იძლევა და მთელი სიბნელე ამ დასაბუთების გაგება-გამოკვლარება, ათვისება-დამუშავებაა და არის. აინტერესებს გვილის მისახლეობის შედეგებზე. ქართული მოსახლეობის მოძრაობა გვილისში... როცა ამხ. ჩარკვიანმა უთხრა, რომ ქართველები მეგნი არიან, ვიდრე სხვა რომელიც ურის მეცობენი, მან შენიშნა: „А все таки грузины не имеют абсолютного большинства...“ აინტერესებს ქართველთა ჩამოსახლების საქმე ახალციხის მხარეში, ქუჩუბორის, იაბუშის, ახალი ხევის რაიონებში.

აინტერესებს, შრომობენ თუ არა აჭარლები. ქობულეთელები, მათი ქალები... აღნიშნავს, რომ აფხაზები უსაქმობენ არიან...

აქონებს ჩვენი მთავრობის ღონისძიებებს საშხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სკოლებში /გაქართველებს/.

ქებით იგონებს ჩრდილო ოსების ყოფა-ქცევას ამ ომის დროს, აღნიშნავს აღმაშფოთებულ ქუეკას ჩაჩან-ინგუშებისას და მათ დარსეულ დასჯას...

ოსმალეთის ემისრების მუშაობის შედეგი ყოფილა იმ უბედური ადილელების თუ ჩაჩან-ინგუშების ასეთი ქცევა... უნდა კი ოსმალეთი დაწვა და ორივე ფეხი აიშვირა... /აღნიშნავს სპარსეთ-ოსმალეთის უკულტურობას/ როგორც ახლა, ისე მთელი გვიანყოფალოური ეპოქის სიგრძეზე. ამ გარემოებას მე უნდა ხაზი გავუსვა ისტორიაში.

აინტერესებს ჩვენი ენათმეცნიერება, ახლო აღმოსავლეთის შესწავლის საქმე /აქედან ჩვენ სახელმძღვანელო დასკვნები უნდა გავაკეთოთ... აინტერესებს ჩვენი უნივე-

რსიგეგვი, მისი ხარისხობრივი მანკუნელები /ასე გრძობს: სურს გაიგონოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი, არც ერთ პირველთაგანს არ ჩამოუვარდება.../.

აინტერესებს ჩვენი მედიცინა /უკმაყოფილოა მოსკოველი ექიმებით: საბავლე სერვილიმს იჩენს/. აინტერესებს ქართული მეცნიერება საერთოდ; გვაქვს თუ არა მეცნიერების ყოველ დარგში შემუშავებული გერმინოლოგია...

აინტერესებს ქართული ლიბერატორული ენა:

საჭიროდ და დროულად მიაჩნია ენის უნიფიკაცია, აკაკი, ილია, ვაჟა - საუკველი უნდა იქნეს უნიფიკირებული ენისა /გამოსკოწიას/ რეფორმატორობას, მისი ალაგება საჭიროდ მიაჩნია. უწონებს კოწიას მუშაობის უნარს, მხაგერულ ალღოს/.

საჭიროდ მიაჩნია გამოყენებითი გეოლოგია-მინერალოგია /თვალტრედიცე/ 9/ მაგრამ ასევე საჭიროდ მიაჩნია თეორიული გეოლოგიაც /ჯანელიცე/ 10/.

/სერვილიმშით დავაადებული ექიმების მსხვერპლი გახდა შერედიკოვი. მკვლელი ექიმების მსხვერპლი შეიქმნა გორკი.../.

სქულს სტალინს მოგადი ურამები, უსაბუთო მსჯელობა... „ეს სენი უმზარვესად კომუნისტებსა სტორთ: მსოფლიო მასშტაბით მსჯელობა უყვართ, დიალექტიკურ მატერიალიზმზე მსჯელობენ და საბუთიანს კი ორ სიგვესაც ვერ იგვეიან, წიგნიერს ოქმსაც კი ვერ შეადგენენ. ორგანიზატორობის პრეტენზიებიც აქვთ...“ იგონებს ბუხარინის პრეტენზიებს. „მარვალი ვერ მოუხდენდება, მუდამ ჩაუარდნილი ჰქონდა, არ მახსოვს, სხდომამზე ვყოფილიყთო და ან კალომი ან პალომი ან ქუდი სხვისი არ ჩაეკვას და ასეთი საწყალი ორგანიზატორობას იჩემებდა...“.

საჭიროდ მიაჩნია ამხ. სტალინს ჩვენი ახალგაზრდობის სწავლის „კლანიება“ /„Мы же гос. хозяйство планируем, а хозяйство без людей разве бывает?“/. არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ჩვენი ახალგაზრდები საეიმო ფაკულტეტს ეკანებიან, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია სხვა ფაკულტეტების გაძლიერება: იურიდიულის, ისტორიულის, საინჟინეროსი. „ჩემმა ქალმა აიჩემა, მინდა საინჟინეროზე შევიდეო. მე კი დავაგანე ძალია და სასტორიოზე შევიყვანე ეს მგად საჭირო დარგია. კარგ პოლიტიკურ მოღვაწეებს ჩვენ აქედან მივიღებთ“.

საჭიროა იურიდიული დარგის გაძლიერება. ჩვენ მრავალი იურისტი გვჭირია. საქმიანი საბუთების წესისაებრ შედგენა, გამოთქმის სიმუსტე, ასე უკლებელყოფილი რომაა, უნდა შემოვიღო... /ჩვენი მხედრები ომს შეეჩვივნენ, ომის საქმე ისწავლეს, ხოლო დიალომატიის კი არა იციან რა და ხშირად სახიფათო შეეთომებს უშვებენ.../.

/აშხ. სგალინი ყოვლად უცხოა უხეში და ძაღვისაგან კოლმურნეების მიმართ. და-
ინგერესება, მაგერიალური დაინგერესება
აქ გაღამწყვეტი ხასიათის მოვლენა უნდა
იყოს.../

არ მოსწონს აშხ. სგალინს სომეხთა გრა-
ბახი ისტორიაში /საერთოდაც აღნიშნავს,
სომეხთა ამ მხარეს/ და ხსნის ამ გარემოებას
იმით, რომ ისტორიის მიერ სომეხები განებიერ-
ებულნი არახოდეს ყოფილან, ავადმყოფ-
ური ისტორიის მიმართ.

ოსმალეთის ჩამორჩენილობას აღნიშნავს,
ადარებს საბჭოთა აშერბაიჯანს და უკანას-
კნელს სამჯერ უფრო მაღლა მდგომად
მიანიხია...

კუფანოვის* ავტორიტეტულობაზე ჩვენი
უნივერსიტეტის შეფასების საქმეში ეღიბება...
არც ვიღაც მაღიარის ავტორიტეტულობის
სწამს ბიოლოგიის თუ ქიმიის დარგში /სიმო-
ნმა რომ მოიგანა.../ საერთოდ, ავტორიტე-
ტულობა არ სწყალობს... მას, გენიოსს, სულ
სხვაგვარად საბუთები სჭირია. ეს საბუთი-
ანობა თვითონვე ხშირად სახუმაროდ გამო-
აქვს.

22.10. 5 საათზე უსტალინით ვისაუბრეთ.
კორიდორში გამოვედი და შემთხვევით აშხ.
სგალინს შევეყარე. ხელში გაშვით მუჭირა.
მემომხვდა, გამიღიმა, მკითხა: „რა ამბავია,
ქვეყანაზე?“, „მშვილობა-მეთქი“, მოვახსენე
მეც დამილთი. „სტამბოლ რაზე?“ - „დაიხ,
გვახელით-მეთქი“. „არა მჯერა“, - მიპასუხა
და დაურთო: „А где документ?“ - გაიყინა
და წაივდა.

აინგერესებს აშხ. სგალინს სიმღერა.
მოსწონს განსაკუთრებით გურული სიმღერა.
აღნიშნავს, რომ სიმონიშვილი¹¹/ გურული
სიმღერის კარგი მცოდნეა, მაგრამ სწუხს,
რომ სახალხო სიმღერა გურულებს კამერულ
სიმღერად გადაუქცევიათ.
/მოსწონს პაჭკორიას¹²/ თაოსნობა გუნდის
ორგანიზებაში/.

აინგერესებს აშხ. სგალინს ქართული
ეთნოგრაფია /სახეწელი იარაღის ისტორია/
ისტორიული პრობლემების გადაწყვეტისას
ეთნოგრაფიის დიდ მნიშვნელობას აღი-
არებს.

აინგერესებს ჩვენი არქეოლოგია. დიდად
მოეწონა ნივთები... ყურადღებით ისმენს
ბაგინეთის გათხრების შესახებ ცნობებს...
საჭიროდ სენობს არქეოლოგიური გათხრე-
ების კიდევ უფრო მეტ ინტენსივობას, კერ-
ძოდ, დასავლეთ საქართველოში...

ოსმალეთის საქართველო, ჩანს, ღრმად
სტკივა... იმხანის ძებნის რუკაზე /სურათი ვაჩე-
ნებთ... აქ სიგყაყაზნოვის უ. თაყაიშვილის
წიგნს - „არქეოლოგიური ექსპედიცია თორ-
თომის ხეობაში“ - ათვალეირებს... „ეს ყველ-

აფერი ეხლა განადგურებული იქნება“...
ლაპარაკობს ღამთა შესახებ. მათი ენის შეს-
ახებ მკითხულობს. აღნიშნავს მათ მღე-
აოსნობას, გამრჯელობას... აღნიშნავს ქარ-
თულ მოსახლეობას სმირნის ახლო, სგამ-
ბოლის ახლო...

ახასიათებს ქართველ გომებს: ქიმიე-
ლებს, ქართლელებს, განსაკუთრებით უფა-
რს გურულები. 1902 წლიდან იგონებს გურულ
მუშების გამაუქმებლობას, 1905 წლიდან გურულ
გლეხების გულწრფელობას, მენშევიკთა გუ-
რულ შედეგებლობას /იგონებს სოფ. ვორ-
დანისა, „სოფ-პეტრეს“, „სოფ-ხუნუჭას“, ბე-
ნია ჩხიკუშვილს, კარლო ჩხიციას - პატიოს-
ნების ნიშნულად, კაკო წერეთელს, ლორთქი-
ფანიძეს, არსენიძეს/.

იგონებს კამბოს გურიამი /ჩახატაურში,
ხილისთაუმი/. იგონებს თავუნას¹³/, ნიჭიერ
კაცად სთვლის: - „Да он не только юморист
ныт“ - შენიშნავს აშხ. ჩარკვიანს, რომელიც
თავუნას იუმორისტობას აღნიშნავს მხო-
ლოდ...

კუ-ს ლექსს /თავუნას მიწერს/ იხსენებს
იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მოქნილი
და მომჭირნეა ქართული ენა, ქართული
მშენ: გავა, ჩავა, წავა, ავა, შავა, დავა...

იგონებს თავის ბავშვობას, ხელის ცქი-
ვილს, ხალხურ მკერნალობას /თურმანიძეს/
სასულიერო სასწავლებელში შესვლის მი-
მემს /ჩარკვიანს ხუცესი ცხრამუხიდან და
სგალინის მამა/.

სემინარიაში ცხოვრებას იგონებს. ქელ-
ბაქიანს, ქოქიაშვილს...

იგონებს თავის ავადმყოფობას /გოგს შე-
ბრუნების/ ცხეში, გადასახლებაში...

იგონებს გურუხანის მხარეში ცხოვრებას.
გაყინებას, 18 საათის ძილს...

იქაური გლეხების ცხოვრებას. მეფის მოხ-
ელის მისვლას, წელიწადში ერთხელ გამო-
თრობას...

იგონებს ანეგდოტს იმის შესახებ, თუ
გლეხი როგორ უფრო ძვირად აფასებს ოთ-
ხვებს საკონულს, ვიდრე ქალს. აჯაყრებს მოხ-
ისელებს /დანა ერდონე, ძროხა დასაკლავად
კიბებზე მიყავთ. ჩვენი მამა-პაპა ასე შეე-
ბოდაო/.

იგონებს მომპასანის მოთხრობას იმის
შესახებ, რომ საფრანგეთშიაც გლეხი ხდის
უფრო ძვირად აფასებს, ვიდრე საკუთარ
ქალს...

ახასიათებს პოლიგამოვადებას: კარლო
ჩხიციას, სომერიკს¹⁴/, რამიშვილს, ვორ-
დანისა, წერეთელს... ახასიათებს რუმეფლეს,
ჩერჩილს, ეტლის¹⁵/, გრუმენს, ბორნის¹⁶/
ბეიენს¹⁷/...

აღნიშნავს რუსის ჯანმრთელობა-გუგუ-
ლობას, გერმანელთა ჯანსაღობას, ინგლის-
ელ-ამერიკელების ჯანსაღობას /მათ კარგ
კვებას, რეჟიმს, მივიენას-ვანა სამჯერ/, ამე-

*განათლების სახალხო კომისარია

რიკელთა მოუხემაობას /გექნიკაში/, იგალი-
ელთა ჩიბობას, ხოლო გექნიკაში წარმა-
ტებულობას გერმანელთა დიდ დამწევას,
სუროგატებით კვების შედეგად დასუსტებას.
სგალისგრაფელი გერმანელების გყვეების
ნახევიარი გაწყდა: ხამიშმილევეუ საჭმელი
ვერ იგვეს...

რუმინიას დიდ მომავალს უქადის: მდი-
არი ქვეყანა /გყე, პური, ღვინო, ხეთი, ნა-
ხშირი/.

აინგერესებს საქართველოში ხარწყავები
/რუკანე ეძებს/, დადებითად უყურებს სამგო-
რის პრობლემას /მოითხოვს მხოლოდ, რომ
ბაბბა საქართველოშიც სთესონ/. აინგერ-
ესებს საქართველოს შექნილი რაიონები...
აინგერესებს მეგალურების „მეოლი“ /„ტრ-
უბები“/, ავგომობილების ქარხანა ქუთაისში,
ელექტროენერჯის საკითხები...

ჩაი და ჩაის რაიონები, მათი მომარაგება...

აინგერესებს შეცნიერ-შეშაბთა ცხვრე-
ბის და მუშაობის პირობები... ამისთვის მო-
ვიფელით ვხვალთ... „Мы не могли уделить до-
лжного внимания научным работникам. мы
много их потеряли, Они безропотно, тихо
гибли“...

იგონებს /არ ვიცი, რასთან დაკავშირებით/
ლალო კეოსოვლის ძმას ვანოს. სულს ის
„უსინდისო“, თავს რომ ბოლშევიკს უწოდე-
და - „რახუნა“.

უთანხმება წარკეიანს, რომ დღეს კახეთი
ისეუ უმდიდრეს კუთხედ რჩება საქართვე-
ლოში, მაგრამ ცივრუბის განვითარებით,
უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართ-
ველო ჩამოართმევს მას პირველობას...

სწუხს მამათაღის შესახებ. სერგოს/18/
ამგყუნებს. ეროვნული საკითხისადამ
კომპროლოზური მიდგომის შედეგაო, ბორჩა-
ლოს გადაცემა სურდა სომეხებისთვისო...

როგორ უყვართ ამხანაგი სგალინი. რო-
გორ ეხუმრება ხოლმე სუფრის გამშლელ
ქალს... როგორ მრუნავენ, რომ არ შეაწუხონ
ამხ. სგალინი.

თბილია მშობულებით! ამხ. სგალინი-მომ-
ღმარო, მხიარული, ელვასავით სწრაფი გო-
ნებით...

ციოთხავს რასმე უკახუებ. თითქო არც
გისმენს. ბასრი პასუხი უმალ მზადაა.

ღია ქართლური სიცილი. დაუნდობელი
კრიტიკული გონება სამართებელივით
სჭრის...

„მარქსი ცდებოდა /ომუნებს, რომ სიმპა-
გით უყურებდა აბსოლუტიზმთან ბრძო-
ლაში. აბსოლუტიზმი პროგრესის თვალსაზ-
რისით უფრო მისაღებია - სახალხო ძალებს
აერთიანებს., კლასთა ბრძოლის არც აფარ-
თოებს, კლასთა ბრძოლას აღრმავებს.“

საწყვალთ იოანე მრისხანე - „ორ კაცს
სიკვდილით დასჯიდა, ორ თევს ლეკულ-
ობდა.. რომ გაბედულად დაეკრა, შეიძლება

1605-1613 წლის ამბები არც კი დაგრი-
ალეულებო...“

სგალინი: „ქურუმები - Каста ученых зве-
здохотов, инжиров“.

„ქრისტიანობა მონობას ანგრევედა და
ფოლადურ ურთიერთობას ასაფუძვლებდა.
ამხანურთა როლი- სამხედრო, სამეურნეო
/მეურნეობის წამყვანი, გაუმჯობესების შემ-
ომგანხი./, სამოგადოების შემდგობებელი.
/ჩხაკერი - გურულების მიერ გამოყვა-
ნილი ჯიმი/.

სგალინი და ეკლესია: „ომს /ანათომას/
უკახუეთ ომით. დღეს სამღვდლოება სულ
სხვა რიგად იქცევა და ჩვენი ჩვენი პროგ-
რამის თანახმად სარწმუნოების თავისუფ-
ლების შესახებ თავისუფლება მივიანჭკით
ეკლესიასაც.“

იგონებს ამხ. სგალინი გურულებს: აბთ-
აქეს /ლემონსგრაფია რომ დახვრიცა/, გულ-
ნიამვილს - ვაქაცს და გულწრფელ კაცს.
მისი გაღარჩენა სასურველი იყო /ის ჩვენ
დროს დახვრიცეს/.

სამწუხაროდ, სგალინის არც სახე /სურა-
თი/, არც მთავარი რამ მისი ხასიათისა არ
იციის ფართო მასამ. არც არავინ ცდილა
გაღმოეცა მისი ის ნიშნები, რომელნიც, ჩემი
ამრით, ყველაზე დამახასიათებელია...

სგალინი დაკუმულ-დაკუმრეულ ენერ-
ჯიად თუ შეიძლება წარმოიდგინოთ... ადა-
მიანი, რომლის გონებას დაღლილობა აბსო-
ლუტურად არ შეხებია. ადამიანი, რომელიც
ელვის სისწრაფით, აბსოლუტურად ძალდა-
უკებნებლად გადადის ურთიერთისაგან სრუ-
ლიად დამორებულ საკითხებზე და გადადის
არა ბავშვისათვის დამახასიათებელი ცნობი-
სმოყვარეობით /ახეთი რამ მოვიგეროს ახა-
სიათივარ/, არამედ სამართებლისებური ბასრი
გონებით...

ფუნომენალურია სგალინის ამროვნებისა-
თვის დამახასიათებელი განსჯის სისწრაფე.
ყოველი ახალი ცნობა, რა დარგისაც არ
უნდა იყოს ის, მას ელვის სისწრაფით გადა-
აქვს შეცნიერული და პრინციპული კრიტიკის
საძლეად ქურამში და ჭეშმარიტების უღმო-
ბელობით ამ ცნობის უგყვარ შეფასებას
იძლევა...

სგალინი ფოლადი ადარებენ. ახვევ არ
იღუნებო. და აქ უფრო სგალინის ხასიათის
სიმკაცრეს, მის პრინციპულობას უსვამენ
ხაზს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა.
შეიძლება შედარების უფრო შორს წაყ-
ვანა: სგალინი არა მარტო ფოლადივით უდ-
რეკია, არამედ ფოლადივით ელვასკურია...
მისი გონებრივი აპარატი იმ ფოლადს უფრო
კვავს, რომელიც იმისათვის მოიდრიკება,
რომ უმაღლეს გასწორებს, რომელიც მოდრ-
ეკილი არასოდეს დაჩრება... ფოლადური
შედგრობა, ფოლადური პრინციპულობა, ფო-
ლადური ელვასკეურობა... მიუმაგეთ ყველა



ამას სტალინი ოხუნჯი /დაუნდობელი როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასე სხვის მიმართ/, სიცოცხლით სასუსე, ეპიურად მარტვი და თქვენ წინ წარმოსდგება გენიოსი, რომელიც ისე შეენის მომავალ მსოფლიოს, როგორც დიდი რეჟისორი მის მიერ დადგმულ ხელოვნების შედეგს...

„რამდენი მიწა მოდის კოლმეურნეობის წევრზე საქართველოში?“ ამხ. კანდიდი მოახსენებს, „რიცხვი მუსტად არ მახსოვს, მაგრამ მეტად მყივრე. 1-3 ჰექტარამდე“. ამხ. სტალინი აღნიშნავს, რომ სარაგოვის ოლქში კოლმეურნეზე 23 ჰექტარი მოდის, ხოლო ციმბირში მოვგან 170 ჰექტარიც. /ამიგომ, თუ გერიგორია გვექნება, ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასახლოთ იმოდენივე გერიგორია, რამდენიც ეხლა გვიჭირავს.

ფიონებს ვ. ვენაგამვილს. /იმერლობა-ამერლობა./

ფიონებს რაჭველებს /ორჯონიკაიძესთან /27/ ერთად 1926 წელს მოვიდან რომ მოდიოდნენ. / - ჩვენ ესლა დავიწყეთ, საით მიეჩქარებითო“ - და ეს 5 საათის სმის შედეგე.

მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორია სტალინი: საქართველოს საზოგადოებრივი ზრდა და ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგე პირველი ფორმულა შეიცავს საქართველოს განვითარებას „ქართლ-კახეთ-იმერეთ-სამეგრელოდან“ - საქართველომდე, საქართველოდან /საქრისტიანოდან/ - საქართველომდე /ეროვნული მომენგით/, ფეოდალური ურთიერთობიდან ბურჟუაზიულ ურთიერთობამდე, ყმა-გლეხიდან - პროლეტარიატამდე, ხელისუფლდან - კაპიტალიზტამდე.

მეორე ფორმულა შეიცავს ქართული საზოგადოების ბრძოლის სხვადასხვა ეტაპებს ცარიზმის წინააღმდეგე.

ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგე ქართველი ფეოდალებისა. ბაგონიშვილები, თავადები /ხალხის სახელთ ცდილობენ გამოვიდნენ...“ ფეოდალურ მონარქისტული“ ოკომიეია /ამ მოძრაობის დასასრული 1832 წლის მარცხი... გლეხთა ბრძოლა ცარიზმის და ბატონყმობის წინააღმდეგე /წამყვანია გლეხური მოძრაობა 1841 წ., 1856 წ.

თერგვალიელთა ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგე.

ერის /ბურჟუაზიელის/ შექმნისას-ნაციონალიზმის - /ბურჟუაზია და მისი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგე/, პროლეტარიატის /ინტერნაციონალიზმი/ და მისი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგე.

ბურჟუაზიულ კლასს რომ გაემარჯვა, მივიღებდით დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ საქართველოს, პროლეტარიატმა გაემარჯვა და მივიღეთ დამოუკიდებელი სოციალისტური საქართველო საბჭოთა კავშირში...

ერეკლეს ანდერძის გამრულება იქნებოდა,

ბურჟუაზიას რომ გაემარჯვა „ნამდვილი“ დამოუკიდებელი ბურჟუაზიული საქართველო ვერ იქნებოდა და თავისი შემოქმედებითი ძალების გამლას ქართველი ხალხი ვერ შეძლებდა...

სტალინით ისტორია პატრიოტული უნდა იყოს. /ღრმა სიმაართლეა. პატრიოტიზმისა და ისტორიის ურთიერთობის შესახებ სადღაც შექვს შენიშვნა, სადაც ეს ლებულება ნაგარაუდევი/. ლაპარაკი ეხებოდა „უმიერეს ბოროტებას“, საქართველოს რუსეთთან შეერთებას, რუსეთის პროგრესულ როლს /რბიექტორად/ და ასე ვამუქებულ საქართველოს ისტორია - „Разве не достаточно патриотично будет?“ და დაურთო: ამავე დროს უნდა მოცემული იყოს ქართული საზოგადოების ზრდა ცარიზმთან განუწყვეტელი ბრძოლის პირობებში /ლეიგმიტაცია/.

ამხ. სტალინის ისტორიულ შეხედულებებთან „ჩამორჩენილს სყემენ“ /ცარისტული რუსეთის გამო აქვს გამოთქმული/ ყველაზე ნათლად ჩვენს ისტორიაში გამოდგება მე-19 საუკუნის ისტორიაში...

ისტორია პატრიოტული შეყნიერებაა... იმ გაგებით, რომ პატრიოტია საზოგადოების წამყვანი კლასი, მოწინავე კლასი, შექმნილი კლასი...

უმიერეს ბოროტება - /ის მანის ბოროტებაა, თუმცა უმიერესა/. ერეკლეს უპოჭქესი გამოხატავდა არ ქიონდა... „Князь доканил государственность Грузии“.

დასკენა: თუ ეს იყო ბოროტება, მაშ ერეკლეს ახდერძი ყოფილა ბრძოლა იმისათვის, რათა ეს ბოროტება, რომელიც თან ახლდა /უკეთ, თან მოყვა/ ქართველთა მრავალსაუკუნოვან ლტოლვას რუს ხალხთან კავშირისას, თავიდან მოიცილონ. ესე იგი ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის რუსეთთან კავშირის შენარჩუნებით. ერეკლეს ეს ახდერძი დიდმა ბარათაშვილმა განუჭყირებო ხოლო პროლეტარიატმა პრაქტიკულად განახორცილა.

„Перекрыть“... /საკაკიძე/ - პრინციპს უცხო ძალის მოხმარების მიუღებლობა-მისაღებლობას განსაზღვრავს მიმანი. თუ ის პროგრესულ მიმანს ემსახურება, მისაღებია და პირეკე...

ამნაურთობის როლი: „Цементирующий элемент феодального общества, войнство. носители феодальной культуры...“.

ქრისტიანობის როლი. ემსახურებოდა ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას და მონობის მოსპობას. აქედან დასკენა: ქრისტიანობა ახალი /პროგრესული/ საზოგადოების რელიგია, დიდი პროგრესული ძალაა. ქართული საზოგადოების განვითარება და მისი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგე /XIX საუკუნის საქართველოს ისტორია ერთ წინადადებაში/.

მწიგნობართუხუცესი - დავითის - "Средство как обойти духовенство".

დავით აღმაშენებელი - "абсолютизм на час" /მეც ამ შირის ვიყავი/.

ეჭვობს, რომ გვიღლისში იმ ტიპის კომუნა იყო მეთერთმეტე საუკუნეში. როგორც დასავლეთ ევროპის ქალაქ კომუნები. / დიდაც, საეჭვოა: გვიღლისი და ქართული ქალაქები რომ ასეთები ყოფილიყო, დავითის აბსოლუტიზმი ერთსაათიანიც არ იქნებოდა!...

"Я за абсолютизм" - მარქსის შეცდომას აღნიშნავს. მარქსი ქალაქ კომუნების მხარეზე ჩანს მათი ბრძოლის დროს აბსოლუტიზმთან. ქვეყნის გაერთიანება კლასთა ბრძოლის გაფართოებასა და გაღრმავებას უწყობს ხელს.

ოსმალური და ერანული კულტურისა არა სწამს /მარქსს ეთანხმება: ბარბაროსული საფეხური ფეოდალური ურთიერთობისა/. მართლაც და ფეოდალური ურთიერთობის დაბალი საფეხურია, მაშ რა, - როდესაც მიწის კერო საკუთრებას კი /რა თქმა უნდა ფეოდალურ/ ვერ შემუშავებულა და სადაც ხანი თუ ფაშა მოხელეს ვერ გასცილებია, ფეოდალი ვერ გამხდარა, სადაც ფეოდალური ეტიკეტიც კი ვერ შემუშავებულა.

ხალხი გადასახლებაში ქრისტიანულად მთელი საფეხურით უკან დასწივს, - ამბობს სპარსელებზე /ლაპარაკი ეხება ფერეიდუნელებს/.

და განა ასევე არ დაემართა ყველას, ვინც ერანის თუ ოსმალეთის კულტურა გაიზიარა? სამეხე-სათაბაგო, აჭარა ... და დანარჩენი ქართველები ახ აღერბაიჯანი...

"გამკვდიანობაში დასძლია ქრისტიანობაში, სიმარტირეო, სიცხადით, პრაქტიკული ხასიათით..."

მოვიგონა, თუ როგორ გაიგეს ბაქანელების შესახებ მოწოდება ქართლში /დროის გარეშე/. რეოლუცია და მარცხდა და ქართულები შეიძრნენ, სკალინი მოვიდა მათთან და ურჩია გამოსვლისათვის თავი მოერიდებინათ, რომ ესაა ამის დრო აღარაა. ნაწყენნი აყვედრებენ: შენც თავადების მხარეზე გადასულხარო. არაფერი დამიჯერეს; გამოვიდნენ მწარედ დაისაჯნენ...

გვეხუმრება: სომხებმა გაჯობეს. ამ ომში მათ გენერალი ბაგრამიანი/18/ ჰყავთ. თქვენ ქართველებს კი... კანდიდი ეუბნება, რომ ჩვენ უფრო დიდი გენერლები გყავს. წინამძღვრისფილი მზადაა უთხრას, რომ ეს დიდი გენერალი თვით სკალინია. აჰხ. სკალინი მაინც კიოთხულობს /ხუმრობით/: თქვენ ვინა გყავთ? მე ვუბნებთ: "ამას ჩვენ სომხებს დაუსახელებთ." იამა პასუხი. გაიღიმა... და ლაპარაკი ლესელიძეზე /19/ გადაიტანა. ნანობს მის სიკვდილს. ჩვენ ის იქ გვინდოდა

მთავარსარდალად. ქვეყანი იყო, შემოსულად კიონდა. ქვეითი არტილერიიდან იყო გამოსული... ცუდუბრალოდ დაიღუპა თავი. ნაადრევად ადგა... შემდეგ კიოთხულობს: თუ ჩამოვიღოა ჩანჩბაძე... (20)

ებრაელთა ქვეყა ამ ომისას: ყველაზე ნაკლები საბჭოთა კავშირის გმირები /პროპორციულად/ ამითგანაა. სამეურნეო ორგანიზაციებს უფრო ეწყობიან. სადაც ერთი გაჩნდება, სხვებს /„თავისიანებს“/ შემოიკრებს. ომის საქმეს სხვებს მიულოცვენ, თბილი და უშიშარი ადგილის დაჭერას ვერაინ მოასწრებს, უნდა ითქვას, მათ შორის შეხვედრა უშიშარ შემოშრებს, გმირებს, მაგრამ იმეფიათად. საერთოდ კი.

ესაუბრება კანდიდს მეტალურგიულ კომისიაზე, ავტომობილის ქარხანაზე ლაპარაკი შეუქმნათ „კომოვზე“, ხის იქნება თუ ლითონის. კანდიდი იცავს ლითონს, დაგეგმილიც აგრეთ. სკალინიმა იტყვას, ლითონი ჩვენ მიღებისათვის გვეჭირათ. კანდიდი ცხის ნაკლებობაზე მიუთითებს ჩვენში... სკალინი ცხის წესიერი მეურნეობის საჭიროებაზე მიუთითებს: დროა „ღეთისაგან გარეხილი“ ცხის აშარა აღარ ვიყოთ / „ЧТО БОГ ПОСАДИ“)...

კიოთხულობს მორწყვის შესახებ. მოხაზავს რუკაზე მოსარწყავ რაიონებს საქართველოში... სამგორზე შეჩერდება საუბარი. სკალინი მზადაა დაიცივას სახკომსაბჭოში ეს წამოწყება, თუ საქართველო ბაშბის თესვას შეუდგება...

"Не могу же я утверждать, что дважды два семьдесят два; дайте мне достаточно основания для защиты..". ესე იგი, ბაშბის კულტურა საქართველოშიც იგვირთოს, ისე, როგორც სხვა სამხრეთულმა რესპუბლიკაში. აჰხ. კანდიდიც სთმობს.

იგონებს ერთს შემთხვევას ავადმყოფობისას /საუბარი ეხებოდა ორგანიზმის გამძლეობას/. აჰხ. სკალინი გადასახლებაში გაგეგვანათ. გზაში ავად შექმნილიყო. სადაც ქალაქის /ვოლგის აუშში/ საგუსალოში იწვა. ოღნავ როგორც კი მოუშობესა, წამოღდა, თუმცა არ ურჩევდნენ, და გზა განაგრძო. „ადგილზე მისვლა შეჭარებოდა: უკან გამოქცევას ვეშურებოდი სამუშაოდ...“ სამხელე პირობებში მივდიოდითო. „ერთ ქალაქში გაგვჩაგრეს. საგუსალოში, 25 ადგილიან საკანში 75 კაცი მოგვბათავსეს. დასაწოლად არ იყო. ვისხვდით იატაკზე. მე 40 გრადუსი სიცხე მიხლავდა... უტბათ ოფლი მომივიდა, სულ ერთიანად დავსველდი. ჩანს, კრიზისმა გაიარა. გადავრჩი. გზა განვაგრძეთ... იმ გადასახლებიდან ჩქარა გამოვიპარე“.



ვინაა ამხ. სტალინი /საბჭოთა ეროვნული თვალსაზრისით/ ამხ. სტალინი ყოვლად ახალი ადამიანია. საბჭოთა ადამიანია, ის ეროვნებით /და არა მხოლოდ წარმოშობით/ ქართველია, რწმენით კომუნისტი, პრაქტიკული საქმიანობით სახელმწიფო მოღვაწე /საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის შემწველ-ორგანიზატორი/. მრავალერაიან საბჭოთა სახელმწიფოს მესაჭე. ის, უპირველეს ყოვლისა, ამ სახელმწიფოს, ამ სამშობლოს, ამ ორგანული გაერთიანების, ამ კულტურული მთლიანობის პაგრიოგია, რაც ამავე დროს საქართველოს პაგრიოგობაა. ამხ. სტალინი ქართველი კომუნისტი და ამდენადვე ქართველი პაგრიოგია, ხოლო დღეს პაგრიოგობა საბჭოთა კავშირის პაგრიოგობის გარეშე ჩამორჩენილობაა, ასეთი რამ კომუნისტობასთან შეუთავსებელია /ასევეა დღეს პაგრიოგობა სომხური, რუსული, უკრაინული და სხვა/. საბჭოთა კავშირის /კაცობრიობის მომავალი ორგანიზაციის სახის/ სტრუქტურის გენიალობაც იმაშია, რომ ის კი არ უპირისპირდება კავშირში შემავალ მოკავშირეთა ინტერესებს, არამედ განსახიერებდა ამ ინტერესების თანხმობისა. „Я сказал Грузинам“ - რომ ამბობს ამხ. სტალინი, ამით იგი ქართველების გარეშე კი არ ღვება, არამედ აქ ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ამ სახელმწიფოში შემავალ თითოეულ მოკავშირეს თანაბრად ულაპარაკება. ასევე ლაპარაკობდა ამხ. სტალინი რუსებზე „Они такие да такие“, უკრაინელებზე, უკრაინელებზე... ის, როგორც საბჭოთა კავშირის მესაჭე, ყველა მოკავშირის ინტერესების თანაბრად განმსახიერებელია /ასევე იცოდა ამხ. მოლოტოვიც: „Я сказал Русским“ და მიქოიანიც „Я сказал армянам“ და სხვა.

თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მთელ სიგრძეზე ამხ. სტალინი განუხრელად ქართველი პაგრიოგია იყო: ის ქართველი კომუნისტი იყო, ყველაზედ მოწინავე პოლიტიკური მოღვაწე იყო; სტალინი აუგორია ჩვენი დროის უმაღლესი და უბრწყინვალესი სახელმწიფო ფორმის - საბჭოთა კავშირის, სადაც საქართველოს მომავალი, ისე როგორც სხვა მოკავშირეთა, აბსოლუტურად უზრუნველყოფილია.

სტალინის სტილი.

უკვირდებოდა ამ გენიალურ ადამიანს და მაოცებდა მისი სტილი. ეს არის მიუწვდომელი, მიუბაძველი, განუყოფელი თა-

ვისებურება გენიოსისა. საქმიანი მსჯელობა, ოხუნჯილი უაღრესი თავისებურებით იყო აღბეჭდილი.

ამ სტილის მიბაძვა შეუძლებელია, მაგრამ მისი გადმოღება ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია გადმოღება სტალინის გენიალობისა. ამიტომ მიმბაძველი თავის-დაუნებურად კარიკატურულ მდგომარეობაშია.

ამხ. სტალინის მუშაობის სტილი ჩვენთვის შეიძლება იყოს სახელმძღვანელოდ და არა ფორმალურად მისაბაძვი: ის ჩვეულებრივი მომაკვდავისათვის მიუბაძველია /ხოლო მასავით გენიოსისათვის მიბაძვა საჭიროც არაა/.

სტალინი შეუქმნული ენერჯიაა, უმრეტი ენერჯია. ის არ მის /ჯღომა მისთვის დამახასიათებელი არაა/. ის ღვა /მოხელნილად/, მიმოღის მზაგე ნაბიჯით /ჩანს მუხლები მოსდევს/, კვლავ დადგება, ხშირად აბოლებს ყალიბს, ოხუნჯობს, მსჯელობს, სულ ღვას. იმფიათად დაჯდება საყარძელში, ერთი ორი წუთით, უმაღლე წამოდგება /თითქოს წასცდა დაჯდომამო/. ქართულ ლიტერატურაზე საუბრობდა. კოწია გამსახურდიას „ლიონტაგის მარჯვენიდან“ რაღაც ადგილი გაახსენდა /„Лаз“/. „Я вам сейчас покажу“ -ო და უმაღ წავიდა. მეორე სართულიდან პირველში ჩავიდა და თავისი საწოლი /თუ საშუალო/ ოთახიდან წიგნი ამოიგანა. ამა-სობაში სულ ორი წუთი თუ გავიდა, მეტი არა. საინტერესო ადგილი წიგნისა უკვე გამო-ვნა. გადაშალა და წაგვიკითხა და ოხუნჯა: „Засилие“.

22.10. დილა. მე და სიმონი ავდექით. ადრე გვეღონია. ამხ. სტალინი დიდი ხანი ამდგარა. ენოში გამოსულა. ამხ. კანდიდი ახლავს. სტალინი ციგრუსოვან მცენარესთან ღვება, რაღაცას ახეუებს. პალტო აცეცა /არა ფორმის/, სამხედრო ქული მხურავს, მიმოღის და ხალისიანად საუბრობს. ცოცა ხნის შემდეგ მათ ექიმი წინამძღვრიშვილი შეუერთდა /ამხ. სტალინის დაენახა და გამოეხმო/. კე-გლის მუხობაში შევიდნენ. სტალინმა ბურთი ისროლა... შედეგ ბილიარდს ეთამაშა...

ღმერთო, რამდენი ენერჯია, რამდენი ხალისი... გამობრუნებულმა ჩვენს ოთახზე გამოიარა. „Вот где я их поймал“ -ო - მოგვესალმა. სახაუმზედ წავედით.

მსოფლიო გვირთი მოუგდია ამირანის ბეჭებზე, ამაყად მოაქვს და, უმრეგის ენერჯიით

აღსავე მილიდინებს... გრძნობ, გწამს, რომ გვიროს არ დაგადებს, ბედნიერების მწვერვალზე აიგანს, გაიმარჯვებს.

რამდენი ვისწავლე ამ სამ დღეს, რამდენი გაბედული ახალი მეცნიერული აზრი შევგინა ამ გენიალურ აღამაინთან /ახალ აღამაინთან/ საუბარში. რა მარტივი და ცხადია ყოველი საკითხი ამ გიგანისათვის, რა სწრაფად და უეთომლად ხსნის და ანაწევრებს ხლართს, როგორ სწრაფად ჩასჭიდებს ხელს იმას, რაც უმთავრესია, რაც სახელმძღვანელოა...

/ნ. ბერძენიშვილის სგალინთან საუბრის ჩანაწერი გიორგი სააკაძის და ერეკლე მუყის ისტორიული როლის შესახებ/

მასხოვს ბელადთან სიგყვა ჩამოვარდა გ სააკაძეს და ერეკლემუ...

საკაძეს ბელადი მეცნიერებად ცეცხლიანობდა აღუნიშნავდა, ჯიქურ მოქმედებას და ამ ნიადაგზე პოლიტიკურ შეცდომებს მიაწერდა. მაგრამ ამკარად ჩანდა, რომ ის დიდ შორეავს სიმპათიურად უყურებდა, პროგრესის მოღვაწედ უყურებდა.

და საუბრისას საკითხი დაისვა /ვგონებ წინამძღვრიშვილმა დასვა/ ვინ უფრო მნიშვნელოვანია სააკაძე თუ ერეკლე. ამხანაგი სგალინი დუმა, სხეუბი /სიმონი, კანდიდი/ დუმდნენ. მე უნდა შეასუსხნა. ამით მნიშვნელობის შედარებაც ძნელია-მეთქი; რა თქმა უნდა, ერეკლე უფრო მნიშვნელოვანია-მეთქი. და დაჯერებული ვ/უცდილი თუ რას იტყობა ბელადი. „Правильно“ - არ დააყოვნა მან. ამას მოყვა ახალი „გამოხტომა“ წინამძღვრიშვილის მხრით: აქ /სახელმძღვანელომ/ ერეკლე ვერ არის საკმარის რელიეფურად ნაჩვენებიო. დაედუმით ყველანი და ვუციდით თუ რას იტყობა ბელადი /ჩემი გულის ხეთქა გასაგებია/. ამხანაგმა სგალინმა წიგნი /მისი ის ნაწილი, რომელიც ერეკლეს შეუხებოდა, ვადამალა, ვადმოშალა, თითქო იგონებსო წანაკითხს და სთქვა: „Нет, Иракий тут достаточно полно и правильно...“

რას მოწმობს ეს? იმას, რომ ერეკლე მას ისეთ მოღვაწედ მიაჩნდა, ისეთ პროგრესულ მოღვაწედ, როგორც სააკაძე იყო და ამაში უპირატესობას ერეკლეს ანიჭებდა; იმას, რომ ერეკლე ის „ღამეაყოლებელ-ღამმონებელი“, „ხელმწიფე მხედართმთავარი“, ხალხის მგერი და მისგან მოწყვეტილი კი

არ ყოფილა /რომელთა შესახებ მას საუბარი აქვს თავის მოკლე კურსის 116-ე გვერდზე/ არამედ ის პროგრესული მოღვაწე, რომელმაც თავისი ძალ-ღონე საქართველოს, მისი მწარმოებელი საზოგადოების დაიკავა, ვადა-რჩემა, აღდგომა და გამოხსნის შეაღწია...

ასე რომ, ყველა მეფე ის „კაროლი“ როლია, ქვეყნებს რომ იყვროს... და ისტორიკოსს, მოწოდებულს, იკვლიოს წარმოებისა და მწარმოებელი საზოგადოების ისტორია, კი არ ეკრძალება ასეთი „მეფეების“ ისტორია იკვლიოს, არამედ ის მოვალეა იკვლიოს ამ „მეფეების“ ისტორია მწარმოებელი საზოგადოების თავგადასავლითან ერთად და იმდენადვე, რამდენადვე იკვლევს თავის ამ მწარმოებელ საზოგადოებას...

ამხ. სგალინის ერთი ისტორიული გამონათქვამისათვის*

„Перекрыть“ - ამხ. სგალინის ამ ფორმულის მართებული გაგებისათვის ბუცილ-ეულია ვგახსოვდეს მისი სახელმძღვანელო პრინციპი ისტორიულ აზროვნებაში: ისტორია კლასთა ბრძოლაა /საუბარია კლასობრივ საზოგადოებაზე/. ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს კლასობრივი ბრძოლის გაფართოებას, გაღრმავებას, ე. ი. საზოგადოების პრღერესს, მისაღებია, სასურველია, /ასეთია, მაგალითად, ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნა მონათმფლობელობის დაწვრცელების შედეგად, ასეთი იყო ფეოდალური ურთიერთობის ბაგონყმურ საფეხების წარმოქმნა, ასეთი იყო აბსოლუტიზმის სისტემის წარმოქმნა ფეოდალური დაქსაქსულობის მაგიერად, ასეთი იყო ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვება ფეოდალურ ურთიერთობაზე და ა. შ./და, პირუკუ. ბქედან ცხადია: ამ თვალსაზრისით უნდა შეუახებულ იქნას ყოველი კერძო, ისტორიული მოვლენა. კლასთა ბრძოლაში ამა თუ იმ კლასის მიერ ბრძოლის საშუალებად უცხო ძალისათვის მიმართვა, უცხო ძალის მოშველება პრინციპულად დაგმუებული სრულიადაც არაა და ჩვენის მხრით დაგმობას ყველგან და ყოველთვის სრულიადაც არ ხვდება. თუ ასეთი რამ ისეთ მიზანს ემსახურება, რომელიც საზოგადოებრივ პროგრესს მკულისხმობს „კლასთა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავებას/, ის დასაშვებია და, პირუკუ,

* ხელნაწერია ინსტიტუტი. ნ. ბერძენიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 1677. ავტოგრაფი, შავი დღიანი, სხვადასხვა ზომის ფურცლებზე ნაწერი. საწერად გამოყენებულია შავი კორექტურები და ნახჭქი ფურცლები. შასალა ჩადებული იყო საქაღალდეში, რომელსაც ნ. ბერძენიშვილის ხელით აწერია „Перекрыть“ ხელ 8 ფურცელი.

* ხელნაწერია ინსტიტუტი, ნ. ბერძენიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 1678, ავტოგრაფი, შავი დღიანი, ფანქრით ნაწერი. 2 ფურცელი.



უკანასკნელ შემთხვევაში ის დანაშაულია, ქვეყნის ღალატია „ქვეყანას“, ჩვენს თვალსაზრისით, კლასობრივი ურთიერთობის პირობებში ის კლასი ასახიერებს, რომელიც უპირატესად პროგრესის მაგარებელია, რომლის გამარჯვება კლასობრივი ბრძოლის გაფართოება-გაღრმავებას გვეულისხმობს/ მაგრამ უცხო ძალის მოშველიებისას აუცილებელია ამ ძალის ბუნების გათვალისწინება. თუ ის მოშხმობის მიზნებს ამართლებს, მისასაღებელია, მაგრამ თუ ასეთი ძალა კლასთა ბრძოლის საფუძვლებს აფაროებს და ანგრევს, მისი მოშველი /მოშინისაგან დამოუკიდებლად/ შეუძლარი. ასეთი შედეგია ქვეყნის წინაშე დანაშაულის უდრის. პოლიტიკური მოღვაწის შეუძლება დანაშაულისაგან ძეგლად გამოსაყოფია.

მეხუთე-მეექვსე საუკუნეში აზნაურებმა სპარსელები მოიწვიეს და შეუის (ძველი) ხელისუფლება გადააშენეს; მეთერთმეტე საუკუნეში აზნაურებმა ბიზანტიელები მოიწვიეს, ბაგრატიონები დასაქარნი წარმართნი მოიწვია, გიორგი მეთერთმეტე ტურქები მოიწვია, დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები მოიწვია. ეს არის „მოწვევის ყველაზე უფრო მკაცრო მაგალითი, რომელიც პრიმიტიული კამათის საგანი გამხდარა დავითის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის... მოწვევებმა დავითმა კი „აღმაშენებლის“ სახელი დაიმკვიდრა.“ გიორგი სააკაძემ სპარსელები მოიწვია (და ესეც პრინციპული კამათის საგანი გახდა, მაგრამ აღმაშენებლისაგან განსხვავებით შაბრალობით აქ ის უპირატესობა ქონდათ, რომ „მოწვეულმა“ შაბ-აბასმა საქართველო ამოავლო, მაშინ როცა დავითმა მოწვეული ყივჩაყებით საქართველო „ააშენა“. ასევე იწვევდნენ გიორგი მესამის წინააღმდეგ აჯანყებულნი ტურქებს, ხოლო გვიანფეოდალურ საქართველოში ასეთი მოწვევა ოსმალებისა, მთავრების თუ თავადების მიერ ჩვეულებრივი ამბავი იყო /ათაბაგი, გურიელი, რაჭის ერისთავი, აბაშიძე, ვივი ამილახორი, აბდულა ბეგი, ქსნის ერისთავები, ალექსანდრე ბაგონიშვილი ბაქარის ძე; ალექსანდრე მეორე კახთა მეფე, თიბურამ, ვახტანგ მეექვსე რუსებს იწვევდნენ არა მხოლოდ ოსმალ-სპარსთა წინააღმდეგ, მით უფრო ერეკლე და სოლომონ პირველი. ორივეს მიზანი იყო "Перекрыть внутреннюю слабость...". ერეკლეს შროსმჭკრეგელობა აქაც შესაძინებია: მოსაწვევ ძალას საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისით აუასებს და ცდილობს, ეს ძალა სასურველ სამღვრებში ჩააყენოს, რათა მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოიყენოს, ხოლო შესაძლებელი თუ აუცილებლად მოსალაგნელი მიანი თავიდან აიცილოს. ეს იყო გრაქტატი.

ასე რომ, ერეკლემ უცხო ძალის მოწვევა პრინციპულად დასვა და უაღრესად პრინციპულად გადაწყვიტა. მან რეალურად გაითვალისწინა მოწვევის კარგი და სახიფათო მხარეები... მისი ანდერძის დამცველები ამ საქმეში იყვნენ ლიონიძე, სოლომონ მეორე, ბარათა-შვილი, ჭავჭავაძე, ხოლო მისი ანდერძის განმასახიერებელი - კომუნისტური პარტია და მისი ბელადი აშხ. სტალინი. გიორგი მეცამეტემ მოიწვია... ეს იყო ავადმყოფის უსასობა...

— გრაქტატი. ქართული თვალსაზრისით, მოწვეული ძალის საქართველოს სასარგებლოდ აღადგენა იყო... ამდენად, მისი დარღვევა ამ ძალის აღვირახსნა იყო... მოწვევა დაპყრობად ქვეული - ბოროტება... როცა აშხ. სტალინი რუსეთის წინაურეკავიულ ცენტრალიზმზე ლაპარაკობს და ამის ერთ-ერთ მიზეზად რომელმაც ხელი შეუწყო გავრთიანება-ცენტრალიზმის პროცესის დაქარებას/ საგარეო ხასიათის ფაქტს /მონღოლთაგან თავდაცვის აუცილებლობას/ ხედავს, ეს იმ დროს რეალურ-ისტორიული ნათივტრეგის შედეგად მიღებული დებულებაა, რომელიც აშხ. სტალინიმ არა ერთხელ გამოთქვა „-Перекрыть“ - ის სახით /წერილი ბოლშევიკის, საუბრის დროს ჩვენთან/ და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო ხასიათის ფაქტების გამოყენება საშინაო ფაქტებისაგან, საგარეო ფაქტების მოწვევა ქვეყნის შინაგანი განვითარებისაგან ისტორიაში შეუძლებელია და უმართებულო, რომ საზოგადოების ისტორია არაა მხოლოდ საშინაო ფაქტების ურთიერთმოქმედების შედეგი, ისევე, როგორც ეს ისტორია არც საგარეო ხასიათის მოვლენათა შედეგია მხოლოდ, რომ საგარეო ხასიათის მოვლენები ისევე ანგარიშგასაწევი გარემოებაა, როგორც საშინაო ხასიათის მოვლენები, თუმცა საბოლოოდ განმსაზღვრელი ძირითადი საშინაო ხასიათის მოვლენებია. აშხ. სტალინის ეს დებულება ვასალებს ვეაძლევს საქართველოს ისტორიის ერთი უთოლესი საკითხის მართებულად გასაგებად. ეს გახლავთ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავივლოთ, ანუ, რას ნიშნავს ფაქტი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის XIII-XV საუკუნეში. მართლაც, ეს იყო ისეთივე მოვლენა, როგორიც იყო დამლა კივის რუსეთისა, ე. ი. იყო ეს ფაქტი იმის მიჩვენებელი, რომ საქართველო განვითარების შედეგად, სოციალურად წარმატების შედეგად დაიშალა? მაშინ გამოვიდოდა, რომ კივის რუსეთი უფრო დაწინაურებული ქვეყანა იყო, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნის საქართველო, რომ მეთერთმეტე-მეთოთმეტე საუკუნე ჩვენში იყო აღრეული ფეოდალიზმის ხანა...

შესანიშნავია: დაეთით ისგორიკოსი მოციქულებრი საქმულ უთელას თავის ხელმწიფეს /დაეთით უცხო ქვეყნების დაპყრობას. მზად იყოთ რათამცა ყოველი ქვეყანა შეასაკუთრა ქრისტესათ /ნახე გექსტი/ და ამიგომაც მეთორ პავლე იქმნაო... თამარის ისგორიკოსი ეს ასეთ რამეს მომხვეჭლოდად უთელის მეფეს, (აქ ის დაეთითს პეულისხმობს) და აქებს იმ სამართლიან მეფეს, რომელიც კი არ იპყრობს /„შეასაკუთრებს ქრისტეს“, არამედ აღადგენს დაეყმულსა და დაგლახაკებულ სახლს /აქ რომ იგივე „წარმართები“ და არა მანცდამანც ქრისტეანები იგულისხმობიან, ჩანს ჩამოთვლიდან: სახლი მარვანშეთი, დარუბანდელთა, კარნუქალაქელთა.../ და სოლომონიელთა მგჳა მის შორი მათისა... ორი სრულიად საწინააღმდეგო ერთი მეორის შეხედულება, ორი სრულიად საწინააღმდეგო ერთი მეორისაგან იდეოლოგია ორი ვითარების შესაბამისა...

ორბელები სპარსელებს იწვევენ დეშნას აჯანყების დროს გიორგის წინააღმდეგ /რეაქცია/.

ორბელების საქციელი მონღოლთა მოსვლისას /გადასვლა, მიყოლა, განდიდება/ სადუნა...

გივი ამილახორი თურქებით...
თეიმურაზ-ერეკლე ყიზილბაშებით...
გიორგი ბრწყინვალე მონღოლებით...
ოსები მეტამეტე საკუნეში და ქართველი აზნაურობა.

შანშე ერისთავი, მისი ძმისწული ზურაბი და ერეკლე, ქსნის ერისთავის შვილები. ლეკები და ერეკლე.

აბდულაზიზი. ყიზილბაშები და ერეკლე. ალექსანდრე ბაქარის ძე, ალექსანდრე ამილახორის ძე, ლეკები და ერეკლე.

გარემუ ძალის გამოყენება კლასობრივ ბრძოლისას:

უცხო ჯარების დაქირავება /მაგრაგ მეოთხე/
უცხო ჯარის მოყვანა, შემოყვლა /ლიპარიც/
/სააკაძე/

უცხოს მხარეზე დადგომა /დიდი აზნაურები, კახელი გლეხების გალექება, სოფლები ერო/.

უცხო ბაგონობის გამოყენება /მონღოლები, როსტომ ხანი, თეიმურაზი/, პრეტრუსი, მისი პირობების უმრუნველყოფა - სახელმძღვანელო იდეა.

პრაქტიკა „перекрыть“ ისგორიულ სინამდვილეში. შესაძლებელია არსად სხვაგან ეს პრაქტიკა ასე ხშირად არ მოეხმაროსთ /საკუთარი ეროვნულის მღვარის დაშლამდე/, როგორც საქართველოში. ქართველის თვალში, ასეთ პირობებში ეროვნული განთავსებულობა ჩნდურ კედლებს არასოლენს ამო-

ფარებია, თუმცა ქართული პოლიტიკა - ძირითადად, რა თქმა უნდა, - ქართული ეროვნული პრინციპებიდან /რა თქმა უნდა ფეოდალურად გაგებული/, ქართველობიდან გამოდიოდა. ასეთ პირობებში შემუშავდა ის განსაკვირვებელი ელასტიური პოლიტიკა, რომელსაც ასე ბრწყინვალედ მოხმარდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი და რაც რუს პოლიტიკოსებს „Дьявольских дел мастер“-ობად ეწვეებოდათ /ს. ლეონიძის დახასიათება/. ალექსანდრე კახთა მეფე, გიორგი სააკაძე, ერეკლე, გივი ამილახორი, სოლომონ ლიონიძე მარტონი არ იყვნენ /ალბათ გიორგი ბრწყინვალეც ამათი რიგისა იყო/, ყველა ესენი თანაბრად მარჯვეთ ხმარობდნენ „перекрыть“ პრინციპს ქართველობის დაცივის მიზნით...

შინალო, მეორე წიგნი
სენტენცია: На этом происшествии с Симоном следует поучиться тому как бывает опасно вмешивать чужеземцев в свои дела помощи себе или защиты: тут ясно видно, что нет вещи более сомнительной или гадательной. чем доверие к ним и обещания их. и что они дерзко пойдут на любое злодеяние, лишь бы присвоить себе чужие владения".

„Перекрыть“
ჩვენს ისგორიაში ცნობები იმის შესახებ, რომ მეფე თუ ფეოდალები საურთიერთო ბრძოლისას უცხო ძალას მიამართავდნენ, არა მცირედი მოიპოვება /ლეონტიანი შემდეგ/. პრინციპული დავის საგანიც, როგორც ჩანს, არა ერთხელ გამხდარა ის უცხო ძალის გამოყენების რამოდენიმე ფორმა ჩვენში ცნობილი... ერეკლეს გრაჟტაგის /მოწვეული ძალის აღატევა/ პრინციპი მასმედ არა ნაკლებ მქონია გათვალისწინებული დაეთი აღმაშენებელს, როგორც ამას სრულიად საბუთიანად მოწმობს მისი ისგორიკოსი... დაეთითა შეისწავლა ყივჩაყები, გაითვალისწინა შესაძლებლობანი, სარგებელი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნისათვის მათ მოწვევას და „Чтобы перекрыть внутреннюю слабость в борьбе с внешними и внутренними врагами“, გადაწყვიტა მათი გამოყვანა, მაგრამ ისე მოაწესრიგა მათი საქმე, რომ ისინი უნიშარნი იყვნენ საქართველოს განვითარებისათვის და მხოლოდ მის გაძლიერებას /შიგნით თუ გარეთ/ ემსახურებოდნენ. ამ პრინციპზე დგას ისგორიკოსი: ქვეყნის /საქართველოს/ თავისუფლების დაცვა, მისი სახელმწიფოებრივი გაძლიერება /გაერთიანება, განვითარება/. ამ პრინციპზე იდგა ერეკლე, ამ პრინციპზე იდგა სააკაძე /მანცდამანც ამას პეულისხმობენ თბილელი, არჩილი/. მაგრამ იყვნენ მრავალნი, რომელთაც ამ პრინციპისა



არა ეცხობ რა: ოსმალების მოპატივევითა-
ერები /დადიანები, გურიელები, აიაბაგები/,
თავადები /ამბლახორი, ქსნის ერისთავი,
აბაშიძენი, რაჭის ერისთავი/...

ფეოდალური სახელმწიფო.

მგერს მორიგდება თითო მთავარი /რო-
ცა მცნარი უძღურება/.

მგერის მხარეზე გადადის მთავარი /როცა
მცნარი ჯერ კიდევ იბრძვის/.

მგერს შემოუძღვის ესა თუ ის მთავარი
/და თავისიანებს ებრძვის/.

„გვაროვნული წყობილება“ და „უცხო“.

უცხო მოჰყავთ, როცა გვარი დაშლის გე-
ნდენიას იჩენს. ყველაზე მძაფრი ბრძოლები
„Чтоси перекрывает“ აქაა სწორედ... შოლა
და მარამაბალა დღეუშაური... ასევე იშვინ
დადიან-დადუმქელიანები, ყაზბეგები, ჯა-
ფარიძეა...

წმინდა გვაროვნული წყობისას ასეთი სა-
კითხი „Перекрывает“ არ არსებობს... ის ჩნდება
გვაროვნული წყობის რღვევის პროპორ-
ციულად. გვაროვნული წყობის ერთეულები
ერთი მეორეში არც აიჩევიან...

მას შემდეგ, რაც გვარის მთლიანობა ირ-
ღვევა, მას შემდეგ რაც კლასები ჩნდებიან
ამ ნაძალადეო /კლასობრივ/ საზოგადო-
ებაში /წარმოშობით ის ბუნებრივია, ათასი
ძაფით გადახლართული გრადიციით, სარწ-
მუნობით.../ ადვილად ჩნდება გენდენია
უცხოს მოხმარებისა ამა თუ იმ პირის თუ
ჯგუფის მიერ. უცხოც ეხლად ისეთი აღარა
ჩანს, როგორც ეს იყო ძველად /გვაროვნული
წყობისას/ /განსაკუთრებით, თუ სარწმუნო-
ბრივი ერთობაც არის, როგორც ეს იყო,
ვთქვათ, დასავლეთში/. თანდათან ხდება უ-
ცხოს გამინაურება კლასობრივი.

შენიშვნები

1. კანდილ ჩარკიანი - საქართველოს კი ცი
პირველი მდივანი 1938-1952 წლებში.

2. მიხეილ წინამძღვრისძვილი - მეცნიერული
თერაპიისა და კარდიოლოგიის ერთ-ერთი
ფუძემდებელი საქართველოში. საქ. სსრ. მეცნ.
დამსახურებული მოღვაწე /1943 წ./, საქ. სსრ მეც-
ნ. აკად. აკადემიკოსი /1946 წ./.

3. ლეონ ორბელი - პავლოვის მოწაფე რევოლუ-
ციური ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
სსრკ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი.

4. იოსებ ორბელი - აღმოსავლეთმცოდნე. ნ. შარის
უახლოესი თანამშრომელი. სსრკ. მეცნ. აკადემიის
აკადემიკოსი /1936 წ./, სომხეთის მეცნ. აკადემიის
აკადემიკოსი და პირველი პრეზიდენტი /1943-1947
წწ/.

5. ფ. პრონში და ლემან პაუპეა - უცხოელი
ორიენტალისტები, მათი მოღვაწეობა ქართველ-
ოლოგიის ინტერესებს უკავშირდებოდა. 1936
წელს ისინი მოიწვიეს თბილისის სახ. უნივე-
რსიტეტში ლექციების წასაკითხად.

6. ბორის გურავეი - რუსი აღმოსავლეთმცოდნე,
ისტორიკოსი და ფილოლოგი. იგი იყო მე-
რისოგისკისა და ეთიოპისტიკის რუსული სკოლის
ფუძემდებელი. სსრკ. მეცნ. აკადემიის აკა-
დემიკოსი.

7. ვახილ სტრუვე - ისტორიკოსი-აღმო-
სავლეთმცოდნე, საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე-
ობის რუსული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
სსრკ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი. (1935 წ.)

8. კონსტანტინე გამსახურდია - გამოჩენილი
ქართველი მწერალი, საქართველოს სსრ. მეცნ.
აკად. აკადემიკოსი /1944 წ./.

9. გიორგი თვალჭრელიძე - გამოჩენილი გე-
ოლოგი. საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი
/1967 წ./.

10. ალექსანდრე ჯანელიძე - გამოჩენილი გე-
ოლოგი. საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი /1941
წწ/.

11. ვარლამ სიმონიშვილი - ქართული ხალხური
სიმღერის ოსტატი. საქ. სსრ. ხელოვნების დამ-
სახურებელი მოღვაწე, თეიმოქიძის გუნდის ჩა-
მოყვანილბის ინსტიტუტის აქტორისა და გურიაში.

12. კირილე პაკობია - ქართველი მომღერალი.
ლოცბარი. საქ. სსრ. ხელოვნების დამსახურებული
მოღვაწე /1940 წ./, ხელმძღვანელობდა დას.
საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდს, რომელიც
წარმატებით გამოვიდა 1937 წელს მოსკოვში
ქართული ხელოვნების დეკლამაზე იგი საქა-
რთიველს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ერთ-
ერთი დირიჟორი იყო.

13. შალვა შარაშიძე /ფსევდონიმი თავენია/ - სა-
ზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟედატოგი, მთარ-
გმნელი, ბოლშევიკურ პარტიის აქტიური წევრი.

14. კონსტანტინე ზომერნიკი - რევოლუციური
მოძრაობის მონაწილე საქართველოში. 1902-1903
წლებში მონაწილეობდა გურისის გლეხთა აჯა-
წყებებში, თანამშრომლობდა ბოლშევიკურ გა-
მეფებში.

15. ეგლი კრიმეტი რისარ - ინგლისის პო-
ლიტიკური სახელმწიფო მოღვაწე. ლეიბორ-
ისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

16. ჯეიმს ფრანსის ბარნსი - აშშ სახელმწიფო
მოღვაწე. დემოკრატიული პარტიის წევრი. 1930-
1940 წწ. სენატორი. 1945-1947 წწ. სახელმწიფო
მდივანი.

17. ერნესტ ბევისი - ინგლისის პოლიტიკური მოღ-
ვაწე. ლეიბორისტული პარტიისა და გრუდენ-
სონების ერთ-ერთი მემარჯვენე ლიდერი /1945-
1951 წლებში ლეიბორისტული მთავრობის საგა-
რეო საქმეთა მინისტრი.

18. ბაგრატიანი ივანე - საბჭოთა კავშირის მარ-
შალი, საბჭოთა კავშირის გმირი.

19. ლესელიძე კონსტანტინე - საბჭოთა კავშირის
გმირი, გენერალი /1943 წ./.

20. პორფლე ჩანბიბაძე - საბჭოთა მხედართუ-
ფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი /1945 წ./, საბჭოთა
კავშირის გმირი /1945 წ./.

ლერი ალიმონაკი

გრანელის ლანი

აბა, მიწურა საუკუნე დასრულდა კაენის სისხლიანი ხანა, ხანა მშფოთარებისა, უთანხმოებისა, ხანა ქვათა მიმოფანტვისა. გერენტი გრანელმა საუკუნოვანი ომი გადაიხადა ყოფნა-არყოფნის კანონმდებელთან - დროსთან და სძლია იგი: მისმა ნაგევმა სულმა ლოცვით გამოაღწია დროთა უღმერთოებას და დღეს, ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან მწირივით მდგარი, განახლებულის ძალით გვიხმობს ახალ ეპოქას მისაახლებლად... და მწამს, როცა ახალი დროის ადამიანები წარმოიღვწევენ მის წამებულ ლანდს, იმ მოწამებორივ გზასაც შთახედავენ, რა გზაც მან გამოიარა. მოვიხებათა ეს ფურცლები, როგორც ნოემბრის სუსხიან ქარში ხვს მომწყდარი ყვითელი ფოთლები, გვაჰყვებიან, რომ ამ პირქვე, ნისლიან გზაზე მე, გრანელის ლანდს ადევნებული, მხოლოდ ერთგული შესაჭურველ და შეჩირადლენე ვიყავ ამ სულდდი კაიისა.

აგრორი

1. მე, როგორც ძველ ელინელთა შთამომავალს, მწამს ბუდისწერის. ბუდისწერით ვარ შუკრული გერენტი გრანელთან, მის იდეზალ ლანდთან, ბუდისწერით ვარ შერწყმული კოლხეთის მიწას, რომლის წიაღშიც აღმოცენდა მისი სული, როგორც წმინდა ლოგოსი, რომლის მიწაზე ვიშვი მეც, მის უძველეს აია-ქალაქში. ვინ იყის, იქნებ ბუდისწერის და ფარულმა ძალამ ათქმვევინა გრანელს ეს სიტყვები: „მე შენს კალთებზე სიმშვიდეს ვეძებ, ვეღარ გავუძელ მღვდვარე თბილისს. ახლა თოვლივით ვილევი მშებე და მომდევს ქარი შორი აპრილის. ყრუ მღვპარებას ყოველმხრივ ისერის შენი დღეები ამწვანებული. მოვედი შენთან თბილისის ნისლით და ღამეებით გავწვალებული. ო, ლოცვით სული აქაც აივსო, ისევ ავეყვი და მდუკუველ ვნებას. და შენ სიერეცმე მე, ქუთაისო, ველი სხვანაირ დღის გათენებას“.

2. იქნებ საკვირველიც კი იყოს, რომ მე

ელინური წარმომავლობის მესამე თაობას წარმოვადგენ საქართველოში, საკვირველი იმიტომ, რომ ეროვნულობის ამგვარი სწრაფი ფერიცვალობა უცხო ნიადაგზე იშვითია. მამაჩემის გაღმოცემით, უერემლოდ რომ ვერასოდეს იგონებდა თავის მამას, ბაბუაჩემი - მისა /მისხაილ/ ალიმონაკისი თავის ორ ძმასთან ერთად დედინაცუვალს გამოჰპარვია ათენიდან და კეთილ ადამიანთა შემწევობით გემით ფოთში ჩამოუღწევია. საქართველოში ძმები ფოთელ ბერძნებს შეუფარებიათ. ეს დაახლოებით იმ საუკუნის 70-80-იან წლებში მომხდარა. მამაჩემის ერთი ბიძა, ყველაზე უფროსი, მხატვარი ყოფილა. მოშავო-მოყავისფრო პასტელთი მის მიერ შესრულებული შეიდი წლის მამაჩემის პორტრეტი ახლაც ინახება ჩვენს ოჯახში. იგი მოგვიანებით რუსეთს გამგზავრებულია, მისი ასაველ-დასაველიც იმ დღიდან ქრება. ხოლო, მეორე, ყველაზე უმცროსი, ბათუმს დასახლებულია. მისი ვაჟიშვილი - ფელია ალიმონაკი, როგორც დასაველეთში მოხვედრილა და, როგორც მამაჩემისგან მსმენია, ამჟამად მისი ნაშიერი არგენტინაში უნდა ცხოვრობდეს.

ერთი ხანობა ბაბუა, რომლის გვარსაც ახალ ნიადაგზე სუფიქსი „სი“ რაგომდაც მოსიყვება, შავი ქვის ცნობილ მრეწველ პერსენაისთან მსახურობს ჭიათურის მარგანცის მადარობებში. შერე კვლავ ფოთს უბრუნდება, იქ სახლდება და კომერციას მიჰყოფს ხელს. ერთაჲს სონია ბაჩილაძეს ქაღალს /სოფელ ლებაჩილანდ/. მათ შესქენიათ მამაჩემი - ერთადერთი ვაჟიშვილი საშა /ალექსანდრე/ ალიმონაკი. მამა ანდრო ჟორდანასა და ბორის პაიჭაძის მეგობარი გახლდათ და ქართველ ფეხბურთელთა იმ თაობას ეკუთვნის, ფოთში ქართული ფეხბურთის დირექციის ჭაბანი ერთგულად რომ მიდა. ეს კარგად ახსოვთ მისი და მომდევნო თაობების გულშემატიკიერება. ბაბუას ქართული არ სცოდნია თურმე, მხოლოდ ბერძნულად



და რუსულად ლაპარაკობდა. მამა ქართულ-თან ერთად კარგად ფლობდა რუსულსაც და მეგრულსაც, ხოლო ბერძნულს, როგორც თავად უთქვამს, ახალგაზრდობის წლებში ცოც-ცოცას აცოდელილებდა, დროთა განმავლობაში კი, სამწუხაროდ, სულ მთლად გადავიწყნია.

გასაბჭოების შემდეგ თანდათან ნიადაგი უცლება ვაჭართა ფენას, იმ ადამიანებს, ვინც პატიოსნად, სინდისიერად ემსახურებოდნენ თავიანთ საქმეს, აგრეთვე, გაჭირვებულებსაც უანგაროდ ეხმარებოდნენ, კულტურასა და განათლებასაც შეეწოდნენ. ეს ჯერ კიდევ ის დროა, როცა საქართველოში ქველმოქმედება და მეცნაერობა გასაკვირ საქმედ არ ითვლებოდა. მამაჩემისაგან ვიცი: მისი დედის ქმარს, ფოთში ცნობილ კომერსანტს ხაჯოპულოს /რომლის შთამომავლობაც ამჟამად ათენში ცხოვრობს/, რამდენიმე წყვილი ბუცი, ფორმა, ტყავის ბურთი ჩამოუტანია ინგლისიდან და სარეკლამ გდადევია ფოთის საფეხბურთო ამხანაგობისათვის. ამგვარი სასპორტო აღჭურვილობა საქართველოში იმხანად იშვიათობა ყოფილა. გაკოტრებული, გაღარიბებული ბაბუა ყიდის სახლს და ცოლითა და შვილით ერთ პაგარა ოთახში ცხოვრობს, ხოლო 1927 წელს საბოლოოდ გოვებს საქართველოს და გემით სამშობლოში ბრუნდება, ბრუნდება იმ განზრახვით, რომ იქ ჯერ ნიადაგს მოამზადებს, ხოლო ცოლ-შვილს მერე წაიყვანს.

3. ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, - მიყვებოდა

მამა, - აცრემლებული ბაბუამეჩენი გემზე რომ აუბაცილე. დღესაც მახსოვს, ხელში მხოლოდ ერთი პაგარა ჩემოდანი ეჭირა, მას შემდეგ აღარ მინახავსო. ჩვენს ოჯახში დღესაც ინახება ბაბუას ფოტოსურათი წარწერით, საბერძნეთიდან ფოთში გამოგზავნილი, მისამართითა და საყვედურებით, რაკომ არაფერს მაგყობინებთ, დაუყოვნებლივ გამოემგზავრეთო! როგორც ჩანს, მისგან ეს პირველი ცნობა არ უნდა ყოფილიყო /ვინ იცის, ეგებ მშობლის გული წინასწარ გრძნობდა მოსალოდნელ ხიფათს/. მე გაჯაიუგდი, არ დაეთანხმდი დედას საბერძნეთში გამგზავრებაზე, - მეგყოლა მამა, - ვერ შეველიე მეგობრებს, ჩემს ქალაქს, საყვარელ ფეხბურთოსო. ამასობაში კი საშველარიც ჩაიკეცა და დაიწყო დიდი, ხანგრძლივი, სასტიკი შამთარი ჩვენს ცხოვრებაში /აბა, შიშით ვინ გაამხელდა უცხოეთში ახლობელი მყავსო/. მამამ არ იცის ფოთში დარჩენილი ერთადერთი ვეფიშვილის ბედი, ხოლო შვილმა - სამშობლოში ძე შეეცოთმლივით დაბრუნებული მამისა. და სწორედ აქ ინასკევა ბედისწერის პირველი ნასკვი: ვიდაც პაგარა ბიჭი, მისა ალიმონაკისი, შორეული საბერძნეთიდან კოლხეთის მიწაზე ჩამოდის, გოვებს აქ თავის ნამიერს, უცხო მიწაზე აფუჭნებს თავის გენსა და გვარს, რომ ამ გენსა და გვარს ახალ სამყაროში ქართული დასაბამი მიეცეს და, ორმხრივ ნოსტალგიაშეუპყრობილი, თავის პირველსამშობლოს უბრუნდება. და, ვინ უწყის, იქნებ სწორედ ამ ბედისწერული მისტერიის აღსასრულებლად წარმოგზავნა იგი კოლხეთს ათინა პალადამ.

